განთლების მუშაკი



შინაძრეწველობის საინსტრუქტორო სკოლა ტფილისში

№ გამოცემა საქართველოს განათლების მუშაკთა პავშირისა
ტფილისი
1928 13





კროს-კოუნტრი

ეულის გამაგრებაზე ზრუნვა და სათანადო ვარჯიში, შეიძ-
ლაზე უფრო ესაჭიროება მასწავლებელს. მასწავლებლის
ოლოდ ტვინითა და ნერვებით მუშაობას, კუნთები კი
ობა ასუსტებს ორგანოებს და მთელ ორგანიზმს. მაშა-
ახ მიზანშეწონილად ვავარჯიშოთ ესა თუ ის ორგანო,
რომ სისაღე და ჯანმრთელობა შევინარჩუნოთ. მიზანშეწონილი ვარჯიში სხეუ-
ლის ყველა ნაწილების გასამაგრებლად—აი ფიზკულტურის მიზანი.

ყველგან ძლიერ გავრცელებულია ფიზკულტურა. მაგრამ ჩვენი მასწავლებ-
ლობა აქაც ჩამორჩენილია. მას ხელს უშლის ბევრი რამ, მაგრამ საკუთარი
ჯანმრთელობისათვის ყოველგვარი დაბრკოლება უნდა გადაველახოთ, ამისათვის
დროც უნდა ვიშვოთ და საშუალებაც.

ზოგიერთი დარგი ფიზკულტურისა მოითხოვს ხარჯებს, მოწყობილობას,
დარბაზს და სხვა.

მაგრამ არის ერთი დარგი, ძლიერ გავრცელებული უცხოეთში, რომელიც
არაფერს არ მოითხოვს, იარდა მისი საჭიროების შეგნებისა და სურვილისა.
ესაა „კროს-კოუნტრი“. ასე ეწოდება რბენას ბუნებრივ პირობებში: მინდორში,
ველზე, ტყეშიაც. ისეთი ადგილების გადარბენა, რომელიც მოითხოვს მრავალი
მოულოდნელი დაბრკოლების გადალახვას (ჩირგვი, ორმო, ალმართ-დაღმართი,
რუდა სხვა), ავითარებს კუნთებს გარდა, სწრაფ მოსაზრების უნარს. რბენა
მოითხოვს უფრო მეტი ჰაერის ჩასუნთქვას, მაშასადამე ავითარებს ფილტვებს,
რაც განსაკუთრებით მასწავლებლებისთვინაა სიჭირო.

თავისუფალი რბენა არ მოითხოვს არავითარ მომზადებას, არავითარ ხელ-
მძღვანელობას, არც რაიმე იარაღებს, ის ყველასათვის მისაწვდომია. ქალი, ვა-
ჟი, დიდი, პატარა—ყველა ადვილად შეარჩევს შესაფერ ადგილს და მანძილს.
მამაკაცები გამონახავენ უფრო გრძელ მანძილს, მეტი დაბრკოლებებით; ქალე-
ბი—უფრო პატარა მანძილს აიღებენ, სადაც დაბრკოლებებიც ნაკლები იქნება;
ბავშვებისათვისაც კიდევ შეიძლება შესაფერი ადგილის გამონახვა, ხნოვანების
მიხედვით.

თავისუფალ რბენისათვის საუკეთესო პირობებია სოფლად, ვინაიდან ქა-
ლაქში საამისო ადგილი არაა და უნდა გახვიდე ქალაქის გარედ. ამიტომ კროს-
კოუნტრი განსაკუთრებით უნდა გავრცელდეს სოფლის მასწავლებლებს შორის.

პ. ჭ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

განათლების ფრონტი

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის ორგანო

პროფესიონალ-პედაგოგიური რედაქციის მისამართი. ფერხულაძის ქუჩა №3: განათლების მუშაკთა ცენტრალური სახლი

№ 13 აპრილის 1 № 13

გამოაშკარავებული თვალთმაქცობა.

5226

არც განიარაღება და არც იარაღების შემცირება—აი არა პასუხი მოგვცა განიარაღების კონფერენციის მომამზადებელმა კომისიამ. ყველა ქვეყნის ფართე მასები და ცოტათ თუ ბევრად პროგრესიული ნაწილი კაცობრიობისა არაჩვეულებრივი ყურადღებით მოელოდა კომისიის პასუხს. ბევრს ეგონა, რომ ეხლა მაინც აღარაფერი დააბრკოლებს განიარაღების საქმეს, ვინაიდან, თუ დღემდის საბჭოთა კავშირი ვერ ღებულობდა მონაწილეობას ამ საკითხის განხილვაში და ამიტომ არ შეიძლებოდა მისი გადაჭრა, როგორც ამბობდენ თავის გასამართლებლად იმპერიალისტები, ეხლა ხომ საბჭოთა კავშირიც ღებულობდა მონაწილეობას და საკუთარი პროექტიც ჰქონდა წარდგენილი.

მუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა არას დროს ხელს არ უშლიდა განიარაღებას და პირ იქით მუდამ პირველი მოითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ ეხლაც მან წარადგინა **სრული და საყოველთაო განიარაღების** პროექტი და მოითხოვა აშკარა პასუხი: თანახმანი ხართ თუ არა კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლები, რომ განიარაღებისათვის თქვენ მუშაობას საფუძვლად დაუდოთ სრული და საყოველთაო განიარაღების იდეაო.

იმპერიალისტების წარმომადგენელნი იძულებულნი გახდენ პასუხი გაეცათ და განაცხადეს ინგლისის დელეგატის, კაშენდენის, პირით:

სრული განიარაღება არ შეიძლება იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ომებს გარდა არსებობს აგრეთვე სამოქალაქო ომებიო, ე. ი. შეიარაღებული არმიები საჭიროა იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგო.

გარდა ამისა ზოგ სახელმწიფოებს საქმე აქვს ნაკლებ კულტუროსან ხალხებთან (იგულისხმება კოლონიები) და განიარაღებულს რომ დაგვინახავენ, შეიძლება ომი აგვიტეხონო. ცხადია, შეიარაღებული ძალები სჭირია მათ, რომ კოლონიები მორჩილებაში იყოლიონ.

ბსსრ მეცნიერებათა აკადემია
Библиотека-Музей
имени
Акад. Н. Гришашвили

კიდევ მესამე მათი არგუმენტი: სრული და საყოველთაო განიარაღება არ სწერია ერთა ლიგის წესდებაში, იქ ლაპარაკია ნაწილობრივ განიარაღებაზე და ამიტომ სრული განიარაღების განხილვა ჩვენ უფლებებს აღემატებაო. აი ნაწილობრივ გახიარაღების პროექტი რომ ყოფილიყო, მაშინ სხვა საქმეაო.

ამხ. ლიტვინოვმა ძლიერ მოხერხებულად გამოიყენა მოწინააღმდეგეთა მოტივები, გამოააშკარავა მათი სრული უსაფუძვლობა და ნიღაბი ახადა იმპერიალიზმის წამრომადგენლებს. სრული განიარაღების პროექტის უარყოფის შემდეგ კომისიის უმრავლესობის მიერ, ჩვენმა დელეგაციამ წარადგინა ნაწილობრივი განიარაღების პროექტი. კომისია გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ნაწილობრივ განიარაღებაზე ხომ თვითონ თანხმდებოდენ გუშინ. რაღა უნდა ექნათ? ეხლა დრო არა გვაქვს ამის განსახილველადო და საკითხი გადასდვეს შემდეგი სესიისათვის, რომლის დროც კი არ განსაზღვრეს.

ასე ურცხვად და უტიფრად მოიმორა თავიდან განიარაღების კომისიამ განიარაღების საკითხი. არც განიარაღება და არც შეიარაღების შემცირებაო,—აი რა პასუხი გასცეს იმპერიალისტებმა საბჭოთა მთავრობის პროექტებს.

ესაა მათი ზნეობრივი განიარაღება, მათი საბრკაროზე გამოყვანა და ამით საბჭოთა მთავრობამ და მისმა დელეგაციამ უდიდეს პოლიტიკურ და ზნეობრივ გამარჯვებას მიაღწია.

ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ყოველგვარი მუმართვის დროს რედაქციისადმი (ფულის გადმოგზავნის ცნობა ბარათის ტალონზე, მისამართის გამოცვლა, ჟურნალის ნომრების მიუღებლობა ან დაგვიანება და სხვა) წერილში უნდა აღნიშნოთ **ნომერი იმ ხელისმომწერისა**, რომელსაც ესაჭიროება ან შეეხება ეს ცნობა.

ხელისმომწერის ნომერი მოთავსებულია ჟურნალზე დაკრულ ყოველ მისამართის **ზევით მარცხენა კუთხეში.**

ტ. ხუნდაძე

მეტი ყურადღება ექსკურსიებს

საბჭოთა რესპუბლიკებში საექსკურსიო საქმის ფართოდ დაყენებას უდიდესი ყურადღება ექცევა. ამ ბოლო წლებში, ქვეყნის ეკონომიურ გაღონიერებასა და გან. მუშაკის ხელფასის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ეს საგანმანათლებლო დარგიც ყურადღებას იპყრობს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამაა საჭირო მუშა-მოსამსახურეთა ფართო ფენების ამ საქმეში ჩასაბმელად. საექსკურსიო საქმის გაჩაღება სასარგებლო და საჭიროა ყველა დარგის მუშა მოსამსახურესათვის, მაგრამ ის პირდაპირ აუცილებელია, წარმოების თვალსაზრისითაც კი, განათლების მუშაკისათვის და განსაკუთრებით მასწავლებელთათვის. მას შემდეგ, რაც საბჭოთა სკოლამ თავის მუშაობას ერთ-ერთ საფუძვლად მხარეთმცოდნეობა დაუდვა, მასწავლებლის ნაყოფიერ მუშაობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თავისი რაიონის, მაზრის, მხარის გაცნობა არა მარტო წიგნებისა და გაგონილის საშუალებით, არამედ პირადი დათვალიერებისა და უშუალო შესწავლით.

ჩვენი განათლების მუშაკი, და უპირველეს ყოვლისა მასწავლებელი, ამ მხრით დიდ დაუდევრობას იჩენს. განათლების მესვეურნი ძველად ცდილობდენ მასწავლებელსა და მოწაფეებისათვის შეეთვისებიათ ცნობები შორეული ქვეყნებისა და მოსახლეობის შესახებ და დანაშაულად უთვლიდენ მშობლიური ქვეყნისა და მოსახლეობის გაცნობა—შესწავლას. ძველად ჩვენთვის სავალდებულო იყო ტიროლის მთების მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესწავლა, მაგრამ არაფერი უნდა გვცოდნოდა ჩვენს თუმ-ფშავ-ხევსურებზე. გვაცნობდენ რიაზანის მეურნეობას, მაგრამ არაფერს გვეუბნებოდენ კახეთის ან სამეგრელოს ეკონომიურ მდგომარეობაზე. ეს დრო წავიდა და ჩვენი კუთხის, ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი გაცნობა ნაყოფიერ მუშაობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყველა აღმზრდელისა და მასწავლებლისათვის. ამ თვალსაზრისითაც რომ მიუდგეთ საექსკურსიო საქმეს, საბუნებაროდ ბევრს სანუგეშოს ვერაფერს დავინახავთ. ჩვენში დღესაც შეიძლება მოიპოვებოდეს ისეთი მასწავლებელი, რომელსაც რკინის გზა ან ტფილისი ჯერ კიდევ არ უნახავთ ან ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ ტეხნიკის მიღწევებსაც კი არ არიან სრულიად გაცნობილნი.

მაგ. ერთ-ერთი სამაზრო განყოფილება ჩვენი კავშირისა იწერება, რომ „მიმდინარე წელს, ზაფხულში მოწყობილი იქნა ერთი ექსკურსია ბათომ-ტფილისში, **სადაც მონაწილეობა მიიღო 8 წევრმა, რომლებსაც არ ენახათ არც დიდი ქალაქები და არც რკინის გზა.** ასეთი მასწავლებლები, როგორც ვთქვი, ჩვენს რესპუბლიკაში მოიპოვებიან; არც საკვირველია: ჩვენი ქვეყანა მთა გორიანია და რკინისგზის ხაზებით ღარიბი. აფხაზეთში, ლეჩხუმ-სვანეთში, რაჭაში, სამ.-ოსეთში, დუშეთში, ახალქალაქ-ახალციხეში, ადგილობრივი მკვიდრი, რომე-

ლიც შეიძლება თავის სოფელსაც კი არ გასცილებია და სამაზრო ცენტრიც კი არ უნახავს, ათავებს ადგილობრივ ცხრაწლედს და ინიშნება იმავე მაზრაში ძასწავლებლად. ცხადია, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს ჩვენს სამრეწველო ცენტრებზე, რკინისგზაზე, ელექტრონზე და სხვა. აი, განათლების ასეთი მუშაკებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მართებს ყველა იმათ, ვინც საექსკურსიო საქმეს ხელმძღვანელობს, და უპირველეს ყოვლისა ჩვენი კავშირის საბაზრო განყოფილებებს. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ იმ მცირე მაშტაბით მოწყობილ ექსკურსიებში, რომელსაც ჩვენ დღემდე ვატარებდით, მონაწილეთა უდიდეს პროცენტს მასიური სკოლების მასწავლებლობა შეადგენს. მაგ., ქუთაისის სამაზრო განყოფილება იტყობინება: „მიმდინარე წელში ჩვენს მიერ მოწყობილ იქნა სამი ექსკურსია 1) ბათომში—50 კაცისაგან; მათ შორის 3—ცხრაწლედის მასწავლებელი, 9—ტეხნიკური პერსონალი და 38—**პირველი საფეხურის სკოლის მასწავლებელი**, 2) ტფილისში—19 კაცისაგან; მათგან 5—ტეხ. პერსონალი, 13—**პირველი საფეხურის მასწავლებელი**, 1—ცხრაწლედის. 3) წყალტუბოში—15 კაცისაგან; 1—ცხრაწლედის მასწ., 1—შვიდწლედის და 13—**პირველ დაწყ. სკოლის მასწავლებელი**.

ექსკურსიებში მონაწილეობის მიღებას რომ გაურბის განათლების მუშაკი, ხშირად ამას უსახსრობით ასაბუთებენ ხოლმე. ეს მიზეზი მხოლოდ ნაწილობრივ არის მისაღები. მართლაც, შორეულ ექსკურსიებისათვის საჭიროა მოზრდილი თანხა, რომელიც არ გააჩნია მასწავლებელს. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ იქ, სადაც ექსკურსიების შნიშვნელობა შეუგნიათ და დაუფასებიათ, სადაც სახალხო მასწავლებელი რუსეთის რომელიმე მიყრუებული მაზრისა იმაზე ოცნებობს, რომ საზაფხულო თვეები ფართედ გამოიყენოს ექსკურსიებისათვის, ის თავისი მცირე ბიუჯეტით, რომელიც ოდნავ თუ განსხვავდება აქაური მასწავლებელის ხელფასისაგან, თვიდან თვეში ორიოდე გროშის გადადებით, აბერხებს და თავის წლიურ ოცნებას ანხორციელებს, ციმბირის, ყირიმის კავკასიის, ან სხვა რომელიმე შორეული კუთხის დათვალიერებით. ჩვენში ამას სამწუხაროდ ვერ ვხედავთ. იმ ექსკურსიაშიც, რომელსაც რუსეთის ცენტრალურ ქალაქების დასათვალიერებლად აწყობს ხოლმე კავშირის ც. გამგეობა, მონაწილეთა 9% შეადგენს არა პროვინციელი ამხანაგები და ადგილობრივი მკვიდრნი, არამედ ტფილისის მასწავლებლობა, უმეტესად რუსები, რომელთაც დასათვალიერებელი ქალაქები, წარმოებანი არა ერთჯერ უნახავთ.

ჩვენი მაზრებიდან კი იწერებიან:

„ამხანაგებს დიდი სურვილი აქვთ შორეულ ექსკურსიაში მიიღონ მონაწილეობა, **მაგრამ სათანადო სახსრის უქონლობის გამო ეს სურვილი სისრულეში ვერ მოყავთ**“-ო.

„კრებამ მოისმინა მოხსენება ექსკურსიაზე წაელის შესახებ და ფრიად სასურველად სცნო, **მაგრამ უსახსრობა ხელს უშლის ამის განხორციელებას**“-ო.

„რაც შეეხება ექსკურსიებს საქართველოს ფარგლებში ან საბჭოთა კავშირში, ბაქოს, მოსკოვის და ლენინგრადის მიმართულებით, **მოწყობილი არ ყოფილა იმავე უსახსრობის გამო**“.

აი ამ გვარი ხასიათისაა ის მიზეზები, რომელიც საშუალებას არ აძლევს მასწავლებელს საექსკურსიო საქმეში მონაწილეობის მიღებისას.

მაგრამ ჩვენი განათლების მუშაკი შეიძლება იქ იჩენდეს განსაკუთრებულ აქტივობასა და სიყვარულს ექსკურსიებისადმი, სადაც ესოდენი თანხები საჭირო არ არის?

სამწუხაროდ, ფაქტები არც აქაა სანუგეშო: „საერთოდ უნდა აღინიშნოს, —იწერებიან გორიდან,—რომ გორის მასწავლებლობა გულგრილად ეკიდება ექსკურსიებს, მიუხედავათ იმისა, რომ კომისიის მიერ გამომუშავებული გეგმა საინტერესო იყო და საშუალებას აძლევდა მასწავლებლობას ყოველმხრივ გასცნობოდა გორის მაზრას. ექსკურსიებში მონაწილეობას იღებდა მასწავლებლობის მცირე რიცხვი; დანარჩენები დატვირთულნი იყვნენ გაკვეთილებით“-ო. გორის მაზრაში კი ბევრი რამ არის ისეთი, რის ნახვა და გაცნობა ადგილობრივი მასწავლებლისათვის მაინც საჭიროა; ვერც იმის თქმა შეიძლება რომ ყველა მასწავლებელი გორის მაზრისა სავსებით გაცნობილი იყოს თავის მაზრას. იგივე ითქმის სხვა მაზრებზედაც. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც კავშირის ორგანო ყოველმხრივ უზრუნველყოფს ექსკურსანტს, მაგრამ განათლების მუშაკი მაინც არ ღებულობს მონაწილეობას, რაც მისი სიზარმაცით, დაუდევრობით და შეუგნებლობით უნდა აიხსნას.

„მოწყობილ იქმნა ექსკურსია ტფილისში, რომელშიაც **მონაწილეობა მიიღო ჩვენი კავშირის ხუთმა წევრმა;** ზაჰესში—სადაც **ათმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ექსკურსანტებმა მიიღეს საგზაო იქთ-აქეთ და დღიური** 50 კ. **რაოდენობით დღეში.** მესამე ექსკურსია მოეწყო აბჰეს სალხინოში. **ჩვენი კავშირიდან მხოლოდ სამმა კაცმა მიიღო მონაწილეობა,** მიუხედავად ჩვენ მიერ მიღებული სათანადო ზომებისა. **ექსკურსანტები უზრუნველყოფილ იქნა საგზაო ხარჯებითა და დღიურებით“** (სენაკის სამ. განყ. მოხსენებიდან).

როგორც სჩანს, არა მარტო ნივთიერი ხელმოკლეობით აიხსნება განათლების მუშაკის არაჩვეულებრივი გულგრილობა ექსკურსიებისადმი.

საექსკურსიო საქმეს იმდენად ჩამოშორებულია განათლების მუშაკი, იმდენად საჭიროა მისთვის უპირველეს ყოვლისა მაინც საკუთარი მაზრის ყოველმხრივი გაცნობა, რომ ჩვენი კავშირი მომავალ საექსკურსიო სეზონში ვერ დაკმაყოფილდება ამ საქმეში რამდენიმე ათეული მუშაკის ჩაბმით. სამაზრო განყოფილებებს მართებთ უდიდესი ენერგიის გამოჩენა, რათა ექსკურსიებს ზაფხულში მასიური ხასიათი მიეცეს. არ უნდა დარჩეს არც ერთი მასწავლებელი, რომელიც არ გაიცნობს ყოველმხრივ, თავის მხარეს მაინც. მომავალ ზაფხულში ჩვენი სახალხო განსწავლებლობა ფართედ უნდა მოეფინოს ჩვენი ქყეყნის ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ადგილებს. ამისათვის საჭირო არის ფართე კამპანიების ჩატარება დღეიდანვე და ორგანიზაციული მზადების დაწყება. ამ საქმეში კავშირს დიდი დახმარება უნდა გაუწიოს განათლების ორგანოებმაც. ჩვენი კავშირის ც. გამგეობამ დროზე მიაქცია ყურადღება ექსკურსიების ფართედ მოწყობის საქმეს და ეს საკითხი მეოთხე პლენუმზე დაისვა განსახილველად. საკითხის გარშემო გაჩაღებულმა კამათმა ნათელჰყო, თუ რამდენად მოწყვიფებული და საჭიროა ექსკურსიებში მთელი ჩვენი მასის ჩაბმა. მიღებულ ღონისძიებათა განაღდებით საკავშირო ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ მასწავლებელთა გართობასთან ერთად მათი გონებრივი ასპარეზის გაფართოებასა და ცოდნის გაღრმავებას. ამით კავშირი შეასრულებს თვის ერთ.ერთ მთავარ ამოცანას.

ვლ. ზამბახიძე.

მასიური მუშაობის შესახებ.

ყოველმა პროფმუშაკმა იცის, რომ მასიური მუშაობის სათანადოდ მოგვარება დიდი გაამარჯვებაა პროფესიონალური ხაზით. ცხადია, მასიური მუშაობის ნაყოფიერება დამოკიდებულია უძთავრესად თვით მასის აქტივობისაგან. აძ ბრივ, შეიძლება, დღეს სამდურავი არაფერი გვქონდეს, ვინაიდან ჯერ კიდევ მეხუთე ყრილობამ გამოააშკარავა, რომ ინდიფერენტიზმი კავშირის მიმართ ისტორიას ჩაბარდა.

დასახელებულ ყრილობაზე დადასტურებულ იქნა მსხვილ ადგილკომების დიფერენციაციის აუცილებლობა, რომ ამ გზით მასა უფრო აქტიურად ჩაბმულიყო ძირითად პროფუჯრედის ცხოვრებაში.

დღეს ამ ხაზით ჩვენ ხელთ გვაქვს კარგი შედეგები.

მასა დაინტერესდა კავშირის ცხოვრებით და ზოგან ისეთ პროგრესს აქვს ამ მხრივ ადგილი, რომ „საერთო კრების დამსწრეთა რაოდენობა უდრის 60—70%“-ს (აღბულაღის ადკომის გამოკვლევა). ასეთივე მდგომარეობაა ბორჩალოს რაიონში, სადაც დამსწრეთა რაოდენობა უდრის წევრთა 50—60%-ს. ჯერ ხნობით ესეც კმარა.

მასიურ მუშაობის გაფართოება-გაძლიერება მთელი ფრონტით ერთნაირად არ მიმდინარეობს. პირიქით, ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს საკვირველ ინდიფერენტიზმს, აფხაზეთის გამოკვლევის მასალიდან სჩანს, რომ მოხენებას მე-6-ე ყრილობის შესახებ დაესწრო 80 კაცი 400-დან, ხოლო „31 აპრილს დანიშნული საერთო კრება 1 მაისის აღსანიშნავად განზრახული, მოხსენებით ამავე დღის შესახებ, არ შესდგა, ვინაიდან დაესწრო სულ **15 ამხანაგი**“.

რით აიხსნება ის, რომ შედარებით ჩამორჩენილ აღბულაღ-ბორჩალოს რაიონის კრებები გაცილებით ცხოველი და მრავალრიცხოვანია, ვიდრე, მაგალითად სუხუმის?

საქმე იმაშია რომ პროფმუშაობის გაუმჯობესების სტიმულთა შორის უდიდესი როლი ეკუთვნის საინტერესო დღის წესრიგის შედგენის საქმეს და თვით ადგილკომის აქტივობას.

თუ დღის წესრიგი „კაზიონურია“ და გაბატონებულ ტრაფარეტს წარმოადგენს, ცხადია არაფერი გამოვა.

პრაქტიკამ კარგად დაგვანახა ყველას, რომ თუ ზოგად პოლიტიკურ საკითხთან ერთად დღის წესრიგში არ დგას რაიმე კონკრეტული, განმუშაკის ყოველდღიურობასთან დაკავშირებული საკითხები, მაშინ კავშირის წევრი პასივობას იჩენს კრებისადმი. ბორჩალოს რაიონში ჩატარებულ კრებებზე კი, ყრილობებისა და კონფერენციების დადგენილებათა პოპულარიზაციასთან ერთად ირჩეოდა შემდეგი საკითხები: „სოცდაზღვევის, ურთიერთ დამხმარე სალაროების, საზაფხულო არდადეგების და შრომის დისციპლინის შესახებ“ და სხვა.

აღბულაღის რაიონში მოწვეულ საერთო კრებაზე კი მოსმენილ იქნა ორი მოხსენება: 1) „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ 2) **რადიოს** შესახებ“ (აღბულაღის რაიონის ოქმიდან).

ამ გვარი დღის წესრიგი უსათუოდ მიიზიდავს პასიურ წევრებსაც კი, რადგან საზოგადოებრივ არდადეგების და, თუ გინდ, რადიოს საკითხები იმდენად აქტუალურია ჩვენი კავშირის წევრთათვის, რომ არ შეიძლება არ აღუძრას სურვილი თავისი აზრის გამოთქმის თუ არა, სხვისი მოსმენის მაინც. ეს კი საერთო კრებაზე ხდება ხოლმე.

კრებაზე მოსული ამხანაგები, თითქმის ყველა, ენერგიულ მონაწილეობას იღებს კოლ. ხელშეკრულების ან მისი პროექტის განხილვაში, რაც ხელს უწყობს მასის აქტივობის ზრდას. ყველა ეს ჩვენ კარგად გვესმის და ამიტომ კოლხელშეკრულების წინასწარ განხილვას კავშირის წევრთა საერთო კრებებზე, **სასურველად** კი არ უნდა ვხდიდეთ, არამედ სავალდებულო და ჩვეულებრივ რამედ. სენაკის კონფერენციის ოქმი კი გვეუბნება, რომ **„უნდა ხდებოდეს კოლექტიურ ხელშეკრულებათა წინასწარი განხილვა კავშირის წევრთა** საერთო კრებებზე. აგრეთვე მასის მონაწილეობა კოლექტიურ ხელშეკრულების პროექტის შემუშავებაში"-ო. ეს მდგომარეობა საბოლოოდ უნდა იქნეს გამოსწორებული.

არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ძირითად უჯრედებში მასიურ მუშაობის გამოცოცხლებას. ადკომების ხელმძღვანელთა უვარგისობა.

არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი პროფმომუშავე ამხანაგები ვერ ერკვევიან პროფესიონალურ საკითხებში და, ალბად, ამით აიხსნება, რომ ადგილკომების მუშაობა ზოგ ადგილებში არა დამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული.

ადგილკომის ნაყოფიერ მუშაობის აუცილებელ პირობას შეადგენს, ნათელი სამუშაო გეგმა. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ თითქოს ლაპარაკსაც არ უნდა იწვევდეს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ კავშირს ჰყოლია ისეთი ძირითადი უჯრედები; სადაც „ადგილკომები სუსტად მუშაობენ, არაფერს აკეთებენ. **თუ რამ კეთდება, ისიც უშინაარსოდ, საქმუშაო გეგმის უქონლობისა გამო და ზოგიერთი ადკომები მუშაობის სისუსტეს მომჭირნეობითაც** (!) **ხსნიან,"** თურმე (დუშეთის სამაზ. კონფ. მასალიდან). აი რა კურიოზამდე მიდის ზოგჯერ საქმე, რომ უსაქმობას მომჭირნეობად ასაღებენ!

ადგილკომის მუშაობა ცხადია, გეგმის შედგენით არ ამოიწურება, მას ჰყავს კომისიები და ამათ შორის ორი მთავარი—საკონფლიქტო და შრომის—რომელთა ნაყოფიერი მუშაობის გარეშე ადკომი **ფაქტიურად** არ არსებობს. ჩვენში კი სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობა ყოფილა შექმნილი, და როგორც აჭარისტანის ანგარიშიდან სჩანს „განსაკუთრებით უვარგისი ყოფილა სწორედ საკონფლიქტო და შრომის დაცვის კომისიების მუშაობა."

კომისიები და ადკომი, ცხადია, კონტროლის გარეშე არ უნდა იმყოფებოდეს. მათი უვარგისობის და უსაქმობის გამომჟღავნებელი უნდა იყვეს სარევიზიო კომისიები, რომელთაც ირჩევს საერთო კრება. თუ სარევიზიო კომისია თავის სიმაღლეზე სდგას და განუწყვეტლივ მტკიცე დარაჯად უდგას პროფმუშაობის ინტერესებს, მაშინ მუდამ ეშველება საქმეს. თუ კი „ხშირად სარევიზიო კომისია მხოლოდ ქაღალდზეა აღნიშნული, არ ახდენს რევიზიას და სათანადო კონტროლს ვერ უწევს ადგილკომებს" (აჭარისტანის ანგარიში), მაშინ შესაძლებელია „მთელი რიგი ისეთ დაუშვებელ დარღვევათა ადგილკომის მუშაობაში, რომელთაც არავითარი სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია" (ადკომი № 55 ოქმი № 7).

ამ მდგომარეობის გაგრძელება პროფმუშაობას ჩაჰკლავს.

ადგილკომის და სარევიზიო კომისიის უვარგისობას უნდა მიეწეროს აგრეთვე ზოგ ადკომის სამეურნეო დარგში არსებული არევ-დარევა.

ადგილკომის ფინანსები მუშაობის ის მხარეა, რომლის მიმართაც დაშვებული დაუდევრობა ბოროტმოქმედებად უნდა ჩაითვალოს და დამნაშავე სასტიკად უნდა დაისაჯოს. აფხაზეთის ორგანიზაციის გამოკვლევიდან სჩანს, ,,რომ ადგილკომის ფინანსები და საქმის წარმოება სავსებით დაბნეულია.

ადგილკომის წევრებმა განაცხადეს, რომ თავმჯდომარემ მოსკოვში მივლინების შესახებ **ყალბი ოქმი წარუდგინა აფხაზეთის გამგეობას**. წასვლის წინ დიდი დავის შემდეგ დასთანხმდა ანგარიში ჩაებარებინა, რომლის დროს 27 მანეთი დააკლდა''-ო.

ჩვენ არ ვიცით, რით დამთავრდა ხსენებული ინციდენტი აფხაზეთში, მაგრამ არის სხვა ფაქტები, რომლიდანაც ნათლად სჩანს, რომ ანალოგიურ შემთხვევებში თვით მასა ერევა აქტიურად საქმეში. ეს ყოველმხრივ სასიხარულო ფაქტი მოწმობს, რომ კავშირის წევრთა ინდიფერენტიზმი მართლაც დაძლეულია და შესაფერის ხელმძღვანელობით, მასიური მუშაობა სასურველ დონეს მიაღწევს.

საკავშირო მუშაობის მთავარ ქონებრივ ბაზას შეადგენს პროცენტული ანარიცხები. ბოლოს და ბოლოს მასიურ მუშაობის სასურველად განხორციელება დამოკიდებულია ამ თანხების მიღება-განაწილების საქმის რაციონალურ და ჯანსაღ ნიადაგზე დაყენებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობის გეგმა განუხორციელებელი დარჩება.

როგორც ეტყობა ეს ყველა პროფმუშაკს კარგად არ ჰქონია შეგნებული, და ამიტომ ჩვენ თანაგრძნობით ვეგებებით იმ ზომებს, რომლისთვისაც მიუმართავს ოზურგეთელ ამხანაგებს, პროფდისციპლინის დამრღვევთა საწინააღმდეგოდ. როგორც გვატყობინებენ ,,მიღებულ იქმნა ზომები ზოგ ისეთ ადკომების წინააღმდეგ, რომლებიც პროცენტულ ანარიცხებს არ გზავნიდენ და საერთოდ იჩენდენ გულგრილობას მოვალეობის შესრულებაში ზოგ ასეთ ადკომებს გამოეცხადა საყვედური, მიეცა გაფრთხილება. **ერთი ადკომის შესახებ კი გამოტანილი იქნა დადგენილება მისი თავმჯდომარეობიდან მოხსნის შესახებ**''.

ჩვენ ვფიქრობთ რომ, პროფ-კუზიანის წინააღმდეგ მხოლოდ ეს ზომა გამოდგება!

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც საფრთხეს უმზადებს მასიურ მუშაობის გაძლიერებას. ეს არის ზოგ პროფ ხელმძღვანელების ,,მანიაკობა'' და ,,დერჟიმორდობა''. ვფიქრობთ, რომ ეს ,,ფსიქოლოგიური'' მომენტები ყირამალა დააყენებს მთელ საკავშირო მუშაობას, თუ მას, როგორც ბიუროკრატიზმის ერთ უსაძაგლეს სახეს, დაუნდობლად არ შევებრძოლეთ.

განა დასაშვებია ის, რომ მუშას შეკითხვის მიცემის გამო, სამსახურიდან მოხსნით ემუქრებოდენ? "Рабочая Правда"-ში კი ვკითხულობთ: „Рабочий при школе клуба имени Нинощвили осмелился спросить предместкома-получено ли из Союза его заявление о разборе дело в конфликтной комисии. За такую „дерзость" предместкома угражал снять рабочего с работы" („Раб. Пр." № 150).

აი სად არის საჭირო მასის აქტივობა, რომ თვით კავშირის წევრებმა ალაგმონ პროფ-ტერიტორიიდან ეს მახინჯი სულები! მთელი ჩვენი ენერგია იქით უნდა იყოს მიმართული, რომ მასა აღვზარდოთ ამგვარ მოვლენების კოლექტიურ კონტროლიორად და მსაჯულად.

ამასთან ერთად, თუ გვსურს ნამდვილი მასიური მუშაობის გაჩაღება, საჭიროა, რომ აღნიშნული დეფექტები სასწრაფოდ, ძირშივე ამოიწვას იმ გვარად, რომ მათი რეციდივი შეუძლებელი შეიქნეს მომავალში.

დ. მარკევიჩი.

ბიბლიოთეკართა შრომის და ყოფა-ცხოვრების შესწავლისა და რაციონალიზაციის სექციის მუშაობა.

(სექციის მოხსენება განათლების მუშაკთა ცენტრ. სახლთან არსებულ ბიბლიოთეკის მუშაკთა ასოციაციის საერთო კრებაზე 1928 წ. მარტის 10).

ბიბლიოთეკართა შრომისა და ყოფა-ცხოვრების შესწავლისა და რაციონალიზაციის სექცია მუშაობას შეუდგა ამა წლის იანვრის 4. მაშასადამე ეს არის ორის თვის მუშაობის ანგარიში.

სექცია ჯერ-ჯერობით შესდგება 11 წევრისაგან: ესენია ამხანაგები: ამბოკაძე (სახ. უნ.), ჟანო (რევ. მუზ.), მარქარიანი (ა/კ. კომ. უნ.), მარკევიჩი (იქიდანვე), მატატაშვილი (სახ. საჯარო ბიბ.), პანიევი (რევ. მუზ.), სუნდუკიანცი (სახ. საჯარო ბიბ.), ტერ-გუკასოვი (შაუმიანის სახ. ბიბ.), ტროიანოვსკი (ტ. კ. აგიტ.-პროპ. ბიბლიოთეკა), თუმანოვი (შაუმიანის სახ. ბიბ.), და ცაგარელი (სახ. საჯარო ბიბლიოთეკა).

ამრიგად ტიპების მიხედვით სექციაში წარმოდგენილნი არიან:

აკადემიური ბიბლიოთეკებიდან	6 კაცი.
სამეცნიერო დაწეს. ბიბლიოთეკებიდან	2 კაცი.
პოლიტგანათლების ბიბლიოთეკებიდან	2 კაცი.
პარტიული ბიბლიოთეკებიდან	1 კაცი.

გასული დროს განმავლობაში გაიმართა სექციის 6 სხდომა. თითო სხდომას ესწრებოდა საშუალოდ 6,5 კაცი. გარდა ამისა სექციის სხდომებს ესწრებოდენ და საინფორმაციო მოხსენებებს აკეთებდენ: ამხ. გეგენავა და ექიმი სკოროდუმოვი, რომელიც აწარმოებს ბიბლიოთეკართა პროფესიის გამოკვლევას. სექციის მუშაობა სწარმოებდა გან. მუშ. ცენტრ. სახლში პარასკეობით, საღამოს 8—10 საათ.

სექციის სხდომებზე გაირჩა სულ 10 საკითხი:

1—გაირჩა თეზისები ამხ. მარკევიჩის მოხსენებისა ასოციაციის საერთო კრებაზე 1927 წ. დეკემბრის 21: „ბიბლიოთეკის მუშაკთა შრომის და ყოფა-ცხოვრების შესწავლის სექციის ამოცანები“.

2—შედგენილია ამ თეზისების საფუძვლებზე სექციის მუშაობის უახლოესი გეგმა.

3—შედგენილია ეკ. სკოროდუმოვთან ერთად საორიენტაციო გეგმა ბიბლიოთეკართა შრომის პირობების გამორკვევისა, რომელიც დაიწყო საკ. შრომის სახ. კომისარიატმა და გან. მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგეობამ.

4—შემუშავდა ბიბლიოთეკარის პირადი ბარათი აღრიცხვისათვის.

5—განხილულ იქნა სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში წიგნების დალაგების წესების გამოკვლევის შედეგები და წარდგენილ იქნა საშუალებანი ამ საქმის რაციონალიზაციისათვის.

6—შედგენილია ფორმა ბარათისა იმ დროის აღსარიცხავად, რომელიც იხარჯება ცალკე სამუშაო ოპერაციებზე ბიბლიოთეკებში.

7—შედგენილია ინსტრუქციები. საალრიცხვო პირადი ბარათების შესავსებად და საწარმოებლად.

8—დაწყებულია საბიბლიოთეკო ოპერაციების ნომენკლატურის შედგენა ბიბლიოთეკების ტიპების მიხედვით.

9—დამუშავებულ იქნა რეზოლუციები საბიბლიოთეკო მუშაობის რაციონალიზაციის კონფერენციისა (მოსკოვი, 1927 წ.), წიგნების ინვენტარიზაციის გამარტივების შესახებ ბიბლიოთეკებში.

10—მოსმენილ იქნა მოხსენება: ბიბლიოთეკებში წიგნების ინვენტარიზაციის რაციონალიზაცია საინვენტარო ფურცლების ზედნადებით საშუალებით".

გარდა ამისა სწარმოებს პრაქტიკული მუშაობა წიგნების ჩვეულებრივი და გამარტივებული ინვენტარიზაციისათვის საჭირო დროის ნორმის გამოსარკვევად და რგძელდება დაგროვება მასალებისა იმ სამუშაო ოპერაციების საერთო ნომენკლატურის შესადგენად, რომელსაც (ოპერაციებს) ადგილი აქვს სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებში (აკადემიურში, სამეცნ. დაწესებულებათა ბიბლიოთეკებში, პოლიტ-განათლების და პროფკავშირთა ბიბლიოთეკებში). მუშავდება სტანდარტული ფორმა საინვენტარო ფურცლის ზედნადებისა.

უახლოეს დროისათვის განზრახულია ორი მოხსენება ასოციაციის წევრთა საზოგადო კრებისათვის:—1—„გამარტივებული ინვენტარიზაცია წიგნებისა ბიბლიოთეკებში" და 2—„ბიბლიოთეკართა მუშაობის საალრიცხვო ბარათის ერთიანი ფორმა". ამისათვის საჭირო მასალა უკვე დამუშავებულია სექციაში. ამის შემდეგ სექციას განზრახული აქვს შეუდგეს აბონენტებზე მუშაობის შესწავლას და რაციონალიზაციას. როცა ცალკე ბიბლიოთეკებიდან შემოვა პირადი საალრიცხვო ბარათები იწარმოებს შესწავლა წიგნების კლასიფიკაციის, ინვენტარიზაციის და კატალოგებისა და ფორმულიარების შედგენისათვის საჭირო შრომის ნორმებისა.

სექციის საერთო სამუშაო გეგმაში მარტისათვის შეტანილია დამუშავება ყველა იმ საკითხებისა, რომელიც წამოყენებული იყო საბიბლიოთეკო მუშაობის კონფერენციაზე (მოსკოვში) და შესწავლა ასოციაციის პრეზიდიუმის დავალებით ცალკე კონფლიქტებისა, რომელიც თავს იჩენს ადგილებზე ბიბლიოთეკართა პროფესიასთან და ყოფა-ცხოვრების პირობებთან დაკავშირებით; სექცია თავის დასკვნას წარუდგენს პრეზიდიუმს განხილული კონფლიქტების შესახებ.

ასეთია სექციის მიერ გავლილი გზა და პერსპექტივები მუშაობისა უახლოესი დროისათვის. დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ სექციის ორგანიზაციული ჩამოყალიბება ჯერ არ დასრულებულა. არაა ჯერ გაბმული კავშირი მონა-

თესავე ორგანიზაციებთან, თუმცა განზრახულია კონტრაქტის დამყარება საქ. მთავ. პოლიტმართველობის საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტთან (მოხსენებათა გაცვლა გამოცვლით) და ქალაქის ბიბლიოთეკარის მოსკოვის კაბინეტთან, აგრეთვე გან. მუშაკთა კავშირის ცენ. სახლთან არსებულ ბიბლიოთეკართა ასოციაციასთან მოსკოვში (მასალების გადაგზავნით). აუცილებელია ავრეთვე სექციის შევსება ახალი წევრებით, განსაკუთრებით პროფკავშირის ბიბლიოთეკარებით, რომელნიც სამწუხაროდ, ჯერ არ არიან წარმოდგენილნი სექციაში, რითაც ძლიერ ბრკოლდება ამ ტიპის ბიბლიოთეკების გამოკვლევა.

ᲐᲓᲒᲘᲚᲙᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲐ

კულტ. მუშაობა პატარძეულში. ახლად ჩამოყალიბებულ ადგილკომის საერთო კონფერენციაზე გამოყოფილ იქნა კულტ. კომისია სამი კაცისაგან შემდგარი.

თემში ჩამოყალიბდა სამი სამეცადინო წრე: პროფწრე, ლიტერატურული წრე და პედაგოგიურ-პოლიტიკური. რაც შეეხება უკანასკნელ ორი წრის შეერთებას, ეს გამოწვეულ იქნა სათანადო პირობების მიერ და ამ წრეს აქვს შემუშავებული წლიური გეგმა, სადაც არის შეტანილი 60-ამდე პედაგოგიური და პოლიტიკური თემები. წრე მეცადინეობს თვეში ორჯერ, სადაც იკითხება მოხსენებები აღნიშნული თემებიდან.

პროფწრის სამეცადინო გეგმა შესდგა 6 თვიანი შემდეგი შინაარსით: I პროფმოძრაობის ისტორია. II პროფ. მოძრაობა რუსეთში და საქართველოში. III პროფკავშირების ზოგადი სახეები. IV თანამედროვე ტრედუნიონიზმი, სინდიკატი და გეევრჰშაფტი. V საწარმოო კავშირები. VI რა უნდა იცოდეს განათლების მუშაკმა თავის კავშირის შესახებ.

წრეში მეცადინეობა ხდება თვეში ერთხელ რეფერატების წაკითხვით.

ლიტერატურულ წრეში შეტანილია შემდეგი თემები:

I. საზოგადოებრივი ცხოვრება და მხატვრული ლიტერატურა.

II. ქართული ლიტერატურა XII საუკუნემდე.

III შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხვის ტყაოსანი".

IV ქართული მწერლობა XII საუკუნიდან XVIII-მდე.

V. XIX საუკუნის ლიტერატურის სოციოლოგიური მიმოხილვა.

VI. რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში.

VII. ნ. ბარათაშვილი.

VIII. სოციალური მოტივი 19 საუკ. ქართულ ლიტერატურაში

IX. ვაჟა-ფშაველა და მისი შემოქმედება.

X. ალექსანდრე ყაზბეგი.

XI. ლირიკა.

XII. თანამედროვე მწერლობა.

ყველა ეს თემები შეუქდება ფართე მასაში. ლიტერატურულ საღამოების, გასამართლების, ლექციების, წარმოდგენების და სხვათა მოწყობით. კულტ.კომისიამ შეადგინა გეგმა სოფლად მუშაობის, რომლის გატარებაში ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს ადგილკომს.

ზემოდ აღნიშნულ წრეებში მეცადინეობა სწარმოებს და რამოდენიმე თემა უკვე გაშვებულია, ხოლო კულტ. კომისია ცდილობს, განსაზღვრულ დროში სრულიად ამოწურულ იქნას შედგენილი გეგმა. ჩვენი კავშირის წევრები გულმოდგინედ ეკიდებიან ყოველ წრის მეცადინეობას და არავინ არ აკლდება მას.

სოლო ცაიშვილი.

მარტყოფი. ა|წ. ნოემბრის 27 შეისდგა მარტყოფის რაიონის განათლების მუშაკთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენელი ამხ. ბარაბაძე დღის წესრიგში იყო: ადგილკომის და სარევიზიო კომიის მოხსენებანი, არჩევნები და მომდინარე საკითხები. რაი-ადგილკომის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. ჯანტურია. მომხსენებელი წინასწარ აღნიშნავს, რომ მას უხდება ადგილკომის თავმჯდომარის მაგივრად მოხსენების გაკეთება, რადგან 2 თვე არის, რაც იგი განათლების განყოფილების მიერ გადაყვანილ იქნა სხვა რაიონში. მომხსენებელი ეხება მთავარ მომენ-

ტებს და დამახასიათებელ მოვლენებს ადგილკომის საქმიანობისას. მაგ. ფინანსიური მხარე, კულტ-მუშაობა და სხვ. დასხვა სახის დახმარება კავშირის წევრებზე. საბოლოოდ მომხსენებელმა აღნიშნა სარევიზიო კომისიის საჭიროება, რომ ადგილკომის მუშაობა ძალზე სუსტია და არა დამაკმაყოფილებელი.

მოხსენების დამთავრების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები და მომხსენებელმა გასცა ყველას პასუხი შესაძლებლობის ფარგლებში. შეკითხვების დამთავრების შემდეგ—გაიმართა კამათი.

კავშირის წარმომადგენელი ამხ. ბარაბაძე, აღნიშნავს ყველა სისუსტეებთან ერთად ადგილკომის მიერ თავის უფლების და მოვალეობის არ ცოდნას. ყველა ამხანაგები აღნიშნავენ, რომ ადგილკომი არ იდგა თავის სიმაღლეზედ. არ ყვდა დაზღვეული ყველა წევრები, რის გამოც თითოეულ წევრს უხდებოდა ტფილისში წასვლა და ხარჯის გაწევა. არ ხდებოდა სისტემატიურად საწევრო ანარიცხების აკრეფა და ეს გახდა მიზეზი ჩვენი დიდი დავალიანებისა. არ ხდებოდა განხილვა ცენტრალურ გამგეობის დირექტივების. შრომის დაცვის და კულტ-კომისია მოხსენებას არ უკეთებდა ადგილკომს და ეს უკანასკნელი არ აქცევდა არავითარ ყურადღებას. არ იყო ცდა პროფმოძრაობის შემსწავლელი წრის დაარსებისა. ადგილკომი არ ადგენდა სამოქმედო გეგმას. კულტ-მუშაობა ძალზე მოისუსტებდა ტეხნიკურ პერსონალის შორის. ადგილკომის თავმჯდომარემ არ იცოდა, ვინ იყო მისი წევრები. ჟურნალ-გაზეთების საქმე არ იყო მოგვარებული. დამზღვევ სალაროს საქმე მოუწესრიგებელი იყო, რის გამოც ტფილისი ჩაშორებოდა და სართიპალას შეგვიერთენ. ადგილკომის ბეჭდის გადაცემა ხდებოდა არა ადგილკომის წევრებზე, რაც დაუშვებელია. კონფერენცია წინადადებას აძლევს ამხ. ჰანტურაიას რათა სპასუხო სიტყვაში შეეხოს ძხოლოდ სარევიზიო კომისიის მუშაობას, როგორც მისი პირდაპირი მოვალეობა. ამხ. უპასუხებს სარევიზიო კომისიის სახელით. კამათის დამთავრების შემდეგ შემოდის რეზოლუცია ადგილკომის მუშაობის შესახებ, სადაც იყო აღნიშნული ადგილკომის უაღრესი სისუსტე და მისი მუშაობა ჩაითვალოს არა დამაკმაყოფილებლად. რეზოლუცია მიღებული იქნა. შემდეგ ამხანაგებს შემოაქვთ პრაქტიკული წინადადებანი, მუხლობრივად ჩამოყალიბებული მომავალი ადგილკომის მუშაობისათვის. სარევიზიო კომისიის მუშაობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად. დაბოლოს კონფერენცია გადადის არჩევნებზე. რაიადგილკომში აირჩიეს: ამხ. ამხ. ს. დოლიძე, დ. მუსერიძე, ვ. ლობჟანიძე, ი. ლაბაძე და ი. ღუჯაშვილი. სარევიზიო კომისიაში: გ. ნიკოლაიშვილი, ი. ა. ეპიტაშვილი და ე. ქერქაძე. კულტ-კომისიაში: ვ. ლობჟანიძე, ვ. ქოიავა და დ. ბ. ბერიშვილი. შრომის დაცვის კომისიაში: გ. სალთხუციშვილი, ლ. ლაბარტყავა და ი. ღუჯაშვილი. კონფერენციის დახურვის შემდეგ—შესდგა ახალი ადგილკომის პირველი საორგანიზაციო სხდომა, სადაც განაწილდა ფუნქციები: ადგილკომის თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. ს. დოლიძე. მდივნად: ვ. ლობჟანიძე, მოლარედ: დ. მუსერიძე. ახალ ადგილკომს დაევალა ანგარიშების გადმობარება სარევიზიო კომისიის კონტროლის ქვეშ. უსურვებ ახლად არჩეულ ორგანოებს ენერგიულ საქმიანობას.

მარტყოფის ს. ა ს. მასწ. **დ. მუსერიძე.**

მიქელ გაბრიელის (გურია) გან-მუშაკთა კავშირი აერთიანებს 17 წევრს. ამათში 3 უმუშევარია. უმუშევარია ერთი მასწ. და ორი სამკითხველოს ყოფ. გამგე, უმუშევრად დარჩნენ შტატების შემცირების გამო. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა, რაიც გამოიხატება ცენტრიდან სიშორეზე, უგზოობა და სხვა, ვმართავდით კრებებს, სადაც ირჩეოდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები, ან კეთდებოდა მოხსენებები სხვადასხვა თემებზე.

თვითგანვითარებისთვის კავშირს ყავს გამოყოფილი წრეები: პროფ-წრე, პედაგოგიური და კულტ-წრეები. თითოეულ წრეს თვიური გეგმის მიხედვით აღრიცხული აქვს დღეები სამეცადინოდ. მეცადინეობა არის გეგმიანი, კვირაში ორჯელ ოთხშაბათ და პარასკევით. ვმეცადინობთ უმთავრესად კოლექტიურად, ნაკლებ შემთხვევაში—ინდივიდუალურადაც. მეცადინეობაზე, გარდა მასწავლებლებისა, გვესწრება დაინტერესებული პირებიც. ირჩევა პროფესიონალური, პოლიტიკური და პედაგოგიური საკითხები. მეტ დროს ვანდომებთ კომპლექსიური პროგრამების გარჩევას, რადგან ამ უკანასკნელის შესწავლა ძალიან გვაინტერესებს. დამუშავებულ ოქმების ასლი ეგზავნება სამაზრო გამგეობას.

კავშირში არსებობს აგრეთვე შრომის და შემფ.-საკონფლიქტო კომისიები. ამ კომისიების მუშაობა პირველად ვერ იყო დამაკმაყოფილებელი, რადგან მათ არ იცოდენ თავიანთი მოვალეობა. მაგრამ რაზან სამაზრო გამგეობის თავრეშ. ამხ. გ. ჯიბლაძემ მოგვცა ახსნა-განმარტება შრომის და შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების მუშაობის შესახებ, ამხანაგებიც ამუშავდენ. ზოგჯერ შრომის კომისია ათვალიერებს სკოლის შენობებს და ამხანაგურად უთითებს გამგეებს სისუფთავის დაცვაზე, სკოლების რემონტზე და სხვა. ამ მხრივ, თუ რომელიმე სკო-

ლას დახმარება დასჭირდება, ხსენებული ამხანაგები გამოდიან მოხსენებით ან კავშირის ან საოქმო საბჭოს კრებებზე.

საზოგადოებრივ მუშაობაშიც ჩვენი მასწავლებლობა თითქმის 100% არიან ჩაბმული. არ არის თემში ისეთი დაწესებულება, რომელშიაც ჩვენი კავშირის წევრები არ იყვნენ ჩაბმულნი მუშაობაში. ადგილობრივ ხელისუფლებასთანაც კარგ განწყობილებაში ვართ. რაც შეეხება ინდუსტრიალიზაციის და საგლეხო სესხებს—კოლექტიურად შევიძინეთ 150 მან. ობლიგაცია და თითო კუპონი ყველა წევრებმა ცალ-ცალკე საგლეხო სესხის. აგრეთვე კავშირის ხელით გავრცელებულ იქნა გლეხობაში დამატებით 100 მანეთის საგლეხო სესხის ობლიგაცია. გაღებულ იქმა აგრეთვე თითო დღის ხელფასი ცალ-ცალკე ინგლისის პროლეტარიატის, ლენინაკანის და თვითმფრინავ პროფკავშირის სასარგებლოდ, რაიც გადაგზავნილ იქნა თაეის დროზე დანიშნულებისამებრ.

კავშირმა აიღო შეფობა ადგილობრივ სამკითხველოზე, გამოუწერა მას გაზეთები, გამოყო თავის წრიდან გამგე, რომელიც ზრუნავს სამკითხველოს გასაუმჯობესებლად.

უნდა ითქვას, რომ ჟურნალ-გაზეთებით ჩვენი მასწავლებლობა ძალიან დაინტერესებულია. ჯერ ჯეროზით კავშირს მოდის „კომუნისტი"—7 ცალი, „ფუხარა"—1 ც., „ახალი სოფელი" —13. ჟურნალები: „განათლების მუშაკი"—10 ცალი, „ახალ სკოლისაკენ"—8 ცალი და ჟურ. „ახალი სოფელი"—5 ც.

მილწევებთან ნაკლიც გვაქვს. მთავარ ნაკლად ჩაითვლება ურთიერთ დამხმარე სალაროს. ეს სალაროს ჩვენ გვქონდა ოზურგეთთან ერთად. სამ წელიწადს კიდევაც ვაგზავნეთ იქ ანარიცხები, მაგრამ სიშორის გამო ვერ ვისარგებლეთ. გასულ წლიდან სალაროს ჩვენ ცალკე დავაარსეთ, მაგრამ, დახე ჩვენს უბედობას! ჩვენი ძველი ფული ვერსად მივაგენით. დაგვჭირა ახალი სალაროს მცირე თანხით, რომლითაც ჩვენი კავშირი შორს ვერ წავა.

კავშირს მაზრასთან ცოცხალი კავშირი აქვს და ყოველგვარ ახსნა-განმარტებას დროზე ღებულობს.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კავშირი მოხარულია, თუ ჟურნალ „განათლების მუშაკს" მიეცემა ლიტერატურული დამატება იმ საზით, როგორც არის აღნიშნული ჟურნალის მე-10 ნომერში, რადგან ჩვენ კავშირს სწყამს, რომ დღევანდელ პირობებში ჩოუმზადებელი მასწავლებელი ზედმეტი ბარგია სკოლაში.

მიქელ-გაბრიელის გან. მუშაკთა კავშირის
რწმუნებული **სოლომონ ჩხაიძე.**

გან. მუშაკთა **ხაბუმის** (ხუგდიდის მაზრა) ადგილკომი აერთიანებს 60 წევრს. აქედან სამი უმუშევარი წევრია. ადგილკომის ახალი შემადგენლობა არჩეულია 1927 წლის 15 ნოემბრიდან. დღიდან არჩევისა, ადგილკომი მთავარ ყურადღებას აქცევდა მასწ-თა შორის კულტმუშაობას. სამოსწავლო წლის დასაწყისიდან ჩამოყალიბდა დაჯალი ჯგუფის მასწ-თა სექციები, რომელთა მიზანს შეადგენს 4 წლედის პროგრამების გარჩევა. ამას გარდა ჩამოყალიბებულია სათვითგანვითარებო წრეები: ხაბუმის 9 წლედთან, მუხურის, ჭოლის და ომარტეს შვიდწლედებთან და თაიის 4 წლედთან.

მიმდინარე წლის თებერვლიდან ადგილკომის კულტკომისიამ შეიმუშავა წრეებისათვის 4 თვიური სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკურ, პედაგოგიურ და პროფესიონალურ საკითხების განხილვას, სულ 16 მოხსენება და საუბარი (კვირაში ერთხელ). გეგმა დაეგზავნა ყველა წრეებს.

საერთო წესის თანახმად ადგილკომი აგროვებს 2½% იან ანარიცხებს, რაც მცირედის გამონაკლისით თავის დროზე შემოდის. უნუგეშო მდგომარეობაშია დამხმარე სალარო. ამხანაგებს არ შემოაქვთ საწევრო გადასახადი და წევრთა ოიცხვი თანდათან მცირდება. ზოგიერთი ამხანაგები გატანილ სესხსაც არ აბრუნებენ. იმედია, აწი მაინც გამოსწორდება სალაროს მდგომარეობა.

ჟურნალის გავრცელების საქმე ჯერ კიდევ მოისუსტებს, მიუხედავად მასწავლებელთა კრების დადგენილებისა, გასული წლის 15 ნოემბრის თარიღით. ამ ნაკლის გამოსწორებისაკენ არის მიმართული ადგილკომის მთელი გულისყური. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მოკლე ხანში არც ერთი მასწავლებელი არ დარჩება უყურადღებოდ.

ადგილკომის წევრი **რემა ჯალალონია.**

ზალკინდი

კულტურული რევოლუცია და პედოლოგიის საკითხები

(სრულიად საკავშირო პედოლოგიურ პირველ ყრილობის გამო)

პედოლოგია არის მეცნიერულ ცოდნათა სისტემა, დაკავშირებული ზრდასა და განვითარებაში მყოფ ადამიანის შესწავლასთან. პედოლოგია ისწავლის ადამიანს განვითარების პროცესში, დაწყებული ემბრიონალურ პერიოდიდან და გათავებული სრული მომწიფების ხანით. ამიტომ ბუნებრივია, რომ ყველა საკითხები, რომლებიც კი ეხება ადამიანის პიროვნების ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესწავლას, განსაკუთრებულად გამახვილებულია პედოლოგიაში. გასულ წლეებში საბჭოთა პედოლოგია იყო ყველაზე ფართე და აქტუალური პლაცდარმი, რომელზედაც გახელებით დაეჯახენ ერთი მეორეს ადამიანის შესახებ მეცნიერებაზე სხვადასხვა თვალსაზრისის მატარებელი წარმომადგენელნი.

1-ლ პედოლოგიურ ყრილობას (28/XII—27 წ. 4/I—28 წ.) დიდი მნიშვნელობა აქვს ნორჩ სოციალისტურ კულტურისათვის უმთავრესად იმის გამო, რომ ის შეიქნა სერიოზულ თვისობრივ ძვრის ეტაპად მეცნიერებაში ადამიანის შესახებ. ამ ყრილობაზე შეხვდენ ერთი მეორეს ს. ს. რ. კ-ის ყველა სკოლები და მიმდინარეობანი, რომლებიც ამუშავებენ ადამიანის ფსიხო-ფიზიოლოგიას. მათ აწარმოეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა და **მარქსისტულ ნიადაგზე** შეთანხმდენ ამ მეცნიერების ძირითად, მთავარ საკითხებში.

ეს ერთობა არც ისე ადვილადაა მოპოებული; ის შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ 6—7 წლის ნაყოფიერი, მაგრამ ცხელ დისკუსიის შემდეგ. შემთხვევითი არაა ის, რომ ოქტომბრის 10 წლის თავზე ჩვენ ჩავატარეთ პედოლოგია მხოლოდ პირველი ყრილობა. იმდენად მწვავე იყო წარსულში განხეთქილება და იმდენად რთული იყო ამ მეცნიერულ სფეროში არსებულ ახალ იდეოლოგიურ თვითგამორკვევის პროცესი, რომ მის წარმომადგენელთა მასიური შეხვედრა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ ძირითად ანტაგონიზმების დაძლევის შემდეგ. ჯერ კიდევ სასინჯ თათბირზე, 1-ლ საკავშირო პედოლოგიურ კონფერენციაზე (აპრილი 1927 წ.) აერთვა ალღო მომავალ გაერთიანებას და აი 1-ლმა ყრილობამ ყოველმხრივ, მეგობრულად შეაჯამა, ფსიქო-ფიზიოლოგიაში მარქსისტული პლატფორმის შემუშავების მიზნით 10 წლის განმავლობაში წარმოებული კოლექტიური შემოქმედებითი მუშაობა.

პედოლოგიაში ჩვენ ვამჩნევთ შეუწყვეტელ შეჯახებას საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის. პედოლოგიაში ყველა ბიოლოგიური მასალები ადამიანის შესახებ ხდება ყველაზე **უფრო სოციალურად საგრძნობი**, რადგან მას მუდმივ საქმე აქვს სოციალურ გარემოსთან, რომელიც ყველაზე საგრძნობ გავლენას ახდენს რიცხობრივ და თვისობრივ ცვლილებებზე ზრდის პროცესში მყოფ ადამიანის ორგანიზმში. ბუნებრივია, რომ, გაცხოველებული

დისკუსიები, ოქტომბრის მიერ შექმნილ ახალ საზოგადოებრივ ფორმების გარდატეხისა განვითარების პროცესში მყოფ ადამიანში, განსაკუთრებით გამახვილდენ პედოლოგიაში.

ახალ, მასიურ ადამიანის აღზრდისათვის საჭირო გარემოს თვისებებისა და ამ ახალ მასიურ ადამიანის სოციალისტურად აღზრდის შესაძლებლობის საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული პედოლოგიასთან. სწორედ აქ, ს. ს. რ. კავშირში, გვაქვს ჩვენ ის ძირითადი სამეცნიერო ბაზა, რომელზედაც შესაძლებელია საკითხის პრაქტიკულად დამუშავება სოციალისტურ ადამიანის აღზრდის მეთოდების შესახებ. ამ საკითხმა თავის განსაკუთრებული გამოხატულება უნდა ჰპოვოს პედოლოგიაში, მეცნიერებაში ადამიანის ზრდის და განვითარების შესახებ, რადგან ახალ გარემოს ზეგავლენა ადამიანზე განსაკუთრებით ძლიერი და ეფექტიურია ბავშობაში.

გასულ ათი წლის განმავლობაში, პედლოგიის შემოქმედებითი კრიზისთან ერთად არა ნაკლებ ღრმა კრიზისს განიცდიდა პედაგოგიკაც. მაგრამ მიუხედავად მისი სირთულისა, ეს კრიზისი (პედაგოგიკის) ნაკლებ სერიოზულია, ვინემ პედოლოგიის მიერ გადატანილი პროცესი.

ს. ს. რ. კ. პედაგოგიური სისტემა არის მკვეთრად მოხაზული კლასიური დაკვეთა, პრაქტიკული დაკვეთა, რომელსაც ახალი საზოგადოებრივი წყობილება უყენებს აღზრდის საქმეს. ამ მტკიცე სოციალურ მოთხოვნილების შესრულებით, საბჭოთა პედაგოგიკამ დაასაბუთა სოციალისტურ პედაგოგიურ იდეოლოგიის მთავარი წინააღმძღვრები, შექმნა სოციალისტურ პედაგოგიკის გეგმის ხერხემალი და ჩამოაყალიბა სახელმძღვანელო პროგრამული საკითხები, რომელნიც წარმოადგენენ შესავალს ამ გეგმის შესასრულებლად.

მიუხედავად გრანდიოზულ ცვლილებებისა ძველ პედაგოგიურ სისტემაში, რომელიც მოახდინა საბჭოთა პედაგოგიკის რევოლუციონურმა მუშაობამ, მიუხედავად იმ გარდატეხებისა ჩვენ სასწავლო-აღმზრდელობითი ცხოვრებაში, რომლებიც თან ახლდნ ამ მუშაობას—მასში მაინც მოიპოება სპეციფიური ელემენტი, რომელიც აადვილებს მის გაბედულ შთანერგვას საბჭოთა კულტურულ გარემოში: საბჭოთა პედაგოგიკა ძლიერი იყო თავის პრაქტიკულ კლასობრივ აუცილებლობით, თავის ისტორიულ უდავობით.

ახალი გაბატონებული კლასი აყენებს თავის გარკვეულ მოთხოვნილებებს, რათა აღზრდილ იქნას მისი შემცვლელი, ეს მოთხოვნილება არა ორაზროვანია და უდავოა,—როგორც საერთოდ, ისე მთავარ დეტალებშიაც. პრაქტიკული, კლასიური უდავობა ახალ პედაგოგიურ დაკვეთის—აი მთავარი თვისება ს. ს. რ. კ—ში ჩატარებულ პედაგოგიურ რევოლუციის და ძლიერის სწორედ ამ თავის უდავობით.

მაგრამ ახალი პედაგოგიურ სისტემის განხორციელება შეიძლება მხოლოდ **ადამიანზე ზემოქმედების იმ ახალ მეთოდების** განვითარებით, რომელიც არ იყო ცნობილი წარსულ სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემებში. საჭიროა ამ მეთოდების შექმნა, რაც დასაშვებია მხოლოდ იმ მასალის **ხელახლად შესწავლის პირობებში**, რომელზედაც სწარმოებს პედაგოგიური მუშაობა. ამ გვარ მასალად კი ითვლებიან ბავშები.

პრაქტიკაში ღრმად და ფართედ თავის განხორციელება საბჭოთა პედაგოგიკას შეუძლია **ახალ**, იმავე **საბჭოთა პედოლოგიის** საშუალებით. სწორედ პედოლოგიას მიანდო პედაგოგიკამ თავის ამოცანის ყველაზე მწვავე პრაქტიკული ნაწილი.

უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში ჩვენ გვქონდა ერთ ათეულზე მეტი საკავშირო პედაგოგიური ყრილობები და კონფერენციები მოწვეული ზოგად და უდიდეს სპეციალურ საკითხების გამო და არც ერთი—პედოლოგიური. პედაგოგიურ ხაზით უფრო ადვილი იყო კლასიურ დიალექტიურ-მატერიალისტურ პოზიციების ნათლად გარკვევა, ვინეიდ პედოლოგიურ-პედაგოგიურ თეორიასა და პრაქტიკაში. არ არის გასაკვირი, რომ პედაგოგიურმა რეაქციამ „კეთილ ინება“ მისთვის არა ხელსაყრელ იდეოლოგიურ-პრინციპიალურ ბრძოლის ველიდან წასვლა და შეეცადა **პრაქტიკულ რევანშის** აღებას, კერძოდ პედოლოგიაში. სწორედ პედოლოგიაში ამაოდ ცდილობდა ის ეპოვნა პროლეტარულ რევოლუციის საწინააღმდეგო შხამი. მაგრამ ამ 10 წლის განმავლობაში წარმოებული ცდა რეაქციონურ პედაგოგიურ რევანშის აღებისა „პედოლოგიის ფრონტის გარღვევის“ გზით, მარცხით დამთავრდა. სრულიად საკავშირო I პედოლოგიურ ყრილობის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ ვილაპარაკოთ კონსოლიდაცია ქმნილ, ერთიან საბჭოთა პედოლოგიაზე, რომელმაც,—საბჭოთა პედაგოგიკასთან ერთად და მის შემდეგ—თავის ძირითად საკითხებში შედგა მარქსიზმის ნიადაგზე.

პედოლოგიურ ყრილობაზე მომხდარ პრინციპიალურ შეთანხმებას წინუსწრებდა მკაცრი პედოლოგიური დისკუსია, რომელიც, დაწყებული 1922 წლიდან, იმართებოდა აბსოლუტურად ყველა ყრილობებზე და კონფერენციებზე, რომელიც დაკავშირებული იყო პედაგოგიკასთან და საერთოდ ადამიანის შესწავლასთან.

რამდენადაც ეს ყრილობები არსებითად არ იყო პედოლოგიური—პედოლოგიური პრობლემები ისმებოდა იქ „ნახევრად კანონიერად“, მაგრამ მომაბეზრებლად—მით უმეტეს, რომ ყველა პედაგოგიური, ფსიქონერვოლოგიური, ფსიხოპატოლოგიური და სხვა საკითხები **მწვავე ახალ საბჭოთა პრაქტიკაში** აუცილებლად ემწყვდეოდა ამ ყრილობებზე პედოლოგიურ ჩიხში. 1 ლი და 2 რე ფსიქო-ნერვოლოგიური ყრილობა, ყველა სკოლის ასაკამდე აღზრდის ყრილობები და სხვა, პლაცდარმი იყო პედოლოგიურ ბრძოლებისათვის. 1-ლმა პედოლოგიურმა ყრილობამ, მთავარ მომენტებში, მოათავა ეს ნაყოფიერი ბრძოლითი, კრიტიკული ხაზი, და იმისაგან იწყება ახალი ერა დადებით აღმშენებლობისა მარქსისტულ პედოლოგიის ბაზისზე.

თვით პედოლოგიაში და „პედოლოგიის გარშემო“ იყო ორი მთავარი დავა, რომლებიც ქვაკუთხედს შეადგენდა ყველა ძირითად პედოლოგიურ პრობლემათა გად საწყვეტად: a) დავა ადამიანის პიროვნების სტრუქტურის შესახებ; b) დავა ადამიანის პიროვნების ცვალებადობის შესახებ.

ბევრს ხშირად ეჩვენებოდა (ეხლაც ხომ არ ეჩვენება?), რომ დისკუსია მარქსისტულ ფსიქოლოგიის შესახებ არის აბსტრაქტულ-ფილოსოფიური დისკუსია. არა ნაკლებ რაოდენობას ადამიანებისას ელანდებოდა, რომ მოძღვრება რეფლექსებზე არის „მხეცური“, „ძაღლური“ მოძღვრება, რომელიც არაფერს იძლევა ადამიანის ფსიქიკის გაგებისათვის. ადამიანის ორგანიზმის ცვალებადობის

საკითხები წარმოედგინათ არა ნაკლებ აბსტრაქტულად და ხშირად პრაქტიკისათვის ზედმეტადაც.

ამ „აბსტრაქტულ“ საკითხების სერიოზულ გადაჭრის გარეშე, საბჭოთა პედოლოგიას და მაშასადამე საბჭოთა პედაგოგიკასაც პრაქტიკულად არ ექნება **მუშაობის საგანი.**

ავიღოთ აღნიშნულ პრობლემათაგან პირველი—**ადამიანის პიროვნების სტრუქტურის შესახებ.** საკითხი „სულისა“ და სხეულის მთლიანობის,—ფსიქოფიზიკურ მონიზმის შესახებ მის დიალექტიურ გაგებაში, და საკითხი ადამიანურ ფსიქიზმის სოციალურ განპირობებისა—ეს მთავარი საკითხები პიროვნების სტრუქტურის შესახებ—რას ნიშნავენ ისინი?

პრაქტიკულ, ე. ი. უპირველეს ყოვლისა—პედოლოგიურ ენაზე გადატანით ამ საკითხებს მივყევართ ადამიანის **მთ იან შესწავლისაკენ** და აღ იცხვისაკენ სოციალურ გარემოსი, როგორც გაბატონებულ ფაქტორის, ადამიანის აქტივობისა და ადამიანის ქცევის შინაარსის და ფორმის შესწავლის დროს. ფსიქოფიზიკურ დიალექტიკურ მონიზმში და ადამიანის ფსიქიკის სოციოგენურ ახსნაში ვპოულობთ ჩვენ კონკრეტ, **პრაქტიკულ მეთოდს** ადამიანურ მასალის **შესწავლისა.** ამ მეთოდებას საზით ჩვენ გვეძლევა ერთიანი, მტკიცე საფუძველი ადამიანის შესასწავლად და ვიცით, თუ **რა უნდა შევისწავლოთ** და **როგორ** უნდა შევისწავლოთ ეს „რა“.

ცვალებადობის პრობლემაში ჩვენ შევისწავლით, თუ როგორ იცვლება ეს მთლიანი ადამიანური მასალა ცვალებად გარემოს პირობებში. ამ პრობლემაში,—რომლისაც პირველისაგან განშორება შეუძლებელია—განსაკუთრებულ სიმწვავით წამოყენებულია ყველა უმთავრესი საკითხები დიალექტიკის გამოკვლევისა ადამიანის პიროვნების სტრუქტურის შესახებ სწავლაში. ბუნებრივია რომ, ამ პრობლემის გარშემო აღძრული კამათი იღებს განსაკუთრებით მკაცრ ხასიათს, რადგან ის აღრმავებს აბსოლუტურად ყველა საკითხებს, ადამიანის **ბიოფსიქოლოგიურ შესაძლებლობათა შესახებ ამა თუ იმ გარემოს პირობებში.**

(დასასრული იქნება).

დ. გიორგაძე

შრომის სკოლის ამოცანები

მასწავლებლის შენიშვნები

Sოციალისტურ მშენებლობის საფეხურზე შემდგარ საზოგადოებას ესაჭიროება სკოლაც სოციალისტური. დასაყრდნობი ბაზა ასეთი სკოლისა სოფლად იქნება სოფლის აგრიკულტურა, ქალაქად კი განვითარებული ინდუსტრია. შრ. სკოლის როლი ყველგან ერთი და იგივე არ არის.

ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყნებში, სკოლა უნდა იყოს უმაღლესი კულტურული კუნძული საქალაქო და სასოფლო მეურნეობის ფონზე. სკოლა უნდა ეხმარებოდეს საზოგადოებას. ამიტომ უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ააშკარავებდეს და

პირველ ამოცანათა რიგში სვამდეს საზოგადოებისთვის სასარგებლო აუცილებელ შრომის შესრულებას, რომელიც გადადებას არ მოითხოვს. თემებიც და პროგრამებიც მხოლოდ ამას უნდა ეყრდნობოდეს. მაგ., სისუფთავე სოფლად, ბრძოლა კერძო ვაჭრობასთან, კოოპერაციის დაარსება-გაძლიერება, მეურნეობის რომელიმე სასარგებლო დარგის განვითარება და სხ.

რუსეთის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ გამომუშავებული ახალი პროგრამების დამახასიათებელია სწავლება კომპლექსური სისტემით. სწავლების ეს სისტემა ვერ გაირკვა სათანადოდ მასწავლებლობაში, რადგან ლიტერატურა საამისო ნაკლები და ბუნდოვანიც იყო.

კომპლექსურ სისტემით სწავლების სწორი გზა გვეუბნება, რომ **სწავლების ცენტრად შრომა უნდა გარდაიქცეს.** ეს არის საფუძველი საზოგადოებრივ-ცხოვრებისა, ეს არის მეცნიერული საფუძველი ცოდნის მიღებისა. მხოლოდ შრომაში, წარმოებაში, შეუქმნია ადამიანს კულტურა. შრომის პრიმატობა იმაში გამოიხატება, რომ ის არის წყაროცა და მეთოდიც ცოდნის მიღებისა; იგივეა მიზანიც ცოდნის შეძენისა. შრომაში ვიძენთ ცოდნას და ვსწავლობთ შრომისათვის. შესწავლის ობიექტია ბუნება, სუბიექტი საზოგადოება. წარმოება-შრომა კი არის ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის გამომჟღავნება. ჩვენ ვსწავლობთ მთლიან მოვლენებს მის მიზეზშედეგობრივ დამოკიდებულებაში, მის პროცესში, დინამიკაში. კომპლექსურობაც ამას გამოხატავს, ეს არის პროცესთა დამოკიდებულება ბუნებაში. ბუნება კომპლექსია მოვლენათა და არა გაყინულ საგანთა. ბუნებაში პროცესები არსებობს, არის ცვალებადობა, მოძრაობა, ყველაფერი ჩნდება, ვითარდება, სახეს იცვლის და სხ. კულტურა რაა, თუ არა შრომის შედეგი.

ადამიანი ებრძვის ბუნებას ანუ ცოცხლობს. სიცოცხლის მიზანი არის სახის შენარჩუნება. ადამიანი ცოცხლობს და ცდილობს რომ 1)—იცხოვროს დიდ ხანს და 2)—რაც მთავარია, შეინარჩუნოს თავისი სახე ანუ წარმოშვას მისი მსგავსი. ამისათვის კი როგორც ვასწავლით ბავშებსაც, საჭიროა: საზრდო, ბინა, ტანსაცმელი ჰაერი და სხვა. აი სწორედ ამათი მოპოვებას ანდომებს ადამიანი თავის სიცოცხლეს; პირველყოფილიც ამას სცდილობდა და დღევანდელიც. მაგრამ ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში არის ნაკლები ენერგიით მაქსიმუმი შედეგის მოპოვება, ანუ საწარმოო ძალთა ეკონომიის პრინციპი. ამ მიზანს ემსახურება მეცნიერება-ტეხნიკა. თუ პირველყოფილი უკულტურო ადამიანი, დღეღამის განმავლობაში არსებობისათვის საჭირო აუცილებელ საშუალებების მოპოვებას უნდებოდა 16—18 საათი განუწყვეტელი ბრძოლით და ხანდახან მაინც დამპალ ხორცზე რჩებოდა, საშუალო პერიოდის ადამიანი 12 საათს იბრძვის და უკვე მას ბინაც აქვს და შიგ მოხარშული საზრდოც. ჩვენ პერიოდში ეხედავთ, რომ ადამიანი რვა საათს მუშაობს და გაცილებით, შედარებით ძველთან, უკეთეს პირობებში სცხოვრობს. დღეს კი საბჭოთა კავშირში 7 საათიანი სამუშაო დღე სდგას მორიგ საკითხად. მაშასადამე, რამდენადაც დრო გადის და კულტურულ საფეხურებს მივყვებით, იმდენად სამუშაო დროს ხანგრძლივობა მცირდება, შრომის ნაყოფიერება კი იზრდება, როგორც რაოდენობით, ისე თვისებითაც. აი სწორედ აქეთკენ მივყვეართ ჩვენ კულტურას, იმ კულტურას, რომელიც ღვიძლი შვილია შრომის, წარმოების, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის. ადამიანი მაშინ

აღმოაჩენს ახალ რასმე, რაც მას ბუნებასთან ბრძოლას გაუადვილებს, როცა ის უშუალოდ ებრძვის ბუნებას, როცა ის უშუალო ურთიერთობაშია ბუნებასთან, როცა ის შრომობს.

ცხადია, შრომა ყოფილა საფუძველი, წყარო განვითარების და მას დავეყრდნობით ჩვენც სწავლების საქმეში, მაგრამ რა სახით? საჭიროა განა თვეობით შეშა ვჭრათ, არხები ვწმინდოთ?.. არა.

მიდიხარ სოფელში მასწავლებლად. რასაკვირველია, ჩაატარებთ წინასწარ სამზადისს (მოწაფეთა მიღება, გაცნობა-დაახლოვება მათთან, სოფელთან). მიდგა საქმე სამუშაო მასალის შერჩევაზე. ამ დროს სოფელს ცოტად თუ ბევრად იცნობთ, იწვევთ ადგილობრივ მცხოვრებთ, ხელისუფლების ორგანოებს, მართავთ კრებას და ამ კრებაზე არკვევთ სოფლის გადაუდებელ საჭირბოროტო ამოცანებს. რა უნდა გაკეთდეს წელს სოფელში აუცილებლად. ვსთქვათ, სოფელს აწუხებს უგზოობა, უწყლობა, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებაა საჭირო და სხ. აარჩევთ უსაჭიროეს გადაუდებელ ამოცანას და შეუდგებით მის დამუშავებას. მოწაფეთა საერთო კრება ადასტურებს ამ საქმის შესრულებას და ღებულობს მას სამუშაო თემად.

სკოლა გამოდის ამ საქმის ინიციატორი. ის კი არ გასჭრის და ვერც გასჭრის გზებს, სკოლა კი ვერ გაასუფთავებს სოფელს, ვერ გაიყვანს წყალს, ვერ მოსპობს საქონლის ჭირს და სხ. არა, სკოლა უპირველეს ყოვლისა, იქნება აღმნიშვნელი, გამომჟღავნებელი ასეთ ნაკლულოვანებათა; ის იქნება იდეური ხელმძღვანელი, იქონიებს რა კავშირს საქმის მცოდნეებთან: აგრონომთან, ექიმთან, აღმასკომთან მიწერ მოწერით და სხ. პრაქტიკულ საქმიანობაში კი აბამს სოფელს საკუთარი ინიციატივით, ღებულობს რა სკოლაც მონაწილეობას შრომაში იმდენად, რამდენადაც ეს გამოდგება წყაროდ სხვადასხვა სასკოლო ჩვეულებისათვის. გზის გაზომვა, მინდორში სწორი ხაზის გაყვანა, მოედნის გამოანგარიშება, გზის დანიშნულება, ნიადაგის შემადგენლობა, კითხვა-წერა შესაფერი მასალების და რამდენ მასალას იძლევა ერთი დღითაც ჩარევა ამ საქმიანობაში? თემის აგეგმვის დროს მასწავლებელი ითვალისწინებს საჭირო ცოდნის მიღებას, რომელსაც ხშირად ცალკე საათებიც შეიძლება დაუთმოთ. საერთოდ, ასეთი თემატიური მუშაობა არ აკრძალავს ცალკე საათებით მეცადინეობას.

სკოლის თაოსნობით იქნა შენიშნული და შესრულებული სოფლისათვის რაიმე სასარგებლო აუცილებელი შრომა. სკოლამ მოიხმო ექიმი, მოისპო ჭირი, შეაწუხა აღმასკომი გზა გაიყვანა, ჭაობი ამოაშრობია და სხ. რა ფსიქიური გარდატეხა ხდება საზოგადოებაში?

ნურავინ დამალავს რომ დღეს სკოლა სოფელს ვერ ეხმარება. სკოლის მუშაობა დაფასდება იმით, თუ რა კვალი დააჩნია მან გარემოს, გარდაქმნის და გაუმჯობესების სფეროში.

აღზრდაში ოჯახს დიდი წილი უდევს, მაგრამ ვიცით ჩვენი ოჯახის და კერძოდ კი სოფლის ოჯახის უკულტურობა, ჩამორჩენილობა. აღზრდა არაძალდატანებით— ეს არის მიზანშეწონილი რეფლექსების გამოწვევა ბავშში. მაგრამ როგორი მიზან-შეწონილი რეფლექსები უნდა გამოიწვიოს ბავშში ჩვენმა ოჯახმა თავისი გარემოთი. მიზანშეწონილ რიაქციებისთვის საჭიროა ბავშის მოთავსება სათანადო გარემოცვაში. ჩვენი ოჯახი კი თავის ცრუმორწმუნეობით,

ანტიჰიგიენური პირობებით, დაუშვებელი მოპყრობით ბავშვებისადმი ვერ აღზრდის მათ.

ჩვენი ოჯახი ჯერ-ჯერობით არ არის ის გარემო, რომლისაგანაც მიღებული შთაბეჭდილებანი ბავშში გამომჟღავნდებიან მიზანშეწონილ რეფლექსებით. მასწავლებელი სცდილობს აღზარდოს ყოველმხრივ განვითარებული და კულტურული მოქალაქე, მაგრამ ვერ ახერხებს იმიტომ, რომ თუ ბავში 4 საათს მისი გავლენის და თვალყურის ქვეშ არის, 20 საათს მას ოჯახი მაინც მისას უშვრება. აქედან უდიდესი პედაგოგიური მიზანი მასწავლებლისა: გარდაქმნა იმ გარემოსი, სადაც მოწაფე იზრდება. გარემოში ვიგულისხმოთ ოჯახი და სკოლა.

მასწავლებლის ყურადღება უფრო სკოლისკენ არის მიპყრობილი, იმ დროს, როცა მისი ყურადღება $^1/_5$ უნდა იყოს სკოლისკენ და $^4/_5$-კი ოჯახისკენ (სკოლაში მუშაობა 4 საათი, ოჯახში ბავშის ცხოვრება 20 საათი).

ოჯახის გარემოცვის გარდაქმნის საქმეში მასწავლებელი უნდა აბამდეს თვით მოწაფეს. **მოწაფე უნდა გახდეს ოჯახში კულტურული აგენტი.** არსდება სკოლაში სანიტარული წრეები. რისთვის? განა მარტო იმისთვის, რომ უთვალყუროს საკლასო ოთახებს და სკოლის ეზოს სისუფთავეს? არა. მისი წევრების კერძოდ და საერთოდ კი ყოველივე მოწაფის ვალად უნდა გახდეს: კონტროლი გაუწიონ ერთი მეორეს ოჯახებში, თუ როგორ ისარგებლეს სკოლაში მიღებული ცოდნით მოწაფეებმა თავის საოჯახო ცხოვრებაში. მის საცხოვრებელ კუთხეს თუ ემჩნევა რაიმე განსხვავება საერთოდ ოჯახისგან.

მოწაფეები ასეთ საქმეს დიდის ხალისით შეხვდებიან. სხვა რომ არა იყოს რა, მოწაფეს შერცხვება ამხანაგის და მისი მორიდებით ოჯახს რაღაცას მაინც შესძენს.

სკოლა მაშინ აღწევს მიზანს, როცა მოწაფეები კლასში მიღებულ თეორიულ ცოდნას ოჯახის ცხოვრებაში პრაქტიკულად ანხორციელებენ. ასე ამგვარად, სოფლის ოთხწლედის კურს დამთავრებულს უნდა ჰქონდეს უნარი უფრო კულტურული ცხოვრების მოწყობისა. მისი ოჯახი უნდა განსხვავდებოდეს უსწავლელ მამის ოჯახისაგან. მხოლოდ მაშინ არ ავიწყდება მოწაფეს მიღებული ცოდნა, როცა ის ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს მას. თქვენ ალბად დაუკვირდებოდით შემდეგ გარემოებას: მოწაფემ დაამთავრა ოთხწლედი, შვიდწლედიც და მეტიც; შემდეგ სიღარიბის გამო სწავლა ვერ განაგრძო. დარჩა სახლში და მოჰკიდა ოჯახს ხელი. მაგრამ, დაბეთ უბედურობას! ადამიანს ბევრი რამ უსწავლია სკოლაში, მაგრამ მისი ოჯახი სიბინძურით, მოუწესრიგებლობით და უკულტურობით კიდეც სჭარბობს მამის ოჯახს; არაფრით არ განსხვავდება მისი ოჯახი უსწავლელ მეზობლის ოჯახისაგან. ამაში იყო უბედურება ძველი სკოლის. ის ვერ ამზადებდა ადამიანს ცხოვრებისათვის. ვეცადოთ ახალმა სკოლამ გამოასწოროს ეს ნაკლი. **ახალმა სკოლამ უნდა აღზარდოს ცხოვრებისათვის მომზადებული მოქალაქე.**

ყველაფერი ეს მიღწეული იქნება, თუ მასწავლებელი სათანადო ყურადღებას მიაქცევს ოჯახის გარდაქმნას, თუ მასწავლებელი მოწაფეს გახდის სკოლის კულტურულ აგენტად ოჯახში. ეს კი არც ისე ძნელი საქმეა. მოიხმარა თუ არა მიღებული ცოდნა მოწაფემ ამის გაგებას შესძლებს თვით მოწაფეთა კანტროლით; აძლევენ შენიშვნებს ერთმანეთს, გამოაქვთ შთაბეჭდილებანი საერთო კრებაზე

და სხვა. ამ გვარად იქმნება გარემო. ამ წესით აღზრდილი, უფრო კულტურულად მორთავს ოჯახს. ასეთი ოჯახის გავლენა ბავშვზე იქნება დადებითი და მიზან-შეწონილი რეფლექსების გამომწვევი. კულტურული ოჯახი სკოლას გაუადვილებს მუშაობას და უდიდეს დახმარებას აღმოუჩენს ბავშთა აღზრდის საქმეში.

ქალაქებში არსებობენ ბავშთა სახლები, საბავშო ბაღები, სადაც ხდება სასკოლო და საოჯახო პირობათა გაერთიანება—თამაშის და გაკვეთილის სინთეზი. მაგრამ ასეთი რამ ხომ სოფლად არა გვაქვს. ვეცადოთ სოფლად თვით ოჯახის გარდაქმნას ისე, რომ მისი პირობები შეადგენდეს ბავშისთვის, როგორც თამაშის, ისე გაკვეთილის სინთეზს და ნაწილობრივ მაინც სწევდეს ბავშთა ბაღების და სახლების მაგიერობას.

მასწავლებელი არის სკოლის ხელმძღვანელი. სკოლა უნდა გახდეს კულტურული კუნძული სოფლის ცხოვრებაში. მაშასადამე მასწავლებელი უნდა იცნობდეს სოფელს თავის სპეციფიურობით. დადებით უარყოფითი მხარეებით. მასწავლებელი უნდა იცნობდეს რაიონს, მაზრას და საერთოდ იმ მხარეს, სადაც მუშაობს. სავალდებულო და ერთობ საჭიროც არის შრ. სკოლის მუშაობაში და სწავლებაში მხარეთმცოდნეობის პრინციპის გატარება.

რას ნიშნავს ეს?

საერთოდ მხარე არის ტერიტორიის განსაზღვრული ნაწილი. მაგრამ სულ სხვა გვარად უნდა გვესმოდეს მხარე სასკოლო მუშაობაში. თუ საერთოდ მხარეს განსაზღვრავს ტერიტორიაში ერთერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ან ბუნებრივ—გეოგრაფიული ზღუდეები, ანდა კიდევ სხვა, მხარეს სასკოლო მუშაობაში განსაზღვრავს თვით მოწაფეთა ასაკი და განვითარების დონე. პირველი ჯგუფისათვის შესასწავლი მხარეა ოჯახი და სკოლა; მეორე ჯგუფისთვის—სოფელი, რაიონი; მესამესთვის—მაზრა, შემდეგ რესპუბლიკა და ასე. მხარეში შეისწავლება ოროგრაფია, ატმოსფერული ნალეკები, ხნე-ჩვეულებები, თქმულებები, მეურნეობის სახეები და სხვ.. მხარე არის სინთეზი-კომპლექსი. მაგრამ როგორ გნებავთ ისარგებლოთ მხარეთმცოდნეობის პრინციპით, თუ თვითონ მასწავლებელი არ იცნობს მხარეს, სადაც მან უნდა აწარმოოს მუშაობა? მხარის გასაცნობად უნდა ვისარგებლოთ სკოლების რაიონიზაციით. რაიონის მასწავლებლობა ერთი მეორეს უზიარებს ამ დარგში შეძენილ ცოდნას. დგება მხარეთმცოდნეობის წრეები, იკითხება მოხსენებები და სხვა. ამგვარად ასეთ გაერთიანებებში მუშავდება საერთო ამოცანა რაიონის მაშტაბით. მაგრამ ისმება კითხვა: ნუ თუ მხარეთმცოდნეობას სკოლაში უნდა ექნეს აღწერითი ხასიათი, ნუ თუ საკმარისია არსებულის აღწერა: წესების, ადათების, მეურნეობის სახეების და სხვების? არა, ჩვენ მხარეს უნდა მივუდგეთ გარდაქმნის, გაუმჯობესების თვალსაზრისით. საჭიროა წარმოებითი პრინციპი მხარეთმცოდნეობაში. რა სახის მეურნეობაა სოფლად—აღწერ თუ არა ამას, შემდეგი კითხვა იქნება: როგორი უნდა იყოს, როგორია დაწინაურებულ ქვეყნებში, როგორი იყო ძველად?

აქ ბუნებრივად იჭრება სასკოლო მუშაობაში პრინციპი თანდროულობის. ჯერ ყველაფერი ისწავლება თანდროულობაში, აწმყოში. რა არსებობს დღეს ჩვენ მხარეში? თანდროულ მოვლენათა შესწავლა მოწაფისთვის უფრო ნაცნობი და ახლოა, ვიდრე ძველი. აქ დაცული იქნება დიდაქტიური მოთხოვნილება: ჯერ ახლობელი, მერე შორეული, ჯერ ნაცნობი, მერე უცნობი, ჯერ კონკრეტული,

მერე განყენებული. თანდროულობაში მოვლენების შესწავლის და გაცნობის შემდეგი კითხვა იქნება: რის შედეგია ეს და რის მიზეზი უნდა გახდეს? ე. ი. რა თანდათანმა განვითარებამ მოგვცა დღევანდელი კავი, გუთანი, ტრაქტორი, ჰაეროპლანი გემი და სხვა. და რა სახეს მიიღებს მომავალში განვითარების პროცესში დღევანდელი საწარმოო საშუალებანი. ვიწყებთ აწმყოთი, თანდროულობით, გადავდივართ წარსულში და ეს იმდენად, რამდენადაც საჭიროა თანდროულობის გაგება, როგორც შედეგის. ამ დროს ვეყრდნობით ისტორიულ მასალას, ძველი იარაღების ნაშთებს (ფილთაქვა, ხელწისქვილი და სხ.) და გავყვებით მას. ეხლა ვსარგებლობთ შედარებებით. ვადარებთ ძველსა და არსებულს, წარსულს და თანდროულს და ვაამკარავებინებთ მოწაფეებს კაცობრიობის კულტურის განვითარების ევოლუციონურობას. შედარება გვაძლევს გაგებას მომავლისა. თუ ჩვენ ასეთი შედარებით მოხერხებულად ვისარგებლებთ, ადვილად აღძოვაჩენიებთ მოწაფეებს, რომ თანდროულობაშია ნაშთი ძველისა და ნასახი მომავალის. ის არის დასრულება წარსულისა და ორსულია ომავალით. აი უმთავრესი მიზანი სასკოლო მუშაობის ამ სფეროში. თანამედროვე ცხოვრებაზე დაკვირვების საშუალებით ბავშს უვითარდება წარმოდგენა ევოლუციაზე და დროზე.

ადამიანი ზემოქმედებდა ბუნებაზე პირველად თავისი ბუნებრივი იარაღებით, ხელით, ფეხით, კბილებით და სხ. ეს განვითარების პირველ სტადიაში. შემდეგ ადამიანმა უფრო სწორედ შეიცნო ბუნება, განვითარდა უფრო სწრაფად და ბუნებრივ იარაღებიდან გადავიდა ხელოვნურ იარაღებზე: ქვაზე, ჯოხზე და სხ. დღეს ადამიანი თავის ხელოვნური იარაღებით იბრძვის ბუნებაში. ჰაეროპლანი, გემი, მატარებელი—ეს ფეხების გაგრძელებაა. ტრაქტორი—ეს მკლავებია და სხ. ცხოველი დარჩა ბუნებრივ იარაღით. ამაშია ერთი განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის. ადამიანი დღეს ბუნებას სახეს უცვლის; ცხო ე ბუნებას ვერ სცვლის. რა განსხვავებაა ადამიანისა და ცხოველის თვით მუშაობაში? მაგალითისთვის ავიღოთ ობობა და ფუტკარი. პირველი ისე მოხერხებულად აკეთებს ქსელს, რომ გეგონებათ—ობობამ გეომეტრიაც და ტრიგონომეტრიაც იცისო. ფუტკარიც თითქო რაციონალურად მოქმედობს, ის სათაფლე პრიზმების კეთებაში თითქო ყურადღებას აქცევს სკის ფუძის მოედანს. ფუძე პრიზმებს პატარა აქვს, სიმაღლე კი დიდი და სხვა. მაგრამ მართლა რაციონალურია, წინგანზრახვითია მათი მუშაობა? არა. მათი მუშაობა მხოლოდ ინსტიქტიური, შეუგნებელი, სტიქიური და უგეგმოა. აი კიდევ მთავარი განსხვავება ჩვენსა და ცხოველს შორის. აიღეთ უბრალო ხუროს მუშაობა. ის, სანამ სახლის აშენებას შეუდგებოდეს, ჯერ ამ სახლს წარმოდგენაში აშენებს, სახლის გეგმა მას უკვე თვალწინ უდგას და მხოლოდ შემდეგ ახორციელებს მას.

ასეთია შრომა ადამიანის. ჩვენ სამუშაოს ყოველთვის წინასწარ ვგეგმავთ. და სასკოლო მუშაობაშიაც აუცილებელია და სავალდებულო მუშაობის წინასწარი გამოსახვითი აგეგმვა. წერილობით უნდა გავითვალისწინოთ მოწაფეების მონაწილეობით ჯერ წლიური სამუშაო თემა, შემდეგ ის გაანაწილო დროის განაკვეთებში: ტრიმესტრში, თვეებში და კვირეებშიაც. მუშაობის აგეგმვაში უფროსი ჯგუფები აქტიურად მონაწილეობს.

სამუშაოების ნიადაგზე დგება სასკოლო თვითმართველობა თავისი განჯგუფებული წრეებით. თვითმართველობის პრინციპია—არ დასტოვოს არც ერთი

მოწაფე აქტივობის გარეშე. შრომას სკოლაში აქვს კოლექტიური ხასიათი. მაგრამ პრინციპი კოლექტივიზმის პიროვნებათა მექანიურ შეერთებად არ უნდა ვიგულისხმოთ. ეს არ არის გაერთიანებული ან ჯგუფური შრომა ყოველთვის. შეიძლება ერთიც მუშაობდეს მარტოდ კაბინეტში ან სხვაგან, მაგრამ ეს იყოს კოლექტიური შრომა, თუ ის ასრულებს საერთო ამოცანის ორგანიულ ნაწილს. შრომის განაწილება პირობაა კოლექტივიზმის. განსაზღვრული განაკვეთში (ტრიმესტრში) აღებული მუშაობის დასრულებისას ხდება აღრიცხვა. აღრიცხვის სახეებია: კონფერენციები, მოხსენებები სხვადასხვა დამუშავებულ საკითხზე, გამოფენები დამახასიათებელ ნამუშევრების, დრამატიზაციები და სხვა. მოწაფე თუ შეგნებულად უდგება მუშაობას, მაშინ მიზანი მიღწეულია. მოწაფემ უნდა იცოდეს რისთვის მუშაობს. მუშაობა მისი უნდა იყოს მიზანშეწონილი. მოწაფეს უნდა ჰქონდეს მუშაობის პროექტი. მაგალითად: ბავში არ მოვიდა სკოლაში. მიზეზი? ავადმყოფობა, სახადი. მისი მოსპობა ხდება მუშაობის პროექტად; მთელი შრომაც აქეთკენ არის მიმართული. როცა მიზანი ცხადია, მაშინ იმდენად ხალისიანია მუშაობა, რამდენადაც უფრო უახლოვდებით მიზანს; გლეხი ხალისობს, როცა გათოხნის დროს ყანაში უკანასკნელ კუნჭულს უახლოვდება. აჭარისტანში ქალებს სწავლა რაღაც ეუცხოვებათ. მაგრამ დიდი მომხრე არიან ჭრა-კერვის შესწავლის. მიზანი ანუ პროექტი მათ აქვთ—ჭრა-კერვის შესწავლა. ეს მისაღებია მათთვის. მათ არ უნდათ ისწავლონ წერა-კითხვა, მაგრამ ეუბნებით: „საკერავს, რომ ვინმე მოგიტანს, რომ არ დაგავიწყდეს, უნდა დაიწეროთ მისი სახელი და გვარი". „კარგი, აბა სახელი და გვარის დაწერას ვისწავლითო". ტანსაცმელის ზომის ასაღებად უნდა გაეცნო მეტრს თავისი ნაწილებით, რადგან ესეც ამისათვის საჭიროა „დიდის სიამოვნებითო". საზომ ხოლზე ციფრებია; ის თუ ვერ იცანი, ისე ზომას ვერ აიღებ „კარგი, ანგარიშსაც ვისწავლით, რადგან ამისთვის არის საჭიროო" და ასე... ეს მაგალითიც ნაწილობრივ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ თუ ადამიანს მიზანი აქვს მუშაობის, ეს მუშაობა უფრო შეგნებულია.

მოწაფემ თუ იცის მიზანი მუშაობის, რომელიც უნდა აერთიანებდეს მუშაობის ყველა ელემენტებს და პირობებს, ეს არის „მიზანწონითი" ან „მიზანგაწყობით" მუშაობა სკოლაში, რაც ძალზე საჭიროა მუშაობის შეგნებულად შესრულებისათვის. მხოლოდ ვეცადოთ, რომ მიზანი, პროექტი ჩვენ არ მოვახვიოთ მოსწავლეებს, არამედ მათ თვით შესძლონ ამის გამოაშკარავება.

როცა ვასწავლით და ვზრდით ვისმე, მიზნად ვისახავთ მასში ახალი ასოციაციების შექმნას და ძველი, ცუდი ასოციაციების გარდაქმნას. მოწაფე დაასრულებს მუშაობას, მიაღწევს თუ არა ერთ მიზანს, ის მაშინვე ისახავს მეორეს და მხოლოდ მიღწევა მისი ამტკიცებს და ახალისებს ბავშში განვლილ მუშაობას. კიდევ ერთი მაგალითი: ნიკო აკეთებს ურემს ჩვენი კარნახით. ეუბნებით: აბა, გამოსჭერი ჯერ 15 სანტიმეტრის სიგრძის ღერძი; ეხლა ორი თანასწორი წრე; წამოაგე წრეები ღერძს: გააკეთე ასეთი უღელი, ზედსადგამი და სხვა. ნიკო აკეთებს ყველაფერს ჩვენი კარნახით. მუშაობის ნახევარი შეასრულა და მიზანიც შეიძლება კიდევ ვერ წარმოიდგინოს. ვანოს უთხარით: გააკეთე ერთი პატარა ურემითქო. დაასრულა ორივემ მუშაობა: ნიკომ ჩვენი კარნახით, ვანომ პროექტის ჩვენებით. რომლის მუშაობა არის მატარებელი უაღრესი პედაგოგიური

ღირებულების? ცხადია, უკანასკნელის,— ვანოსი. მან შეიძლება ცუდი ურემი გააკეთა, ძაგრამ გააკეთა როგორც თავისი ხელით, ისე თავისი გონებით, საკუთარი პროექტით. ნიკოს მუშაობა მექანიკური, შეუგნებელია. მეორე შემთხვევაში ნიკო ვერაფერს გააკეთებს საკუთრად, ვანო კი გაცილებით უკეთესს—უფრო რთული ასოციაციებით. ამ შია დადებითი მხარე მიზანგანწყობითი ანუ პროექტებით მუშაობის.

პროექტები იქმნება სასკოლოც და საშინაოც.

საკლასო პროექტები უნდა შეიცავდეს საზოგადოებრივ-სასარგებლო აუცილებელ მრომს შესრულებას, რომელითაც სკოლა ჩამორჩენილ კუთხეების მოსახლეობას დაიმეგობრებს. მოსახლეობის დამეგობრება და მათ ძიერ ნდობის აღიარება სკოლაზე, ეს უკვე საჭიდარია იმის, რომ სკოლა თავის მუშაობით პროგრესიულია. მას ნდობით და სიყვარულით აღჭურვილ საზოგადოებიდან შეუძლია მოელოდეს ეკონომიური დახმარებასაც.

ერთი სიტყვით: სკოლა, მასწავლებელი, მოწაფე, ოჯახი, სოფელი, საზოგადოება ხელი ხელ ჩაკიდებული უნდა აუმჯობესებდენ საზოგადოებრივ მდგომარეობას და ზრუნავდენ გარემოს გარდასაქმნელად. სკოლა უნდა სჩანდეს სოფლად ყველა ასეთ საქმიანობის ცენტრალურ ფოკუსში თავის შეგნებული აქტივობით და დაუზარებელი ინიციატივით. აი დაახლოვებით ზოგი რამ იმ ამოცანათაგან, რომელსაც ისახავს შრომის სკოლა საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და საქმიანობაში.

პ. ჯ.

ქართული მართლწერის კონფერენცია

საქართველოს მწერალთა II ყრილობამ დაავალა ქართ. მწერალთა ფედერაციის საბჭოს მოიწვიოს კონფერენცია ქართული მართლწერის დასადგენად ეს საქმე მეტად საშურია და გადაუდებელი. თუ არ ვცდები, პირველად ჩვენმ ჟურნალმა წამოაყენა ასეთი კონფერენციის აუცილებლობა. ეს გასაგებიცაა: ყველაზედ უფრო მასწავლებელს აწუხებს და აბრკოლებს ძეტყველებისა და წერის მოუწესრიგებელი ნორმები.

პოეტი კონსტ. გამსახურდია სამართლიანად მოითხოვს ამ კონფერენციის დაჩქარებას („კომუნისტი“ № 70). უეჭველია, ჩვენი მასწავლებლობაც მოუთმენლად მოელის მას. მაგრამ ორთოგრაფიის დამდგენი კონფერენცია არ უნდა შესდგებოდეს მარტო მწერლებისა და ენათ—მეცნიერებისაგან, როგორც ამას ჰგულისხმობს კონსტ. გამსახურდია. ორთოგრაფიის საკითხში გვერდს ვერ აუვლით პედაგოგიურ მოსაზრებებს და ამიტომ მომავალ კონფერენციაზე სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს პედაგოგებს.

გ. ყაჭეიშვილი.

სასკოლო კოოპერაციის შესახებ

საბჭოთა რესპუბლიკების სასკოლო მუშაობაში ყურადღება მისაქცევი არის სასკოლო კოოპერატივების არსებობა და მისი მნიშვნელობა. მოსახლეობის ფართე მასისათვის კოოპერატიული განათლების მიწოდების საქმეში, დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო კოოპერატივს.

რამდენად სკოლა მოწოდებულია მისცეს საზოგადოებას შეგნებული მუშაკები, რომლებმაც სოციალისტური წყობილების დამყარების საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ, იმდენად მნიშვნელოვანი არის სკოლის კედლებში ჩასახული კოოპერაციის პრაქტიკული მშენებლობის და მისი იდეის გავრცელების ერთი ელემენტთაგანი—სასკოლო კოოპერატივის მუშაობა.


სასკოლო კოოპერატივი სკოლის ცხოვრებაში ახალ მოვლენად ითვლება. ახალ მოვლენად და ახალ საშუალებად ჩაითვლება ის, კოოპერატიული განათლების საქმეშიც. მას უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს, მოსახლეობისათვის კოოპერატიული აზროვნების და კოოპერაციის მნიშვნელობის გაცნობის საქმეში. კოოპერატიულ მოძრაობაში სასკოლო კოოპერატივსაც შეუძლია თავისი მნიშვ. ნელობისა და შედეგის გამოვლინება, თუ მას სათანადო ყურადღებას მივაქცევთ და ხელმძღვანელობას გაუწევთ. ვინაიდან სასკოლო კოოპერაცია ახალ საქმეს წარმოადგენს, როგორც სკოლის ცხოვრებაში, ისე კოოპერატიულ მოძრაობაში. ეს საკითხი საფუძვლიანად არ არის შესწავლილი და დამუშავებული, რაც მის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს. სასკოლო კოოპერატივის მნიშვნელობა პედაგოგიური საკითხების ბევრი მკვლევარების მიერ, არის დადებითად შეფასებული და სკოლის მეთოდიურ საკითხებში მისაღებად აღიარებული. საბჭოთა სკოლების პრაქტიკაში ამ ბოლო დროს სასკოლო კოოპერატივები საგრძნობლად ვითარდება. სკოლების უმრავლესობაში სასკოლო კოოპერატივები უკვე არსებობს და მუშაობას აწარმოებს. ეს გასაგებიც არის იმდენად, რამდენად საბჭოთა სკოლები მიზნად ისახავს არა ჩინოვნიკების მომზადებას, არამედ მომავალი საზოგადო მუშაკების და რადგან კოოპერაციას უაღრესად საზოგადოებრივი და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, ახალ საფუძველზე აგებული და ცხოვრების რეალურ საჭიროებასთან შეფარდებული ახალი სკოლა ამ საკითხს გვერდს ვერ აუვლიდა და არც აუვლია. ბევრ სკოლებში ამ საკითხს სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული და ამ დარგში სასურველ შედეგსაც ეხედავთ. მაგრამ უფრო სასურველი იქნება, თუ ამ საკითხს ყველა სკოლები უფრო მეტი ხალისით და ინტერესით მოეკიდება.

პედაგოგიური თვალსაზრისით მისაღები არის იმდენად, რამდენად სწავლა ჩვენს სკოლებში აგებული არის კომპლექსურ სისტემაზე, სადაც დაკავშირებული არის ერთი მეორესთან ბუნება, შრომა და საზოგადოება.

საზოგადოებრივ საქმიანობაზე, სკოლის კედლებში მოწაფეს წარმოდგენას აძლევს ის ორგანიზაციები, რომელნიც სკოლაში არსებობენ. მოწაფემ, რომ თვალსაჩინოდ საზოგადოებრივ მუშაობის საკითხებს და ფორმებს გაეცნოს, ამის საშუალებას მისცემს მას სასკოლო კოოპერაცია.

ასეთ ორგანიზაციაში უშუალო მონაწილეობის მიღება მოსწავლე ახალგაზრდობაში გამოიწვევს აქტივობის და თვითმოქმედების უნარის გაღვივებას.

ფოტო-ქრონიკა





1—გარდაცვლილი გრაფინია მარკევიჩი, ირლანდიელ რევოლუციონერების ერთი ბჭლადთაგანი, „მწვანე გრაფინიად“ წოდებული. 2—ირლანდიის პრეზიდენტი კოსგრავი სასტიკად ჰკიცხავს ტრიბუნიდან ირლანდიის რევოლუციონერებს, რომელნიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ დევალერას მეთაურობით ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. 3—კოლორადოში გაფიცულთა ბელადის საბლიხის, ქალიშვილი—„ცეცხლოვანი მილკა“—დადის ასე ხელებ-შეკრული და აგროვებს დახმარებას გაფიცულთათვის. 4—პენსილვანიაშიაც გაფიცულნი არიან მაღაროს მუშები, რომელთაც საზრდო შემოელიათ, მაგრამ მაინც განაგრძობენ ბრძოლას. 5, 6 და 7—ბურჟუაზიულ ქვეყნებში მიმდინარეობს ქალთა გასამხედროვება და ფაშიზაცია. მე-5 სურათზე დრექსელის (ამერიკაში) ინსტიტუტის სტუდენტი ქალები სროლას სწავლობენ. სურ. 6 პოლიციელ ქალთა ვარჯიშობა სროლაში. ასეთი პოლიცია არსებობს ამერიკაში, ინგლისში და გერმანიაში. სურ. 7 ქალთა ლეგიონი გერმანიაში. 8—ამავე დროს ბურჟუაზიული ქალები არც სილამაზეს ივიწყებენ, რა თქმა უნდა. ამერიკაში გამოიგონეს მანქანა, რომელიც ლამაზ მოყვანილობას აძლევს ტანს. ბურჟუაზიული წრის ქალები ვარჯიშობენ ასეთ მანქანაზე სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

რასაკვირველია I-ლი საფეხურის ან მე-II-რე საფეხურის სკოლებში შეუძლებელია კოოპერაციის, როგორც თეორიის ისე პრაქტიკის საფუძვლიანი შესწავლა. მაგრამ, რამდენად თვითეულ მოწაფეს საშუალება ეძლევა, სასკოლო კოოპერატივის დაარსების და მუშაობის სფეროში უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა, იმდენად მას ცნობიერებაში აისახება ის მნიშვნელობა, რომელიც კოოპერაციას აქვს მშრომელი მასის სასარგებლოდ. მოწაფეები, რომელნიც რამოდენიმე შაურს საწევრო და საპაიო თანხას აგროვებენ და სასკოლო კოოპერატივის წევრებად ეწერებიან, როდესაც ისინი ირჩევენ გამგეობას და სარევიზიო კომისიას, როდესაც იძენენ სახელმძღვანელოებს და სასწავლო ნივთებს თავიანი კოოპერატივის საშუალებით უფრო შეღავათიან ფასებში, როდესაც გამგეობა და სარევიზიო კომისია თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს წევრთა საერთო კრებას, ასეთ მოვლენას არ შეუძლია დიდი ზეგავლენა არ მოახდინოს იმ ახალგაზრდაზე, რომელიც რამოდენიმე წლის შემდეგ საზოგადოებრივ სარბიელზე უნდა გამოვიდეს და ისეთ საზოგადოებრივ-სამეურნეო ორგანიზაციის დაარსებაში მიიღოს მონაწილეობა, როგორიც არის კოოპერაცია. ამით თვით სკოლის კედლებში ეძლევა ახალგაზრდობას საშუალება გაეცნოს კოოპერატიულ მშენებლობას და გაიგოს მისი მნიშვნელობა.

როდესაც ის საზოგადოებაში გამოვა, არ გაუძნელდება კოოპერატივში მუშაობა და ამ საქმის წარმატებაში ის თვალსაჩინო წვლილს გამოიღებს. სკოლასთან დაარსებული ასეთი კოოპერატივი, რასაკვირველია, არ უნდა გაიტაცოს მეტის-მეტად ვაჭრობის გაფართოვების სურვილმა, არამედ ის უნდა ემსახურებოდეს ახალგაზრდების კოოპერატიულად აღზრდის საქმეს. თუ ამ საქმეს დაკვირვებით არ მიუდექით, შეიძლება მან დამახინჯებული სახე მიიღოს და სკოლაში გაჩნდეს სავაჭრო დუქანი, არა შესაფერისი ასორტიმენტით ყოველგვარი აღმზრდელობითი მხარეების გარეშე. სასკოლო კოოპერატივის მუშაობაში უნდა სჭარბობდეს აღმზრდელობითი მხარე და არა ვაჭრული. კოოპერატივის საქონელი უნდა შესდგებოდეს სახელმძღვანელოებისაგან და სასწავლო ნივთებისაგან, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობას ყოველდღიურად ესაჭიროება.

მე მქონდა საშუალება ერთ სკოლაში ხელმძღვანელობა გამეწია და დაკვირვება მეწარმოებინა სასკოლო კოოპერატივის მუშაობისათვის. განცვიფრებული რჩებით, როდესაც ხედავთ, თუ როგორ აქტივობას და თვითმოქმედებას იჩენს სასკოლო კოოპერატივის გამგეობა, შემდგარი მოწაფეებისაგან. აქ მუშაობა იმ ფორმით სწარმოებს, როგორც სამომხმარებლო კოოპერატივებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს კოოპერატივი მოწაფეებს აერთიანებს, ვაჭრობა სწარმოებს სასკოლო ნივთებით და კოოპერატივის ბრუნვა უდრის 60—70 მან.

ასეთი კოოპერატივების დაარსება ყველა სკოლასთან შეიძლება. ჩემის აზრით, სასკოლო კოოპერატივებს იმდენი მნიშვნელობა აქვს, რომ საჭირო არის მათი გავრცელება.

რედაქციისაგან: სასკოლო კოოპერატივები ახალი მოვლენაა. რუსეთში მას უკვე უარყოფითად უყურებენ. საჭიროა ჩვენში მიღებული გამოცდილების მიხედვით ამ საკითხის შესწავლა და შეფასება.

კარგი იქნება, თუ ის ამხანაგები, რომელნიც ხელმძღვანელობენ ან ახლოს არიან სასკოლო კოოპერატივებთან, ამის შესახებ თავიანთ აზრს მოაწვდიდენ რედაქციას.

მ. ინწკირველი.

35 წელი განათლების ფრონტზე

მირიან (იგივე ივანე) მალაქის ძე მამალაძე დაიბადა აღმოსავლეთ გურიაში, ს. ხევში. 1892 წელს დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი და შეუდგა მასწავლებლობას თავის სოფელ ხევში. ეს ის ხანა იყო, როდესაც ხალხი ნაკლებად იყო სწავლა-განათლებას მოწყურებული. მასწავლებლის ხელმძღვანელობა, ყოველდღიური საუბარი და ახსნა-განმარტება იყო საჭირო, რომ ხალხს გაეღო თანხები სკოლის შენობის ასაგებად. აი ამ მხრით მასწავლებელ მირიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის. მისი უშუალო ხელმძღვანელობით იქნა აგებული ხევის დაწყებითი სკოლის შენობა, რომელიც შემდეგ იქნა გადაკეთებული იმ დიდ შენობად, რომელშიც დღეს მოთავსებულია 7 წლედი. ამხ. მირიან მამალაძეს 1893 წლიდან 1927 წლამდე მედგრად ეჭირა ხელში ხევის გლეხობის განათლების დროშა. ხაზი უნდა გაესვას მის პედაგოგიურ მოღვაწეობაში იმ გარემოებას, რომ არდადეგებისა და სკოლიდან თავისუფალ საათებს ის ანდომებდა სასოფლო მეურნეობაში მუშაობას, მასში შეერთებული იყო პედაგოგის მძიმე გონებრივ მუშაობასთან ერთად სოფლის მეურნის მრავალფეროვანი საქმიანობა.



აღნიშნული მორიგეობა გონებრივსა და ფიზიკურ შრომისა ისეთ ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს, რომ მასწ. მირიანი 35 წელი მუშაობს განათლების ასპარეზზე და დღესაც მკვირცხლი გამომეტყველება აქვს. 35 წლის ნაყოფიერი და ენერგიული შრომა მასწავლებლის თანამდებობაზე ღირსია საჯარო აღნიშვნისა, რაც უნდა იკისროს გან. მუშაკ. პროფორგანიზაციამ, კერძოდ კი ხევ-ერკეთის გან. მუშ. ადგილკომებმა.

ა დ გ ი ლ ე ბ ი დ ა ნ

ლიტერატურულ დამატებისათვის. მას შემდეგ, რაც გამოვიდა „განათლების მუშაკი“ ხშირად მსმენია ამხანაგებისგან—შინაარსი არ გვაკმაყოფილებს, არ არის წმინდა ლიტერატურული ხასიათის წერილებიო და სხვა.

უდავოა ის ფაქტი, რომ ჟურ. საჭიროებს მეტი გაშინაარსიანებას და მეთოდიურ-პოლიტიკო-პროფ. ცოდნის მიღებასთან ერთად, განსაკუთრებით თანამედროვე ლიტერატურ. მიმართულებათა ფართე გაშლას. როგორც სჩანს ამხ. ჰანიშვილის წერილიდან (განათლების მუშაკი“ № 10. „დესერტის შესახებ“) ხელმძღვანელ ამხანაგებს დროზე მიუქცევიათ სათანადო ყურადღება ჟურნალში მოთავსებულ განყ. შემოღების შესახებ, მაგრამ კავშირის მასას ნაკლებად შეუფასებია ასეთი ნაბიჯი. დღეს კი აუცილებელ საჭიროებად უნდა აღვიაროთ ლიტ. დამატების გამოშვება. ამას ყველა სცნობს საჭიროდ, ვისაც დაუსახავს მიზნად კვალ და კვალ მისდიოს ჩვენი სკოლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას. მასწავლებელთა კვალიფიკაციას ამაღლება—ცხოვრების მიერ წამოჭრილი დღიური საკითხია, რომელიც ყველას წინაშე აყენებს თვითგადამზადების, ინდივიდიალურ განვითარების აუცილებლობას. საწრეო მუშაობა უმეტეს შემთხვევებში უკან რჩება პერსონალურ მუშაობის ამ მიმართულებით. სწორედ ამის გამო დღეს განათ. მუშაკის საზრუნავ საგანს (განსაკუთრებით სოფლად მომუშავეთათვის, რომელნიც მოწყვეტილნი არიან ქალაქის სხვადასხვა კულტურულ ორგანიზაციებში მუშაობის შესაძლებლობას) შეადგენს გამოვიყენოთ „განათ. მუშაკი“ აღნიშნულ მიზნებისათვის. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის მასწავლებელი, რომელიც მარტოდ-მარტო დაეყრდნობა რა „განათ. მუშაკს“ და მას მიიჩნევს ყველა საჭირო ცოდნის „ენციკლოპედიად“—ეს შეცდარი იქნება „განათ. მუშაკი“ ჩვენის აზრით, უნდა იძლეოდეს ზოგად მითითებებს და დასაბუთებულ შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხებზე, ხოლო დეტალიზაცია თვით მასწავლებლის ინტერესზე და უნარზეა დამოკიდებული.

ამხ. ჰანიშვილი სრულიად ობიექტიური რეალობით აყენებს საკითხს ლიტერატ. დამატების შესახებ, რომელსაც მთლიანად უერთდება ჩვენი (ოზტოფოს უბნის) ადგილკომი. უნდა გამოიცეს ცალკე ლიტერ. დამატება „განათლების მუშაკის“ ტირაჟის გადიდების ანგარიშზე. სამაზრო გამგეობების და ძირითად უჯრედების ამოცანას უნდა შეადგენდეს ფართე მუშაობის ჩატარება—რათა ყველა წევრები გახდენ ჟურნალის ხელის მომწერნი, რითაც ხელს შეუწყობთ საკავშირო მასის ინტერესის დაკმაყოფილებას. რაც შეეხება ჟურნალის ყოველკვირულად მიღებას (ერთ კვირაში „განათ. მუშაკი“ ხოლო მეორეში—„ლიტ. დამატება“), ეს ფრიად მისაღებ პირობად უნდა მივიჩნიოთ.

უეჭველია ამ უკანასკნელ წინადადებას უნდა მიეცეს განვითარებისა და განხორციელების მეტი შანსები, რაც შეიძლება მოკლე ხანში. განათლების მუშაკთა აქტიური-ენერგიული ნაწილი ინტერესით შეხვდება და სათანადოდ გამოეხმაურება „ლიტერ. დამატების“ გამოშვების საკითხს. პარტიისა და ხელისუფლების საერთო ხაზი—კულტურული რევოლუცია მოითხოვს განათ. პროფკავშირში გაერთიანებულ მასის თვითაღზრდის დაჩქარებას, რომ აღნიშნული გენერალური ხაზი გატარდეს ცხოვრებაში. ამისათვის ყველა „წვრილმანსაც“ ჩვენ უნდა მივაკუთნოთ სათანადო მნიშვნელობა, რომელიც ხელს შეუწყობს, თვით ჩვენში (კავშირის მასაში) ამ რევოლუციას.

მასწ. მ—ა დავითაია.

დავაჩქაროთ ეს სასარგებლო საქმე. როგორც ვიცით განათლების კომისარიატს განზრახული ჰქონდა სკოლებისათვის შეღავათიან ფასებში ფიზიკურ კაბინეტისა და სხვა საჭირო ხელსაწყოების მიწოდება, რაც თავის დროზე ეცნობა განათლების განყოფილებების მიერ სხვადასხვა სკოლებს და ამ უკანასკნელთა რიცხვიდან რამდენიმე სკოლის მიერ კიდეც შეტანილ იქნა სათანადო თანხები შესაფერ განათლების განყოფილებებში.

განზრახვა თავის თავად ფრიად მნიშვნელოვანია და სასარგებლო. ის პირდაპირ მისწრება იქნება სოფლის სინამდვილეში მომუშავე სკოლებისათვის.

ყველასათვის აშკარაა, რომ თანამედროვე შრომის სკოლის პრინციპები გულისხმობენ სათანადო მოწყობილობას და მის გარეშე მასწავლებელი, რა გინდ ვირტუოზი უნდა იყოს, მაინც შორს ვერ წავა.

მარტო ის რად ღირს, რომ რომელიმე მიყრუებულ კუთხის შეგირდი თავის თვალით დაინახავს ამებას და მის თანამოძმეებს, მათ საკვირველ გარდაქმნებს, დაინახავს მცენარეების უჯრედებს და მასწავლებლის მათზე საუბარი ხელპრად არ მოეჩვენება?

რამდენ ხალისს და ახალი ძიების წყურვილს გამოიწვევს მოჭადების მიერ ცდებით აღმოჩენილი ყოველივე ჭეშმარიტება!

ერთი სიტყვით, ეს ერთად-ერთი საშუალებაა მოწაფეებში თვითმოქმედებისა და კვლევა-ძიებითი უნარის გამომუშავებისათვის, რაც ასე ძვირფასია თანამედროვე სკოლისათვის.

მთელი რიგი სკოლებისა მოუთმენლად ელის შეკვეთილ ხელსაწყოებს.

საჭიროა, რაც შეიძლება დაჩქარება, რომ მიმდინარე სასწავლო წელში სკოლებს არ დაეკარგოს მოსალოდნელი სარგებლიანობა.

განათლების მუშაკი.

ჩემი დაკვირვებიდან. ამ 4—5 თვის წინად ხარაგოულის თემში (შორაპნის მაზრა) გაიმართა ადგილობრივ მასწავლებელთა კონფერენცია.

მთელ რიგ საკითხებთა შორის კონფერენციამ განიხილა ყველა ჯგუფების წერის შეთხდიც და მთავარი ყურადღება მიაქცია „წერას“ პირველ ჯგუფში. კონფერენციაზე გამოითქვა სხვადასხვა აზრი. ერთი ჯგუფი მასწავლებლობისა ამბობდა: „საჭიროა და აუცილებელიც თავიდანვე ხაზიან რვეულზე წერა, რომ ბავში მიეჩვიოს სწორ წერასო. ინსტრუქტორმა ა. ნიქაბაძემ კი აღნიშნა, „ჩემი აზრით კარგი იქნება პირველ ჯგუფში პირველად აწერიოთ უხაზო რვეულებზე და შემდეგ გადახვიდეთ ხაზიან რვეულებზე“. ჩემი აზრიც ასეთი იყო. ამ საკითხის შესახებ კონფერენციამ დაავალა ყველა სკოლებს—აწარმოონ ცდა და დაკვირვება; ხაზგასმით დაევალა ხარაგოულის 9-წლედთან არსებულ 4-წლედს, რომ აწარმოოს დაკვირვება. კონფერენციის დათავების შემდეგ შეუდექით მუშაობას. პირადად მე მაინტერესებდა ზემოდ ნაჩვენები საკითხის წესიერად მოგვარება. შემოვიღე ჯგუფში სულ უხაზო რვეულებზე წერა. ბავშები მართლაც თავისუფლად სწერდენ. გზა დაგზა წერის დროს მიხდებოდა დიდი ყურადღების მიქცევა, რომ ბავშებს სიმეტრიულობა დაეცვათ (რამდენიმე). ბავშები მიეჩვივენ სწორ წერას. რამოდენიმე ხნის შემდეგ ისინი გადავიყვანე ხაზიან რვეულზე. ბავშებს ბევრი ახსნა აღარ დასჭირდათ, თავისუფლად დაიწყეს სუფთა სწორი წერა. თუ მთელი ასი პროცენტით არა, 80 პროც-ტით მაინც მივაღწიე მიზანს ამ საკითხში. დღეს თამამად შემიძლია ვსთქვა: შესაძლებელი ყოფილა პირველ ჯგუფში უხაზო რვეულზე წერა პირველად და შემდეგ გადაყვანა ხაზიან რვეულებზე. „სიონელე“, რომელიც კონფერენციაზე გამოსთქვეს მასწავლებლებმა უარყოფილი უნდა იქნეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მას რომ მასწავლებელს სჭირდება ბევრი მუშაობა. ეს ასეც უნდა იყოს, მასწავლებლობა დიდის ენერგიით და სიხარულით უნდა ეკიდებოდეს ამ საქმეს. მე მინდა სხვა სკოლების აზრიც—ამის შესახებ, რომ გარკვეული ცნობა მივიცეთ განკომისარიატს ჩვენი სკოლების მუშაობის შესახებ.

ს. თეთრაწყაროს სკოლის მასწ.

ვ. თაბუკაშვილი.

თელავის მაზრის ს. ა. სკოლების მასწავლ. კონფერენცია. (შთაბეჭდილებანი). ა. წ. 11 თებერვალს ქ. თელავში გაიხსნა მაზრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების პირველი კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა სხვადასხვა საკითხები, რომლების ირგვლივ კამათი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო.

დღის წესრიგიდან აღსანიშნავია შემდეგი საკითხები; 1) 3 სოფლ. ახ. სკოლის მოხსენება თავის საქმიანობის შესახებ; 2) თემური მუშაობა ს. ა. სკოლაში. 3) სკოლის საზოგადოებრ.-კულ. ტურული საქმიანობა პროგრამებთან დაკავშირებით. 4) ფიზიკა-მათემატიკის სწავლების შესახებ.

მოხსენებებმა გამოარკვია მაზრის სკოლების მიღწევები, ნაკლი და დაბრკოლებანი. სკოლების პედაგოგიური პერსონალი თავისი მოვალეობით სათანადო სიმაღლეზე სდგას; ბევრმა სკოლებმა ჩაატარეს სხვადასხვა მნიშვნელოვანი სახის საქმიანობა, როგორც ადგილობრივ ნამყენი ვაზის გავრცელება, რამოდენიმე ასეული ფუთი პურის მანჭანაში გატარება და მოწამვლის შემდეგ მოსახლეობისათვის უფასოდ დათესვა და სხვა, რის ჩამოთვლა აქ შეუძლებელია. სამ სკოლაში მოწყობილი არის საერთო საცხოვრებლები ღარიბ მოწაფეთათვის. საერთოდ აღსანიშნავი არის, სკოლების მიღწევები, როგორც პედაგოგიურ, ისე საზოგ. მუშაობის მხრივ. აღმოჩნდა აგრეთვე ბევრი ნაკლულოვანება; ასე, მაგალითად, სკოლების უმრავლესობას არ უწარმოებია რაიონის ბუნებრივ-ეკონომიური გამოკვლევა; რამოდენიმე სკოლას არ შეუდგენია საწარმოო გეგმები. მთავარი დაბრკოლება სკოლების მუშაობაში არის ბიუჯეტის სიმცირე (ერთგან წელიწადში—444 მ. (?) ასეთი თანხით რის გაკეთება შეიძლება?). ზოგან სკოლა ბიუჯეტში გათვალისწინებულს დროზე ვერ იღებს, რაც მის წარმოებით მუშაობას აფერხებს.

მნიშვნელოვანი იყო კონფერენციაზე საკითხი პროგრამების გაშლის შესახებ: ამ საკითხის

ირგვლივ საერთოდ (რესპუბლიკანური მაშტაბით) ბევრი გაუგებრობაა შექმნილი და მით უმეტეს ამას ადგილი აქვს ჩვენს მაზრაში—რაც სრულიად ბუნებრივია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გან. სახ. კომის ს.ა. სკოლების ინსტრუქტორი ორ წელიწადში ერთხელ ჩამოდის აქ. ამით აიხსნება აზრთა სხვადასხვაობა კონფერენციაზე. ბოლოს ამ საკითხის მოგვარება მოხდა ერთი თემის სანიმუშოდ გაშლით, რისთვისაც კონფერენცია დაიყო სამ სექციად: საზ.-მეცნიერების, აგრონომიის, მათემატიკის.

საინტერესო იყო მოხსენებები საზოგადოპრაქტიკულ მუშაობის ირგვლივ. გარჩეულ იქნა პროგრამები და ყველა ის სამუშაოები, რომელიც შესაძლებელია ჩატარდეს პროგრამებთან დაკავშირებით გარკვეული იყო. კონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა ამ საკითხის ირგვლივ მოკამათეების მიერ და რეზოლუციებში მთელი რიგი მითითებებია შეტანილი.

ერთ სადავო საკითხთაგანს კონფერენციაზე წარმოადგენდა ის, თუ როგორ უნდა დაუკავშიროთ ერთმანეთს საზოგადოებათ-მეცნიერების და აგრონომიის თემები, რომლებიც პროგრამებში სხვადასხვა დასახელებით და შინაარსით არის შეტანილი. ეს საკითხი საბოლოოდ კონფერენციამ ვერ გადასჭრა რადგან აქ არ იყო ინსტრუქტორი. გამოირკვა აგრეთვე, რომ მათემატიკა ზოგან (ბევრგან) ვერ უკავშირდება მთავარ თემებს—ხდება აუცილებლად ხელოვნური დაკავშირება.

კონფერენციის საერთო შთაბეჭდილება კარგი იყო. ბევრი ამხანაგისათვის ის, რაც ბუნდოვანი იყო, ეხლა თვალსაჩინო გახდა. განათლების განყოფილების ნაბიჯი კონფერენციების მოსაწყობად სწორი და აუცილებელი იყო. მხოლოდ ვიმეორებთ—საჭირო იყო კონფერენციაზე განათ. კომისარიატის წარმომადგენელი; ვიმედოვნებთ, მოვისმენთ შემდეგში ინსტრუქტორის საღირექტივო მოხსენებას.

ნაკლებათ იყო ლაპარაკი სახელმძღვანელოების ირგვლივ, რომლებიც (საჭიროა ამის თქმა) მხოლოდ 30 პროც-ით აკმაყოფილებენ პროგრამებს (I ჯგუფის).

ა.

„განათლების მუშაკი“

პედაგოგიურ-პროფესიონალური ორკვირეული ჟურნალი
გამოცემა საქ. განათლების მუშაკთა კავშირისა

გამოდის თვეში ორჯერ, 1 და 15 რიცხვებში.

წლიურად ხელისმომწერთათვის ჟურნალი ღირს

ექვსი მანეთი

რომელიც გადახდილ უნდა იქნეს

ორ-ორ მანეთობით სამჯერ: ოქტომბრის პირველამდე, დეკემბრის პირველამდე და თებერვლის პირველამდე.

კოლექტიური ხელისმომწერნი კი იხდიან ადგილკომების და პროფურწმუნებულების საშუალებით თვიურად ათ-ათ შაურს.

მისამართი: ტფილისი, ფურცელაძის ქ. № 3

ს. ფანცხავა

უმწეო და დეფექტიურ ბავშთა მდგომარეობა საქართველოში.

მსოფლიო და სამოქალაქო ომებმა ჩვენში ისე, როგორც საბჭოთა მთელ კავშირში, ასობით და ათასობით მისცა ქუჩას მაწანწალა, უმწეო და ობოლი ბავში.

ასეთი ბავშების რიცხვი ჩვენში საკმაოა. განათლების ხელმძღვანელ ორგანოების საშუალებით ობოლ, უმწეო და მაწანწალა ბავშებს დიდი ყურადღება ექცევა.

ყოველწლიურად ორჯერ ხდება ასეთ ბავშების მდგომარეობის გამოკვლევა და მათი აღწერა.

ჩვენ ამ წერილისათვის გვინდა ვისარგებლოთ 1926-27-ს. წ. ძირითადი გამოკვლევის მასალებით.

1927 წლის 1 მაისისათვის უპატრონო ბავშების რიცხვი უდრიდა სულ 4350.

აქედან მაზრებში იყო 2350.

ამ რიცხვიდან სქესის მიხედვით 220 ქალია (5%) და დანარჩენი-კი 4130 ვაჟი (95%).

ამ რიცხვიდან გზებზე გაფანტულია 700 ბავში
მუნჯი და ყრუ . . . . . 597 „
ბრმა (არა სავსებით ბრმა) . . . . 298 „

ყველა უპატრონო ბავშები აღრიცხულია სულ 2—14 წლამდე.

მათ შორის სამ წლამდე არის სულ 599 ბავში, 3—14 წლამდე უმეტესობა ვაჟებია, ხოლო ქალები-კი 12—13 წლამდეა.

ბავშების შემადგენლობა სოციალურ წარმოშობის მიხედვით ასეთია:

გლეხების შვილებია 2828 (65%)
მუშების „ 870 (20%)
მოსამსახურის „ 440 (10%)
გამოურკვეველია „ 212 (5%)

აქედან სჩანს, რომ ყველაზე მეტი უმწეო და დეფექტიური ბავშები გლეხის შვილებია.

აქვე საჭიროა ავღნიშნოთ ბავშების ეროვნული შემადგენლობა მაზრებსა და ქალაქებში ცალკ-ცალკე.

ეროვნება	მაზრებში	ქალაქებში
ქართველი	1598(68%)	200(10%)
სომეხი	658(28%)	440(22%)
რუსი		1300(65%)
დანარჩ. ეროვნებანი	94 (4%)	60(3%)

ეს ცხრილი უფრო საგულისხმოა. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ რესპუბლიკის მაზრებში უმთავრესად უმწეო და დეფექტიური ელემენტია მკვიდრი —ქართველები, ხოლო ეროვნულ უმცირესობათა შორის სომხები, შემდეგ თურქები, ეზიდები და სხვა. ახალქალაქის, ახალციხის და თელავ-ბორჩალოს მაზრებში უმთავრესად სომხებია.

სომხების და რუსების ასეთი რიცხვის არსებობა აიხსნება იმით—კი არა, თითქო ისინი ყველა საქართველოს მაზრებიდან ან ქალაქებიდან იყვენ წარმოშობილნი, არამედ ისინი გადმოსულნი არიან საქართველოში თავშესაფარად, რ. ს. ფ. ს. რ., სომხეთიდან და აზარბაიჯანიდან.

აქ საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ ავღნიშნო უმწეო და ობოლ ბავშების რიცხვის ზრდის მიზეზი:

1) ასეთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს თვით ბავშის სრული ობლობა, როცა ბავში ყოველივე ზრუნვას მოკლებულია და იძულებულია ან ქუჩას მიაშუროს ან და სათანადო ორგანიზაციებს მიმართოს პატრონობისათვის.

ახალი გამოკვლევით ასეთები უდრის 53%.

2) ოჯახის დაშლის, მისი გაპარტახების და შეუღლებულთა გაყრის შემდეგ დარჩენილი ბავშები უმწეოდ რჩებიან, რომელთა %%-ები უდრის სულ 3-4%.

3) ოჯახის ზნეობრივ და ქონებრივ პირობების გამო ვერ ურიგდება ოჯახურ პირობებს და ეჩვევა უზნეობას და რეციდივისტობას. ასეთი ბავშების რიცხვი აღწევს 20%.

4) ნერვიული, ჭლექიანი და ვენერიული სენით შეპყრობილი ბავშები, რომელთა რაოდენობა 10%-ს აღწევს, ამათგან ყოველწლიურად კვდება 6%.

აი მთავარი მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობდა და უწყობს ჩვენში უმწეო და დაფექტიურ ბავშების, ამ ქუჩის მოსახლეობის ზრდას.

ყოველწლიურად საშუალოდ საქართველოში ქუჩაზე გამოდის და ახალ აღრიცხვაში გატარდება 800-დე ბავში.

რა თქმა უნდა, მათ შორის არიან ისეთი ბავშები, რომლებიც სხვადასხვა მეზობელ რესპუბლიკებიდან ჩამოდიან.

ყოველწლიურად იხოცება 10% ამ ბავშებისა.

ხშირად, როცა ბავშს მშობლები ეხოცება, რჩება მოძრავი ქონება მშობლებისაგან.

ობოლი ბავშები სარჩო-საბადებელს მეურვისაგან იღებენ, მაგრამ ამ მხრივაც ხშირად მახინჯდება ბავშის მდგომარეობა. ხშირად მშობლების მოვალეს მიაქვს ბავშის კუთვნილი მოძრავი ქონება, ანდა როცა მშობლების მოვალე და მეურვე ბავშის წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედებენ და ამით, რა თქმა უნდა, სანამ ბავშების დაცვის სათანადო ორგანოები ამ მოვლენას ყურადღებას მიაქცევდენ, ბავში გაპარტახებული რჩება და იძულებულია მიაშუროს ქუჩას.

ასეთია ჩვენში უმწეო და დეფექტიურ ბავშვების წანწალის მთავარი მიზეზები.

ამ ბავშვებში გავრცელებულია შემდეგი სახის ბოროტმოქმედებანი:

1) ქურდობა, 2) რეციდივისტობა, 3) მკვლელობას განზრახვა, 4) როსკიპობა, 5) ცარცვა, 6) სპეკულაცია და 7) სხვა.

მცირე-წლოვანთა კომისიის მიერ ნაწარმოებ საქმეებიდან სჩანს, რომ 1925-26 სასწ. წელში სულ კომისიაში შემოსულია 488 საქმე, რომლის გამო ბრალი ედებოდა 595 ბავშს, აქედან ვაჟი 563, ხოლო ქალი 32. ეროვნების მიხედვით:

ქართველი—113. სომეხი—260. რუსი—170. თურქი-სპარსელი—48. პოლონელი—4. სულ 595.

ბრალი ედებოდათ მკვლელობაში—5 ბავშს. მარტივ ქურდობაში 414. კვალიფიც. ქურდობაში—8. უზნეობაში—18. სხვადასხვა სისხ. სამარ. დანაშ.—43. სულ—448.

კომისიის ზომების შემდეგ დარიგებით განთავისუფლდა 308 ბავში.

ავჭალის ახალშენში გაიგზავნა გამოსასწორებლად 83 ბ., სამშობლოში 8 ბ., მხილების უქონლობის გამო გაანთავისუფლეს 149 ბ., სახ. სასამართლოს გადაეცა 39 ბ., საბავშო სახლში მოთავსდა 1. სულ 585 ბავში.

1926-27 სასწ. წელში უკვე დანაშაულთა რიცხვი თანდათანობით იკლებს.

ამ წელში შემოსულა ამავე კომისიაში სულ 419 საქმე, ბრალი ედებოდა 532 ბავშს. ვაჟი—508 და ქალი—24. ეროვნების მიხედვით:

ქართველი—111. სომეხი—227. რუსი—129. თურქი-სპარს.—61. ოსი - 2 და ბერძენი—2. სულ—532.

ბრალი ედებოდათ: მკვლელობაში - 4 ბავშს. გაცარცვაში—1. მარტივ ქურდობაში—357. კვალიფ. ქურდ.—5. უზნეობაში—9. სხვადასხვა სისხ. სამარ. დანაშ.—43. სულ—419.

დარიგებით გაანთავისუფლეს—296 ბავში, ავჭალის ახალშენში გაიგზავნა—50 ბ. სამშობლოში—8. გაანთავისუფლეს მხილების უქონლობის გამო—127 ბ., სახ. სასამართ. გადაეცა—43, საბავშო სახლში მოთავსდა—1. სულ—525 ბავში.

(დასასრული იქნება).

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ

(1800—1883 წ.)

45 წელი შესრულდა პოეტის გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებიდან.

გრიგოლ ორბელიანი უმაღლეს წოდებას ეკუთვნოდა. პოეტის და, ეფემია დედა იყო საქართველოს დიდი მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

გრიგოლ ორბელიანის ახალგაზრდობის წლები ხასიათდება ბატონყმური ურთიერთობის გავლენით, ტრადიციული ფეოდალური შეხედულებებით და, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან დაკავშირებით, საქართველოში რუსეთის ბატონობის დასამხობად მოწყობილი შეთქმულებით. ახალგაზრობაშივე ჩვენმა პოეტმა სწავლაში დიდი ნიჭი გამოიჩინა. პირველად ის სწავლობდა ანჩისხატის დეკან. ალექსი-მესხიშვილთან, შემდეგ გდავიდა კეთილშობილთა სასწავლებელში, ხოლო აქედან პოეტი გადაიყვანეს ახლად გახსნილ საარტილერიო სასწავლებელში, სადაც განსაკუთრებულის წარმატებისათვის 1817 წელს მან საჩუქრად წიგნი მიიღო. 17 წლისა ის იუნკერია და აქედან იწყება მისი სამხედრო ასპარეზზე მოღვაწეობა. პოეტი მონაწილეობას იღებდა, სხვათა შორის, სპარსეთთან ომში (1826—1828 წ.), შემდეგ ომში ოსმალეთთან და სხვ. პოეტის ზოგიერთი ლექსი (მაგ., „სადღეგრძელო“) ატარებს სამხედრო ცხოვრების სპეციფიურ ბეჭედს.

1832 წელს ორბელიანმა მონაწილეობა მიიღო რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულებაში.

როგორც ვიცით შეთქმულება გასცა ერთერთმა მონაწილემ. ყველანი შეიპყრეს.

ორბელიანს წილად ხვდა ციხეში ჯდომა და შემდეგ კარგა ხნით სამშობლოდან გაძევება.

გრიგოლ ორბელიანი საქართველოს წარსული დიდების პოეტია. მისი სულიერი განწყობილება გამომდინარეობდა იმ მდგომარეობის შეფასებიდან, რომელშიაც პოეტი ცხოვრობდა. წარსულში თავისუფლება, აწმყოში კი სხვისა მონობა,—აი ფორმულა სინამდვილისა, რომელიც ეგრე გულს აკლავდა ჩვენს პოეტს და რომლიდანაც გამომდინარეობდა მისი დასკვნები, როგორც პრაქტიკული (შეთქმულებაში მონაწილეობა), ისე პოეტური.

„ვა, თუ რაც წახდეს,
ვეღარა აღსდგეს,
ვეღარ აყვავდეს ახლოს შვენებით,
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შავმა ყორანმა, ვით უმწე მსხვერპლი“.

სამშობლოს აღდგენა გრიგოლ ორბელიანის პოეტური ზრახვაა. აქეთკენ არის მიმართული მისი ფიქრები და აზრები.

პოეზია გრიგოლ ორბელიანისა აქტიურია, თბილი, მდიდარი სახეებით ფერადებით, სურათებით. პოეტის მიერ გადმოშლილი სურათი წარსულისა იწვევს განსაზღვრულ ემოციებს და ამ გზას არა ერთი და ორი პოეტი გაჰყვა ორბელიანის შემდეგ.

საკმაოდ ბევრი ლექსი აქვს დაწერილი ორბელიანს. მათში აღსანიშნავია ზემოდ დასახელებული „სადღეგრძელო“, „ჩემს დას ეფემიას“, „ნუ მასმევ ღვინოს“, „იარალი“ და სხვ.

„მუშა ბოქულაძე“ ერთერთი შედევრია პოეტის ნაწერებში, რომელიც დღემდე ამშვენებს ჩვენს ქრესტომატიას.

ორგინალურ ლექსებთან ერთად ჩვენს პოეტს აქვს ნათარგმნი ლექსებიც. მის კალამს ეკუთვნის თარგმანი კრილოვის იგავებისა („ვირი და ბულბული“ და სხვ.), ლერმონტოვისა, ჟუკოვსკისა, რილეევისა და სხვ.

გარდაიცვალა გრიგოლ ორბელიანი 83 წლისა 1883 წლ. 21 მარტს (ძვ. სტ.).

მ. კანელი.

ჰენრიხ იბსენ

მარტის 20 შესრულდა ასი წელიწადი მთელ მსოფლიოში სახელ განთქმულ ნორვეგიელ მწერლის ჰენრიხ იბსენის დაბადების შემდეგ. იბსენის სახელს საქართველოც კარგად იცნობს: მისი პიესები ათეული წლების განმავლობაში ატოკებდა ჩვენს სუნთქვას და გულს. „ეჭვი შტოკმანი“, „ნორა“, „გარეული იხვი“, „საზოგადოების ბურჯნი“, „მოჩვენებანი“—მთელი ეპოქაა ქართული თეატრის ისტორიაში.

იბსენის ბევრი პიესა დაბეჭდილიცაა ქართულ ენაზე ჟურნალ „მოამბეში“, მისი მთარგმნელები იყვენ ივ. მაჭავარიანი, პოლუმორდვინოვი და სხვ.

იბსენის შემოქმედებას თავის დროზე უდიდესი გავლენა ჰქონდა მთელი ევროპის აზროვნებაზე, დიდი გატაცება იყო რუსეთშიც, განსაკუთრებით ეს ითქმის თეატრის შესახებ. მისი „ეჭვი შტოკმანი“, „ბრანდი“ და „მშენებელი სოლნესი“ მუდამ დაუვიწყარი იქნება რუსეთის თეატრალური ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

მსოფლიო ომის წინადროინდელ ბურჟუაზიულ ევროპას თავისი მოაზროვნენი ჰყავდა, ამ კლასის ინდივიდუალიზმი შესანიშნავად გამოსთქვეს შტირნერმა და ნიცშემ. ეს ფილოსოფოსები არიან ბურჟუაზიული აზროვნების გოლიათები, ხოლო მათი აზრების პოეტურ სახეებად გამომსახავი იბსენი არის.

საწარმოო ძალთა სასწრაფოთ განვითარებამ ბურჟუაზიული კლასიც დიდის სისწრაფით განავითარა, ბურჟუაზიაზე უფრო ჩქარა არც ერთი საზოგადოებრივი კლასი არ განვითარებულა კაცობრიობის ისტორიაში. საფრანგეთის რევოლუციის აქეთ ერთი საუკუნეღა გავიდა და მაშინ სააშკარაოზე გამოსული კლასი ისე მალე გაიზარდა, რომ საუკუნის მეორე ნახევარში სიბერისა და დაცემის ნიშნებიც კი აღმოაჩნდა. განსაკუთრებით თავზარის დამცემი შეიქნა მისთვის მისი მესაფლავე კლასის პროლეტარიატის წარმოშობა და გაძლიერება. გადის დრო და საშინელ წინააღმდეგობათა ქსელში გახვეული ბურჟუაზია აშკარად ხედავს, რომ უფსკრულს უახლოვდება და მისი დაღუპვა აშკარაა. ამ ნიადაგზე იქმნება

უდიდესი აზრთა მოძრაობა და მუშავდება სხვადასხვა სოციალური თეორიები. პროლეტარიატი ჯერ კიდევ 1848 წლიდან მარქს-ენგელსის „კომუნისტური მანიფესტით“ ქვეყნის მხსნელად კლასთა ბრძოლის და სოციალიზმის იდეას აღიარებს. ბურჟუაზია კი ამ მოძღვრებას თავისას უყენებს: ესაა კოლექტივიზმის იდეის სრული უარისყოფა და ინდივიდუალიზმის ფილოსოფია.

რა იხსნის დასაღუპავად გამზადებულ ბურჟუაზიულ კაცობრიობას: სოციალიზმ-კოლექტივიზმი, თუ ინდივიდუალიზმი?.. აი საკითხი, რომელიც უმძიმეს ლოდად აძევს ამ დროის ევროპის აზროვნებას. იბსენიც ამ მოაზროვნეთა შორის არის და მთელ თავის გენიალურ ნიჭს ანდომებს ინდივიდუალისტური აზრების პოეტურად გამოსახვას. მის ბრძოლას ამძაფრებს და ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ის გენიალური ნიჭის პატრონია და თანაც ისეთ შესახიშნავ სააგიტაციო საშუალებას დაეუფლა, როგორიც თეატრია.



შტრანერის და ნიცშეს აზრით ადამიანის პიროვნებას არაფერი არ უნდა ბოჭავდეს, მისი ნიჭი და შემოქმედება ხელშეუშლელად უნდა ვითარდებოდეს, ბურჟუაზიული წარმოების გამაერთიანებელი და ინდივიდუალობის წამშლელი პირობები უნდა მოისპოს. ნიცშე ქადაგებს ზეკაცის იდეას: თანდათან უნდა შემუშავდეს შერჩევის გზით რჩეული პიროვნება, დარვინის ბუნებრივი შერჩევის და ძლიერთა გამარჯვების იდეა ადამიანთა საზოგადოებაშიც უნდა იქნას გადმოტანილი და მხოლოდ ამ გზით შეიძლება კაცობრიობის გაჯანსაღება. სოციალიზმის მიერ ნაქადაგევი დემოკრატიზმი ყოველივეს დაღუპავს და გაანადგურებს. დემოკრატიის გაბატონება მეორე ბარბაროსობა იქნება, დაბალი ხალხი ბილწავს ყოველივეს,—აი რას ამბობდა ნიცშე.

ამ აზრების პოეტია იბსენი. მისი ექიმი შტოკმანი გააფთრებით ებრძვის „შეკავშირებულ უმეტესობას“. ჭეშმარიტებისა და თავისუფლებისათვის ყველაზე საშიში მტერი შეკავშირებული უმეტესობა არისო ამბობს შტოკმანი. უმეტესობა არასოდეს არ არის მართალი, ამ ყველასაგან მიღებულ სიყალბეს გააფთრებით უნდა ებრძოდეს ყოველი გონიერი ადამიანი. ვინ შეადგენს უმეტესობას: განათლებულები, თუ ჩერჩეტები? მთელ ქვეყანაზე უმეტესობას უტვინოები შეადგენენ. და განა გონიერია, რომ სულელები განაგებდენ განათლებულთა ბედს? ასე ამბობს შტოკმანი.

იბსენმა გენიალურად დაახასიათა ბურჟუაზიული უმეტესობის გადაგვარება, უკულტურობა, დაცემა, ორპირობა და გათახსირება, ამ საზოგადოებაში ყველაფერი სიყალბეზე, ანგარებაზე და თვალთ მაქცობაზეა აგებული. იდევნება პატიოსანი და დამოუკიდებელი აზრი, იღუპება პიროვნება. სად არის აქედან გამოსავალი? კერძო პიროვნებების გონებრივ არისტოკრატიზმსა და ზეკაცობაში

რომელსაც დოსტოევსკის რასკოლნიკოვივით ყველაფრის ჩადენის უფლება აქვს-ადამიანის მოსპობისაც კი. იბსენის გმირები უარყოფენ ბურჟუაზიულ გათახსირების წინააღმდეგ კოლექტიურ ბრძოლას და ბრანდის პირით აყენებენ ანარქიულ ფორმულას: „ან ყველაფერი, ან არაფერი", მათ არ იციან რა არის პროგრამა ძინიმუმი, არა ისინი მაქსიმალისტები არიან და ზეკაცებზე დაყრდნობით უნდა გაარღვიონ ბურჟუაზიული კედლების სიმაგრენი.

მოკლე წერილში ყოვლად შეუძლებელია იბსენისთანა გიგანტის დახასიათება. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მისი შემოქმედება გვიტაცებს უმთავრესად იმისათვის, რომ შესანიშნავის ხელოვნებით დაგვისახა ძლიერ პიროვნებათა ბრძოლა არსებულ უკუღმართობის წინააღმდეგ. მისი ბრანდი, ნორა, შტოკმანი, ვერდე და სხვა ტიპები ბრძოლის უდიდეს ცეცხლს ანთებენ და ყველა მებრძოლთა სიმპატიაც მათკენ არის.

ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი და ანარქისტული იდეები დღეს უკვე გზას უთმობენ მარქსისტული სოციალიზმის კოლექტიურობის იდეებს და იბსენის იდეებსაც ძველი სიცხოველე ეკარგება. ამიტომ არის, რომ დღეს ისბენით გატაცებას ჩვენში ნაკლები ადგილი აქვს. არა ინდივიდების, არამედ მასების ბრძოლა,—აი რა დაეუფლა მთელი ქვეყნის გასაახლებლად წარმოებულ ბრძოლას. გამართლდა 1848 წლის კომუნისტური მახიფესტის დედააზრი, ისტორიას ჩაბარდა შტირნერისა და ნიცშეს ფილოსოფია.

იბსენი გარდაიცვალა 1906 წ.

ვინ. ხან.


ჩემი ვინაობა.

(დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის)

დავიბადე 1868 წ. სოფ. ერთაწმინდაში (გორის მაზრა). მამა-ჩემი მღვდელი იყო, ამავე სოფელს და ჩვენს ახლო მდებარე ხუთ-ექვს მთიულის სოფლებს მწყევსავდა; თითონაც სემენარიაში მიეღო სწავლა განათლება (მეექვსე კლასიდგან გამოეგდოთ, რაზედაც ფრიად საინტერესო ეპიზოდს მოგვითხრობდა ხოლმე შვილებს რუსის რექტორის და ბერების ცხოვრებიდგან) და რა თქმა უნდა შვილებსაც სამღვდლოდ გვამზადებდა, და ჩვენ რომ მღვდლები არ გამოვსულიყავით, ეს პირდაპირ გვარეულობის დაღუპვა და შერცხვენაც-კი იქნებოდა, ვინაიდგან თითონ გვარში მეცხრამეტე დეკონოზი იყო და მეოცე ჩვენგანი ვინმე უნდა ყოფილიყო.

განსვენებულს მე იმედი ვერ გაუმართლე—სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასიდგან დამითხოვეს,—როგორც თითონ გამგეობა გვეუბნებოდა,—ბერძნული ენისადმი უგულობის-ათვის. ეს იყო მიზეზი, რომ სიკვდილამდის მამამ ჩემზედ გული ვეღარ მოიბრუნა; მაშასადამე, 16—18 წლის ბიჭი შევრჩი ჩემს თავს მარტოდ-მარტო ხელში და მე-ვე უნდა მეზრუნა ჩემს მომავალზედ.

აქ პირი ვქენ სამასწავლებლო ინსტიტუტისაკენ; ამ სასწავლებელში ქართველებს ფრიად კეთილი კაცი ამოგვიჩნდა—ცისკარაშვილი (თუში), მეც ამის მფარველობის კალთის ქვეშ მოვყევ და ოთხ კაცს ქართველს გვაღირსეს ინსტიტუტის მოწაფეობა: ეს ბედნიერებაც ჩემთვის დიდ-ხანს არ გაგრძელდა,—მესამე კლასში ვაპირებდი ფეხის გადადგმას და აპრილში კი გამომიცხადეს—დათხოვნილი ხარო; რა თქმა უნდა, ეს აღბავი ზარივით დამატყდა თავზედ და საწყენი ჩემთვის უფრო კი ის იყო, რომ დამწამეს ის, რაც არც ვყოფილვარ, არც ვიყავი და არც ვიქნები, მაგრამ ბევრიც რომ მეფიცა, ვის დავაჯერებდი. ჩემი ხელმძღვანელნი სწავლაში, რუსი თუ ქართველი საკვირველია, ჩემში ამას კითხულობდნენ, ასე მთვლიდნენ; მე კი ვერ გამეგო, ჩემი რანაირი საქციელი ჰბადებდა მათში ამისთანა აზრს; ეს ჩემი გაუგებრობა იყო, ასე რომ ვსთქვათ, ჩემი ცხოვრების ფატალობა და ბოლოს მაინც ამ ფატალობამ მთლად ჩემი ცხოვრებაც ტრაგედიად გარდააქცია,—როგორც ამას დავინახავთ ქვემოდ.



ინსტიტუტში ყოფნის დროს მე კარგად გავეცან მაშინდელი საზოგადოების განსაკუთრებულ გულმტკივნეულობას და ნატვრას. გავიცან აგრეთვე ილია, აკაკი, შევიყვარე და შემიყვარდა მათთან ყოფნა; ცხვედაძე და გოგებაშვილი დიდი მფარველები მყავდნენ, მათ ბევრი რამ მომცეს, თვალი ამიხილეს, ჩამახედეს, მაგრძნობინეს, დიდს რამეს მოელოდნენ ჩემგნით და ეხლა რომ გვრძნობ, რომ მათი ნაკარნახევი ცოტათი მაინც ვერ ავასრულე, მე მრცხვენიან.

ილიას გარემო წრესთან კარგად დავახლოვდი; პირველი პატარა წერილი ივერიაში მოვათავსე იპოლიტოვ-ივანოვის მიერ გადაღებულ ქართულ საეკლესიო საგალობლების შესახებ, რომელიც შესრულებულ იქმნა პირველად ძველ სემენარიაში ამავე სასწავლებელის გუნდის მიერ. ეს იყო, თუ არა ვსცდები, 38—40 წ. წინედ. ამის შემდეგ ვწერდი თითქმის ყველა ქართულ გაზეთებში, ჩემი წერილი კვალშიაც კი იყო დაბეჭდილი და, ასე გასინჯეთ, ს.-დემოკრატების გაზეთის რედაქტორიც კი ვიყავ ერთ დროსა. რა თქმა უნდა, შორს ვიყავი და ვარ მათი იდეოლოგიისაგან, მაგრამ მათთან ვიყავით ყველანი იმდენად, რამდენათაც იგინი

ალექსანდრე მესამისა და ნიკოლოზის ტახტის დანგრევას ლამობდნენ და მათი დაცემით ქართველ ერს რამე ეშველებოდა.

1885—1886 წ. დაარსდა პირველი ქართული გუნდი, მეთაურობდა ლადო ალნიაშვილი. ამ გუნდში მეც მიმიწვიეს. გუნდის მონაწილენი ყველა,—თითქმის, სასულიერო სასწავლებლიდგან იყვნენ მოწაფენი აქ კიდევ შევხვდი ჩემს ამხანაგებს. გუნდის ლოტბარი იყო რატიელი, ტომით ჩეხი; მან შემაგულიანა წავსულიყავ რუსეთში სიმღერა-მუსიკის შესასწავლად.

1889 წ. გავემგზავრე რუსეთისაკენ. დავყავ აქ 1895 წ. ქ. მოსკოვში და აქ ვსწავლობდი ფილარმონიულ უმაღლეს სამუსიკო სკოლაში.

სასწავლებლის მეოთხე კურსზედ ჩავრჩი და აქ ზაფხულში საქართველოშიაც გამოვემგზავრე ამხანაგებთან ერთად; მოვიდა შემოდგომა, გარემოება ჩემზედ ღონიერი გამოვიდა და აქ ჩავრჩი სამუდამოდ.

1896 წ. შევედი საოპერო დასში, 1905 წ.—დასის რეჟისორად დამნიშნეს; 1905 და 1906 წ. წ. სახაზინო ოპერის თეატრისთვის ფრიად მძიმე წლები იყო; ამ წლებში გარეთ თოფის სროლა, ჩხრეკა, დაპატიმრება იყო გამეფებული და აბა შიგნით ვიღას ემღერებოდა? მთელი ეს სიმძიმე, როგორც რეჟისორი დასისა, მე გადავიტანე.

სახაზინო თეატრიდან ქართულ საქმესაც ვაკეთებდი. 1905 წ. მოუყარე თავი მომღერლებს, გადავთარგმნე პირველად ქართულს ენაზედ „სევილიელი დალაქი“ და შეუდექი მეცადინეობას მომღერლებთან.

1905 წ. 9 მაისს არტისტიულ საზოგ. პირველად დაიდგა ქართულ ენაზე ოპერა.

ამ ოპერის წარმოდგენის წარჩინებამ წამაქეზა და გადმოვთარგმნე „დემონი“; ეს ოპერაც დავდგი სახაზინო თეატრში 1906 წ. 22 იანვარს. და მინდოდა ქართული ენაზედ „სევილიელი დალაქიც“ რუსული ოპერებისაგან შემეპარებინა. აქ 1906 წ. გარემოებამ სხვანაირად იმუშავა: შავბნელმა რეაქციამ რევოლუციას რომ ვერა უყორა, ჩემზედ იყარა ჯავრი; როგორც გადმომცეს ბოლოს, შირინკინი და გენერ.-გუბერნატორი ტიმოფეევი თეატრის მუშების უკმაყოფილობის მიზეზად, თურმე, მე მთვლიდნენ. ერთ მშვენიერ ღამეს თეატრიდგან შინ მოვდიოდი, ალექსანდრეს ბაღთან დამხვდნენ „ოხრანიკის“ სამი თანამშრომელი, გუბერნატორის ბრძანების სახელით ჩამისვეს ფაიტონში და ციხეში გამაჭანეს. აქ, საგუბერნიო საპყრობილესთან გადმოვედით ეტლიდგან, როგორც გადავდგით რამოდენიმე ნაბიჯი და ერთმა მათგანმა უკანიდგან მესროლა რევოლვერი: მე დავეკი მკვდარი; ბოლოს მიპოვნა „გარადავოიმ“ და მიმიტანა საავადმყოფოში. მაშინდელ გაზეთებში ბევრი დაიწერა ამ უაზრო მკვლელობისა გამო, ქართველი საზოგადოებაც შეშფოთდა და ეს იყო მიზეზი, რომ ჩემი მკვლელები დაიჭირეს, ვითომდა გაასამართლეს, გაკზავნა გადუწყვიტეს და მეორე კვირას კი გამოეშვათ. სასამართლოში, თურმე, განაცხადეს: იქიტომ გვინდოდა მაგისი მოკვლა, რომ მაგის ჩვენებით და მითითებით ექვსი ჩვენი ამხანაგი მოკლესო.

ამაზედ წინადაც არ მასვენებდნენ ოჯახში, ყოველ ორკვირაში ერთხელ შუალამისას აგვწუწავდნენ; მახსოვს, მე-9-ე საბოქაულოში ერთი ბოქ. თანაშემწე იყო, ვინმე ავალოვი; ერთი გაჩხრეკის დროს ჩამიყვანა პადვალში და ჩამაცივდა:

მითხარი, სადა სწერ პროკლამაციებსაო. ეხლა რომ მაგონდება, მეცინება ხოლმე რა სულელი ხალხი ეხვია ნიკოლოზსა!

მაგონდება ის ფატალობა, რაც უკან მდევდა და თავს მახვევდა იმას, რის ჩამდენიც არ ვიყავ.

ასე თუ ისე, ამ „უნდა გაქცეულიყო"-ს შემდეგ მე ფიზიკურად განახევრებული კაცი დავრჩი და ვეომები ცხოვრებას.

ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნის დროს რუსეთის საისტორ.-ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში 1892 წ. წავიკითხე მოხსენება: „ქართულ მუსიკა და მისი ელემენტები." 1895 წ. „მოამბეში" დაიბეჭდა ვრცელი წერილი ქართ. მუსიკის შესახებ.

ვათავსებდი წერილებს ტფილისის ყველა რუსულ გაზეთებში, გარდა „გოლოს კავკაზა"-სი.

1896 წ. დაიბეჭდა ჩემი ოთხი რომანსი.

1896 წ. წ.-კითხვ. საზოგ. გამოსცა ჩემი კრებული ხალხ. სიმღერებისა.

1901 წ. რუსულ ენაზე დაიბეჭდე «Очерк истории грузинской музики.»

1912 წ. დავბეჭდე მეორე კრებული ხალხური სიმღერებისა.

1921 წ. დაიბეჭდა სიმღ.-მუს. სახელმძღვანელო სახ. სკოლებისათვის და მასთან ხალხური სიმღერების კრებულიც.

1925 წ. გამოიცა ორი რომანსი.


1908 წლიდგან ოპერაციის შემდეგ თავს ცუდად ვგრძნობდი და ამ წლიდგან დავიწყე გამოქვეყნება ხალხური ზეპირ სიტყვაობის მასალისა, რაც კი შემეკრიბა და გამეგონა; ამ მასალას გამოეხმაურა აკაკი, ხახანაშვილი და სხვები, რომელთაც მოსწონდათ ეს ნამუშავარი. გადმოთარგმნილი მაქვს თორმეტი ოპერა, რომელთა სიაც უკვე წარდგენილი მაქვს ხელოვნების მთავარ კომიტეტში; ეს ოპერებია: ტრავიატა, დემონი, სევილიელი დალაქი, ჯამბაზები, სოფლის პატიოსნება, ოტელო პიკის ქალი, ფრა დიავოლი, ფაუსტი, ბალ-მასკარადი, რიგოლეტო და ბოგემა. მაქვს ხელთნაწერი ქართ. მუს. ისტორიისა, რომელზედაც არა ერთხელ იყო ხსენება გაზეთებში და განვაგრძობ შეძლებისდაგვარად ჩემს საყვარელ ხალხურ ზეპირსიტყვაობის მასალის შეგროვებას და დამუშავებას.

მე, როგორც პატარა მოჭალაქემ, გავაკეთე და ვაკეთებ ისე, რაც და როგორც შემეძლო ჩემს დარგში. მოვა ახალი თაობა, ახალი ცოდნით აღჭურვილი და, რა თქმა უნდა, ისინი უფრო უკეთესად გააკეთებენ, მე კი მომავლისათვის მიმინდვია ჩემი გულწრფელი და უანგარო პატარა გარჯილობა. დეე, პირუთვნელმა სიტყვამ შეაფასოს იგი.

ია კარგარეთელი.

ჟიულ ვერნი

მიმდინარე წლის თებერვლის რვას შესრულდა ასი წელი ფრანგი მწერალის—ჟიულ ვერნის დაბადებიდან. მის ნახევრად-მეცნიერულ და ნახევრად-ზღაპრულ რომანებში ნაწინასწარმეტყველევია ბევრი ისეთი აღმოჩენა-გამოგონებანი, რომელიც მაშინ არავის სჯეროდა, მაგრამ ეხლა აღარავის აკვირვებს. მაგ., დირიჟაბლი, წყალქვეშა ნავი, ჰიდრო-აეროპლანი და სხვ. ჟიულ ვერნი



გამსჭვალული იყო ღრმა რწმენით ადამიანის გენიისადმი, მის მეცნიერულ და ტეხნიკურ მიღწევებისადმი და ამ ოპტიზმით იტაცებდა ის მკითხველებსაც, გაბ-საკუთრებით ახალგაზრდობას. ვინ იცის, რამდენი ახალგაზრდა გაიტაცა ჟიულ ვერნმა თავის ფანტაზიით და წაახალისა აღმოჩენა-გამოგონებისათვის! ის გარდაიცვალა 1905 წელს. ვათავსებთ მწერლის სურათს და ქანდაკებას მის საფლავზე ამიენში. ეს ორიგინალური ქანდაკება გამოხატავს ადამიანის მისწრაფებას ზევით, შრომისა და ცოდნის მწვერვალებისაკენ.

სრულიად საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობა

მწერალთა კავშირის გამგეობის მუშაობა, ყრილობის დელეგატებს ფრიად აინტერესებდა. ამითაც აიხსნება ის ყურადღება, რომლითაც მოსმენილ იქნა ამხ. ს. თოდრიას მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ.

ამხ. ს. თოდრია უმთავრესად გამგეობის მუშაობის უარყოფით მხარეებს შეეხო. ლიტერატურულ სფეროში საბჭოს მუშაობა სუსტი იყო, ხოლო მნიშვნელოვანი იყო იგი საზოგადოებრივ პოლიტიკურ სფეროში. ქართული თეატრიც თავის მუშაობას აწარმოებდა ქართული მწერლობის გარეშე და ეს ვერ ჩაეთვლება ნორმალურ მოვლენად.

პაოლო იაშვილის თანამოხსენება მწერალთა საბჭოს ფინანსიურ მდგომარეობას ეხებოდა. აღინიშნა, რომ მწერალთა საბჭო უზრუნველყოფილი იყო საანგარიშო დროის განმავლობაში და მთავრობისაგან ძიღებული ფული ხმარდებოდა, უმთავრესად, გამომცემლობას, გაჭირვებულ მწერალთა დახმარებას და სალიტერატურო მუშაობის გაძლიერებას. ამის შემდეგ იაშვილი შეეხო საბჭოს მუშაობის სხვა მხარეებსაც.

მწერალთა კავშირის გამგეობის მუშაობის გარშემო ცხარე კამათი გაიმართა. ამ კამათში ბევრი რამ საყურადღებო აღინიშნა. სექციები ვერ მუშაობდა ნაყოფიერად, ანაბები მიზანშეწონილად არ იხარჯებოდა. საერთო მუშაობაში არ იყო გეგმიანობა. მწერალ-ქალებს შესაფერისი ყურადღება არ ექცეოდა. მწერალთა კავშირის ჟურნალი „ქართული მწერლობა“ ვერ გამოდიოდა უნაკლულოვანებოდ და სხვ. აღინიშნა ამ დეფექტების მრავალი მიზეზი. ითქვა, რომ მწერალთა კავშირის საბჭოს დღევანდელი სტრუქტურა ფართო ყოველმხრივი მუშაობის შესაძლებლობას არ იძლევა. მწერალთა კავშირის წმინდა პროფესიონალურ ორგანიზაციად გადაქცევის აზრს მწერლები უარყოფითად შეხვდნენ. აღინიშნა, რომ უმჯობესია მასიური მუშაობა გადატანილ იქნას ცალკე ასოციაციებში.

ნინო თარიშვილი საყურადღებო სიტყვით გამოვიდა ქართული წიგნის გავრცელების საკითხის შესახებ. მკითხველის ინტელექტუალური ზრდა წინ უსწრებს მწერლის ზრდას და ამით აიხსნება, რომ ქართული წიგნი საკმაოდ ფართოდ ვერ ვრცელდება.

სურენ ოვჩიანი, ქართველ მწერალთა ნაწერების სომხურად მთარგმნელი, საკმაო სიბეჯითით შეეხო ქართველ და სომეხ მწერალთა ურთიერთ დაახლოვებას საკითხს. დღევანდელ პირობებში სრულიად შეუსაბამოა, რომ ჩვენ, ქართველები და სომხები, ერთმანეთის სულიერ საგანძურს არ ვიცნობდეთ. საჭიროა რაც შეიძლება საჩქაროდ მოგვარდეს ქართველ და სომეხ მწერალთა ნაწერების თარგმანისა და გამოცემის საკითხი.

სახელგამის საქმიანობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბიბინეიშვილი. საბჭოთა წიგნის დანიშნულებაა გაჰფანტოს საუკუნოებით განმტკიცებული სიბნელე და უმეცრება. სახელმწიფო გამომცემლობის მიზანია ძველი მწერლობიდან ამოკრიბოს ის, რასაც არ დაუკარგავს მეცნიერული და მხატვრული ღირებულება და ძველი კულტურის საღ ნიმუშებზე ააგოს ახალი სოცია-

ლისტური კულტურა. მეორე მხრით სახელგამის მოვალეობაა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ახალი მწერლობის ჯანსაღ ელემენტების განვითარებას. ციფრებით ხელში ამხ. ბიბინეიშვილმა დაასურათა ქართული წიგნის გავრცელების საქმის თანდათანი ზრდა.

სახელგამის მუშაობის გარშემო მეტად საქმიანი კამათი გაიმართა. აღინიშნა მრავალი მხარე, რომელსაც თავის მუშაობის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელგამმა. მწერლები განსაკუთრებულის ყურადღებით მოეკიდნენ იმ ორგანოს მუშაობის საკითხს, რომელსაც ევალება ზრუნვა ქართული წიგნის შესახებ.

ხელოვნების სხვადასხვა დარგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. თოხაძე. მისი მოხსენებაც მწერლების მიერ დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი.

ამხ. თოხაძის მოხსენების გარშემო გამართულმა კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო. მომხსენებელმა აღნიშნა და ორატორთა მთელი რიგი ერთანხმებოდა, რომ არ არსებობს მხატვრული ცხოვრების ერთიანი ხელმძღვანელობა და ერთი მთლიანი სახელოვნო სისტემა. ორატორები შეჩერდნენ თეატრის პრობლემებზე, შეეხნენ სახკინმრეწვს, სამხატვრო აკადემიას და, საერთოდ, ქართულ მხატვრობას და აღნიშნეს დეფექტების მთელი რიგი და გზა, რომლითაც შესაძლებელია საქმის წაყვანა წარმატების გზით.

ამხ. თოდრიას წინადადებით საქართველოს მწერალთა კავშირი გადაკეთდა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციად.

ამის შემდეგ მიღებულ იქნა მოხსენებათა გარშემო მნიშვნელოვანი რეზოლუციები.

ვ. კინწურაშვილი.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

თედო ბეგიაშვილი. ლიტერატურული საუბრები. სახელმძღვანელო ლიტერატურული თემების, მოხსენებების და რეფერატებისათვის. ტფილისი 1928 წ. გვ. 212 ფასი 1 მ. 20 კ. ტირაჟი 3000.

თედო ბეგიაშვილს ჩვენ ვიცნობთ, როგორც ქართულ სიტყვიერების ერთ ერთ დაუღალავ და ნიჭიერ მკვლევარს. წინამდებარე წიგნიც მოწმობს რომ ავტორს საკმაო ენერგია დაუხარჯავს და ნიჭიერადაც შეუსრულებია დასახული მიზანი.

მიზანი კი წიგნისა, როგორც თვით ავტორი სწერს წინასიტყვაობაში, მ.გომარეობს იმ გარემოების შემსუბუქებაში, რომ „ჩვენს საზოგადოებაში და მეტადრე მოსწავლე ახალგაზრდობაში წერითი ვარჯიშობა მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. მხატვრული ნაწარმოების ზეპირი ანალიზი თუ მინიმალურად მაინც ხერხდება, ლიტერატურულ საკითხზე თემის დაწერა თითქ„ის მოუხერხებელი ხდება“. წიგნში მოცემულია ისაშუალო სახის ნიმუშები, თუ როგორ უნდა მწერებოდეს ლიტერატურული თემები და მასალა, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ამა თუ იმ მწერალს ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზისათვის“.

წინასიტყვაობას შემდეგ მოცემულია თავი „ლიტერატურული საუბრებისათვის“, რომელშიაც ავტორი უპასუხებს კითხვაზე, თუ რა ადგილი უნდა დაეთმოს ლიტერატურულ საუბრებს სკოლებში და რა შეადგენს, საერთოდ, ლიტერატურული საუბრების საგანს და მიზანს.

შემდეგ ავტორი გადადის საკითხზე „ლიტერატურულსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთობის შესახებ. ეს საკითხი გაშუქებულია საკმაო სიცხადით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედების ხასიათის ახსნის დროს საკმაოდ უნდა შელბილდეს ის მომენტი, რომელიც მოვლენათა ახსნაში სრულიად არავითარ მნიშვნელობას არ აკუთვნებს მწერალთა ბიოგრაფიას თავი „ლიტერატურული კრიტიკის პრინციპებისათვის“ სავსებით მიეკუთვნება საკითხს ხელოვნების რაობასა და მისი ძირითადი საზოგადოებრივი როლის შესახებ. ფორმისა და შინაარს შორის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი აქ სწორედ არის გადაჭრილი, თუმცა სავსებით ამოწურული არ არის.

შემდეგ ავტორი გადადის ლიტერატურულ დახასიათებებზე და ლიტერატურულ მიმართულებებზე. აქ მოცემულია დახასიათება რომანტიზმის, (ბაირონიზმის), რეალიზმის, ნეორომანტიზმის, სიმბოლიზმის, დეკადენტიზმის, ფუტურიზმის, ექსპრესიონიზმის და ნეოპრიმიტივიზმის, დადაიზმის, პროლემაფის და „ცისფერი ყანწების“. იმ მასალების მიხედვით, რომელიც ჩამოთვლილ მიმართულების შესახებ მოცემულია წიგნში, ის ვისთვისაც წიგნი დანიშნულია, ადვილად გაერკვევა საკითხებში, თუმცა არ არის მოცემული აღმოწურავი მასალა ზოგიერთ ჩამოთვლილ მიმართულების შესახებ. არც ყველა მიმართულებებია ჩამოთვლილი წიგნში.

ამის შემდეგ ავტორი გადადის საკითხზე რომანტიზმის შესახებ საქართველოში და სპეციალურად ეხება ორბელიანებს, ბარათაშვილსა და ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებას. სპეციალურად დამუშავებულია რამდენიმე საკითხი შილერის „ყაჩაღებისა“ და გოთეს „ფაუსტის“ მიხედვით. შემდეგ ავტორი ეხება რეალიზმს საქართველოში და როგორგობით გვაძლევს ლიტერატურულ დახასიათებას ნაადრევი რეალიზმის წარმომადგენლების დანიელ ჭონქაძისა, ლავრენტი არდაზიანის და გიორგი ერისთავის. აქვე მოცემულია ხსენებულ მწერალთა ნაწერების მიხედვით დამუშავებული თემები. ასევე დამუშავებულია თემები უცხოეთის ლიტერატურაში ნაადრევი რეალიზმის წარმომადგენლების ჩარლზ დიკენსისა და ივ. ტურგენევის ნაწარმოებთა მიხედვით.

დასასრულ, მოცემულია ლიტერატურული მოკლე ლექსიკონი. არ არის ახალი რამ მასალებში, მაგრამ ახალია მასალების ისე დალაგება და დამუშავება, როგორც ეს თედო ბეგიაშვილს აქვს ზემოდ დასახელებულ წიგნში. ზედმეტია იმის თქმა, რომ წიგნი სასარგებლოა საერთოდ. ქართული ლიტერატურის მოვლენები არ არის იოლი შესასწავლი და ადვილი საქმე, როგორც ეს „ქართულის“ ზოგიერთ მასწავლებელს ჰგონია. თვითეული მოვლენა სიფრთხილესა, დაკვირვებასა და სათანადო სისწორით მიდგომას თხოულობს. ამ გზაზე ბეგიაშვილის წიგნს ცხადია, საკმაო სარგებლობის მოტანა შეუძლია, როგორც სასწავლებელში ისე სასწავლებლის გარედ თავისუფალი ვარჯიშობისთვის და თვითგანვითარების მიზნებისათვის.

შხეფელი

(ამ წიგნის გამოწერა შეიძლება „განათლების მუშაკის“ რედაქციისაგან.

თავფარავნელი ჯაბუკი. ხალხური ლეგენდა, ჩაწერილი ია კარგარეთელი-ს მიერ. ტფილისი—1928 წ.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხურ ზეპირ სიტყვაობას, ხალხურ გადმოცემებს. ესთქმულებები დაუფასებელი საუნჯეა წარსულის ამოსაკითხავად. მაგრამ ჩვენ ხომ იმდენად კულტურული ვართ, რამდენადაც ჩვენს თავს ვიცნობთ, ჩვენი თავის გაცნობას კი შევიძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი ერის თავისებურებათა გამოვლინებებს სხვადასხვა მიმართებებით, დავიჭერთ და ვსწვდებით. ერთ ერთი გამოვლინებაც სწორედ ზეპირ სიტყვაობითი შემოქმედებაა. რამდენჯერ თქმულა ჩვენში, რომ ერის ფილოსოფია, სარწმუნოება, პრაქტიკული ცხოვრების თავისებურებანი აქ ნახულობს გამოხატულებას! მიუხედავად ამისა ჩვენ ძლიერ ჩამორჩენილი ვართ იმ მხრივ, რომ ეს ჩვენი ადგანძური არამც თუ შესწავლილი არ არის ჯერ, არამედ ხალხში გაბნეული თქმულებები შეუკრეფელია და ვერ მოგვიხერხებია ხალხში გავიტანოთ მათი შეგროვებისა და მათზე ზრუნვის კულტურა, თუ შეიძლება ასე ითქვას. განსაკუთრებით არ ეპატიება ამგვარი დაუდევრობა ჩვენი სკოლის მუშაკებს. დღეს ბევრსა ლაპარაკობენ საზოგადოებრივ აუცილებელ შრომაზე სკოლაში და იმდენად „წიგნური“ ხასიათისაა ეს ლაპარაკი, რომ ხშირად მოხსენების დროსაც წიგნიდან ამოღებულ დაზეპირებულ მაგალითს მოგიყვანენ უთუოდ მაშინ, როდესაც თვით ცხოვრებიდან, ჩვენი გარემოდან წამოჭრილი ამოცანა, ჩაბით სკოლა შიგ. პროდუქციული იქნებოდა ეს მუშაობა! მაგრამ ჩვენ ხომ ლაპარაკი ვიცით და საქმე გვავიწყდება, მხოლოდ აქა იქ თუ შეხვდები ადამიანს, რომლის ბუნება იმთავითვე მოწყობილა ისე, რომ მუდამ უნდა იფიქროს ამგვარ საერთო საქმეზე, რომელსაც გახსენება და კარნახი არ ესაჭიროება. ისინი დიდ საქმეებზე პრეტენზიას არ აცხადებენ, რადგან იციან, რომ დიდი საქმეც ამგვარი პატარა ნამუშევრების შედეგია. სწორედ ამგვარი პატარა ნამუშევარია პატივცემული ია ს—„თავფარავნელი ჯაბუკი“.

ეს პოემა—თქმულება ერთ-ერთი ვარიანტია, მისი სხვა ვარიანტებიც მოსალოდნელია, როგორც პატივცემული ია გვამცნობს. (შესავალი) ლეგენდის დედა მოტივი ქალის და ვაჟის სიყვარულია, რომელიც ტრაგიზმით თავდება; თქმულება უთუოდ განიცდის ვეფხის ტყაოსნის გავლენას;ავტორი თქმულებისა რა თქმა უნდა იცნობს ალბად ვისსა და რამინსაც: „წუნს იმათ ვერავინ დასდებს, ცალცალი სჯობდა რამინსაც“ [გვ. 22] მაგრამ როგორ მოგვაგონებს თქმულება ეთერიანსაც! აქაც ხომ არისტოკრატიული წრიდან გამოსული (დავაზი) ქალი ფიქრობს დაუკავშირდეს ვიღაც მენავეს (გულბაათი). მაგრამ არ შეიძლება!

„ჩამოსხდებიან ქორები
არ გაირევენ ძერასა,
კაცი ვერ დაემალება
ბედსა და თავის წერასა“.
(გვ. 20)

უკანასკნელი მომენტი (ბედის წერა) ძლიერ წამოწეულია წინ მთელ თქმულებაში.

„მიეტ-მოეტო სოფელო,
საბრუნავისა მხარეო
ზოგსა ცათამდინ აიყვან,
ზოგსა უკუღმა დაჰხეო“.
(გვ. 46)

ან

„ამ წუთი-სოფლის ავკარგი
ბევრს ახარებს და ბევრს არა
უძლურ არს კაცის ბუნება,
არ ჰმართლდება, არა, არა“.
(იქვე)

და შემდეგ:

„არვის ეუღლის ბრმა ბედი,
ფლიდია და უნდობელი,
დღეს რომ ცათამდის ამყვანი,
ხვალ მაღლით ძირს დამმხობელი“
(ეპილოგი.)

აუარებელია თქმულებაში საუკეთესო პოეტური ადგილები მაგ. გვ. 26 და სხვაგან. მართალია ისიც, რომ თქმულება შიგ დასრულებულ მთლიანობას მოკლებულია: უთუოდ გამოკბილულია ალაგ-ალაგ. (ხომ არის აღნიშნული წინასიტყვაობაში, რომ მთქმელიც ამბობს ამას). მაგრამ ეს ალბად თანდათან გამოირკვევა. გამოირკვევა ისიც, თუ რა დამოკიდებულებაა ამ თქმულებებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებს შორის (თქმულებები განიცდიან გავლენას, თუ თვით თქმულებიდან ამოდის მრავალი ლიტერატურული ნაწარმოების ლეიტ-მოტივი ხშირად) და განა მარტო ეს? არამედ ბევრი სხვა. ეს მაშინ თუ უკვე დაგროვილ მასალას სათანადო მეცნიერული მეთოდით აღჭურვილი ცნობიერება მიჰყოფს ხელს. მაგრამ ამას ხომ ყოველთვის წინ უნდა ძასალის შეგროვება უსწრებდეს და ამიტომ ყოველი თქმულება ამ გვარად მოპოებული ამას გვაახლოებს, შემკრები კი ჩვენს დიდ მადლობას იმსახურებს, ისევე როგორც დასახელებული ნაშრომის ავტორი ია კარგარეთელი.

დ. ა.

კონსტ. ლორთქიფანიძე. ახალი ძვეყნისკენ.

მოთხრობები. სახელგამი 1927 წ. გვ. 71. ფ. 30 კ.

ვინც იცნობს ჩვენს პროლეტარულ მწერლობას, მას ეცოდინება რომ კონსტ. ლორთქიფანიძე, საუკეთესო წარმომადგენელია ამ მიმართულებისა. მან რამდენიმე წელიწადია ბავშვებისათვისაც დაიწყო წერა, განსაკუთრებით ლექსებისა, ამ პაწია წიგნში კი იგი ბავშვების წინ წარსდგა მოთხრობებით.

წიგნში მოთავსებულია ხუთი მოთხრობა: 1. გატეხილი თოფი, 2. პიონერი თანდო. 3. „აკი“-ს ნიშანი. 4. ცხოვრებას დაუბრუნდა (სარჩევში გამოტოვებულია) და 5. ახალი ცხოვრებისაკენ.

თემა ყველა მოთხრობებისა ყოფაა. მასთან ერთად მოცემულია ბავშის განცდანი, სიყვარული, რევოლუციისადმი, ბრძოლისადმი და „ბანშენიკებისადმი“, როგორც ეძახის პატარა შალვა (გატეხილი თოფი).

ეს მოთხრობა ზოგიერთი ყალბი ადგილების გამოკლებით, კარგია. აქ მოცემულია ის ხანა, როცა პირველად შემოვიდა წითელი არმია და შალვას უნდა ბრძოლა, რევოლუციონერობა, წითელნაჭრიანობა. ამას მიაღწევს კიდევაც.

კარგია „პიონერი თანდო“-ც, როგორც ნიმუში იმისა, თუ სოფლიდან ჩამოყვანილი ბავში, ქალაქში როგორ გამოიცვალა, გახდა პიონერი, ჰიკორი და დიდი აქტიური მონაწილე მოწაფეთა თვითორგანიზაციის საქმეში.

მთლიანობას არის მოკლებული „ცხოვრებას დაუბრუნდა“ ქურდ-ბაცაცა ბიჭი მოხვდება საბავშო კომუნაში და სცდილობს თავის მეგობრებიც მოაწყოს იქ. თემა კარგია და შეიძლებოდა მისი უფრო მეტად გაშლა.

კარგია „ახალი ცხოვრებისაკენ“, — ჩინელი ბავშის—პეის თავგადასავალი.

საზოგადოთ მოთხრობები ცოცხლად არის დაწერილი, მხოლოდ ბავშის განცდის მოქმედების მთლიანობა არ არის დაცული, რაც აუცილებელია.

წიგნში გვხვდება უხეში გამოთქმანი: მაგ.: ახლა ძლიერ სიამოვნობს შალვას, სიმღერით გაუყვა, გუნდა ზედ ცხვირზე მიაფშვნა და სხვა.

ენა წიგნი დასურათებულია და დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე.

ანღანი.

ნ. ნაკაშიძე და უნაფქოშვილი.. „ჩემი წიგნი“, სახელგამი, 1927, გვ. 30, ფასი 75 კაპ. გაზაფხულისა და ზაფხულის სეზონში საკითხავი საბავშო წიგნაკი.

წიგნში ოცდაათამდე მშვენიერის საღებავებით შესრულებული სურათია მოთავსებული, გარეკანიც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

რაც შეეხება საკითხავ მასალას, იგი შესდგება ლექსების და პროზისაგან. ლექსები თითქმის ყველა კარგია და ჰეშმარიტად საბავშო, მხოლოდ უნდა აღინიშნოს ერთი შეუკრებელი რითმა პირველ ლექსში—„ღვივის“ და „გულის“. არ არის აღნიშნული თუ ვისია ეს ლექსები, რამდენათაც ეტყობა თითონ ავტორების კი არ უნდა იყოს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროზა ენის მხრივ ყველგან არ არის გამართული. მე-7 გვ. „მერმის თქვენ ყველას წაგიყვანთ“, სიტყვა „მერმის“ გაკვირვებას იწვევს. ხანდახან ავტორები ერთობ გრძელ წინადადებებსაც ხმარობენ, რაც ბავშისათვის ძნელად დასაძლევი იქნება.

გაუგებრობას იწვევს სტატია „ორი მეგობარი“. ამ სტატიაში კალოობა, ტრაქტორით ხვნა და მკა ერთმანეთშია. ვფიქრობთ აქ კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე.დანარჩენი მასალა საკმაოდ საინტერესოა და ბავშთათვის შესაფერი, ფასი კი ძვირია.

ერთი.

ქრონიკა

— უცხოეთიდან დაბრუნდა და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა ჩვენი კავშირის თავმჯდომარე და „განათლების მუშაკის“ პასუხისმგებელი რედაქტორი ამხ. ა. მიქაძე, რომელიც აქ არ ყოფნის გამო დღემდის უშუალო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა ჟურნალს.

— ახლო მომავალში ამხ. შ. გეგენავა და სოლომონია გაემგზავრებიან ქუთაისში და აჭარაში კავშირის ორგანოების მუშაობის გამოსარკვევად.

მასწავლებელთა ხელფასის გადიდება რკინის გზებზე. ამიერ-კავკასიის რკინის გზების საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა სატარიფო განაკვეთი გადიდებულია.

ა. კ. რკინის გზების განათლების საბჭოს მოთხოვნით, ცენტრალურ სატრანსპორტო განათლების სამმართველომ დაადგინა,—მოახდინოს სატარიფო განაკვეთების გადიდება 1927 წ. 1 ოქტომბრიდან და ამიერ-კავკასიის რკინის გზები შეიტანოს უმაღლეს სატარიფო ზოლში.

ამის მიხედვით, ამიერიდან პირველი საფეხურის სკოლების მუშაკები მიიღებენ თვეში—55 მანეთს, ნაცვლად 45 მანეთისა, რაც მათ ეძლეოდათ აქამდე, ხოლო მეორე საფეხურის სკოლის მუშაკები – 80 მანეთს, ნაცვლად—50 მანეთისა.

ტრანსპორტზე მომუშავე მასწავლებელთა ხელფასი ამგვარად საშუალოდ გადიდებულია 35 პროც.

პენსია პროფ. კახიანის ოჯახს. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა პროფ. კახიანის ოჯახს პენსიის სახით ყოველთვიურად დაუნიშნოს 200 მანეთი.

არსებულ კანონის მიხედვით პროფ. კახიანის ოჯახს 100 მანეთი მიეცემა სოციალურ დაზღვევის ფონდიდან, ხოლო 100 მანეთი სახ. კომისართა საბჭოს საშუალებებიდან.

პენსიები დამსახურებულ მასწავლებლებს. საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების შუამდგომლობის თანახმად საქ. ცაკის პრეზიდიუმმა პენსიები დაუნიშნა შემდეგ დამსახურებულ მასწავლებლებს: ესტატე ახალაიას, კონდრატი ჩაჩიბაიას, ჰუმბურიძეს, ხრისტაფორ სოლეიმაზოვს, გიორგი ახალაიას, ნიკო რაზიკაშვილის ქვრივს. დავით გოგიას, ზიად შარაფავას, იოსებ ბარბაქაძეს, ალექსანდრე გუნიას და სოლომონ ზურაბიშვილს.

საყოველთაო სწავლების შემოღება. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა დაამთავრა საყოველთაო სწავლების შემოღების გეგმის შედგენა.

გეგმა გათარებული იქნება შვიდი წლის განმავლობაში, (1927—28 წლიდან 1934—35 წლამდე).

8-დან 11 წლამდე ასაკის ბავშთა რიცხვი 1928—29 წ. საქართველოში მიაღწევს—207.884. პირველი საფეხურის სკოლებში, გეგმის თანახმად, ისწავლის 139.587 ბავში (67 პროც.). შვიდი წლის დამლევისათვის სასწავლო ჰასაკის ბავშების რიცხვი საქართველოში გაიზრდება 213.276-მდე. 1928 – 29 წ. საქართველოს სკოლებში იმუშავებს 5.436 პედაგოგი.

1934—35 წ., ე. ი. საყოველთაო სწავლების ჩატარების დასასრულს, საქართველოს სკოლებში იმუშავებს 7.893 პედაგოგი. საყოველთაო სწავლების გასატარებლად შვიდი წლის განმავლობაში საქართველოში, ავტონომიურ რესპუბლიკების გამოკლებით, საჭირო იქნება 50.920.000 მანეთი, ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად კი 67.797.000 მანეთი.

სეტყვისა და ჭექა-ქუხილის წინააღმდეგ. სოფლის მეურნეობას დიდ ზარალს აყენებს სეტყვა და ჭექა-ქუხილი. ამ მოვლენების გამოკვლევაში (დროსა და ადგილის მიხედვით) მეტად დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია სკოლას. განათლების სახალხო კომისარიატმა დაუგზავნა შესაფერი ინსტრუქციები სოფ. ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებს, რომლებიც უკვე ითვლებიან გეოფიზიკურ ობსერვატორიის კორესპონდენტებად. ინსტრუქციით გათვალისწინებული ცნობების მიწოდებით კორესპონდენტები დიდ დახმარებას გაუწევენ საქ. გეოფიზიკურ ობსერვატორიას მეცნიერულ მიზნებისათვის მასალების დაგროვებაში და მშრომელ მოსახლეობას პრაქტიკული მუშაობის საქმეებში.

სასკოლო მუშაობისთვისაც აუცილებელი და ფრიად მნიშვნელოვანი იქნება ამ მუშაობის წარმოება. ამიტომ დაევალა მასწავლებლებს მოწაფეობაც ჩააბას ამ მუშაობაში და ასეთი კვლევა-ძიებების წარმოება მიღებულ იქნას განუყო-

ფელ ნაწილად იმ მეტეოროლოგიური დაკვირვებებისა, რომელთაც აწარმოებს სკოლა.

საბავშო ბაღები. არსებულ საბავშო ბაღებში ადგილებზე უმეტეს შემთხვევაში ცდილობენ საბავშო ბაღების შევსებას მოზარდი (5—7 წლის) ბავშვებით. რომლებიც ერთი წლის შემდეგ სკოლაში უნდა იქნან გადაყვანილნი, უკვე რომ ვსთქვათ, მშობლები საბავშო ბაღებში აბარებენ შვილებს იმ მიზნით, რომ ბავშვები სკოლაში შესასვლელად მოემზადონ.

ინსპექცია ასეთ მდგომარეობას სთვლის არანორმალურად და საბავშო ბაღების გამგეებს და ვალა შესაფერი ორგ ნიზაციების მუშაობაში ჩაბმის საშუალებით მიიღონ ზომები, რათა მოსახლეობა საბავშო ბაღებში გზავნიდეს 3 წლის ბავშებს.

აგრეთვე დაევალა საბავშო ბაღების გამგეებს გზავონ ჩატარებულ მუშაობის ანგარიშები და საზაფხულო მუშაობის გეგმები სკოლის ასაკამდე აღზრდის ინსპექციაში.

კითხვა-პასუხი

კითხვა:

1. სვირის თემის სოფ. ახ. სკოლას წელს ყავს ორი, 1 და 2, ჯგუფი და აგრედვე სალიკვიდაციო VII ჯგუფიც.

სკოლაში ვართ სამი მასწავლებელი 1927 სამოსწავლო წლის დასაწყისიდან ვამაცადინებდით მე-VII -დე ჯგუფს უფასოდ 1928 წლის 21 იანვრამდე განკ. განყოფილების დავალებით.

2. ა. წ. 21 თებერვლიდან დაინიშნა მე-VII ჯგუფისათვის მასწავლებელი, რომელსაც განსაზღვრული აქვს 40 მანეთი.

განათლების განყოფილება აღნიშნულ მასწავლებელს აძლევს 40 მანეთის გაკვეთილს. დანარჩენს გვავალებს სოფლის ახ. სკოლის მასწავლებლებს გადავცეთ უფასოდ.

გთხოეთ გვიპასუხოთ: ვეერგება თუ არა გასამრჯელო 21 თებერვლამდე და აქვს თუ არა უფლება განკ. განყოფილებას გადაგვცემიოს გაკვეთილები უფასოდ.

ი—ა.

პასუხი:

მე-7-ე ჯგუფში მეცადინეობისათვის თქვენ გასამრჯელო გერგებათ, როგორც გასული თვეების, ისე მომავალშიაც გაკვეთილების რაოდენობის მიხედვით. თუ განკ. გაყ. არ აკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნილებას, უნდა მიმართოთ შემფ. საკ. კომისიას.

კითხვა:

ლეჩხუმის მაზრის განათლების განყოფილებამ მომხსნა თანამდებობიდან 1927 წ. 15 სექტემბერს. განათლების ინსპექტორმა საკონფლიქტო კომისიას ნება არ მისცა საქმის გარჩევის და იმავე დროს თვითონვე გამგზავნა სამსახურში 1927 წ. 6 დეკემბერს, ამ ხნის განმავლობაში ხელფასი არ მომილია.

მერგება თუ არა გაცდენილი თვეების ხელფასი და თუ მერგება,—ვის მივმართო?

მასწავლებელი.

პასუხი:

თუ განკ. განყოფილებამ შემფ. საკ. კომისიაში თაყის წარმომადგენელი არ დანიშნა, ადგილკომს საქმე უნდა გადაეცა შრომის სასამართლოს სათვის; გაცდენილი თვეების ხელფასისათვის თქვენ ეხლაც შემფ. საკ. კომისიას ან შრომის სასამართლოს (თუ განკ. განყ. თავის წარმომადგენელს არ დანიშნავს) უნდა მიმართოთ. თუ რადენად კანონიერია თქვენი მოთხოვნილება გაცდენილ თვეების ჯამაგირით დაკმაყოფილების შესახებ, ამაზედ ჩვენ პასუხს ვერ მოგცემთ, ვინაიდან ამისათვის საჭიროა საქმის შინაარსის დაწვრილებით ცოდნა.

კითხვა:

მე ვმუშაობ დროებით, შვებულებაში გასულ მასწავლებლის ადგილზე. მეკუთვნის თუ არა ხელფასი მეც იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც წინა ბოადგილე ღებულობდა?

მასწ. ი. საღინაძე.

პასუხი:

თქვენ ხელფასი გეკუთვნით გაკვეთილების რაოდენობის მიხედვით, თუ მეორე საფეხურის სკოლაში ასწავლით. ხოლო თუ ჯგუფის მასწავლებელი ხართ, გეკუთვნით იმდენი, რამდენსაც იღებდა ის, ვისაც თქვენ სცვლით.

კითხვა:

ა. წ. პირველ თებერვლიდან გადაყვანილი ვარ სამტრედიის რაიონიდან (გომის თემში მცხოვრები). ვ ნის რაიონში მასწავლებლად. ამ საქმის გამოსარკვევად საქ. განკ. მუშ. კავშირის ც. გ-ში გ ნცხადება მაქვს შეტანილი. გრძნობს რა მოსალოდნელ სამართლიანობის საფრთხეს ჩემი

პირადი მტერი. გომის 7 წლედის გამგე ალექსი ცინცაძე, არ ერიდება არავითარ საშუალებას, და 11 მარტს ღისი სიძის, ივანე ნიკოლეიშვილის (გომის აღმასკომის თავმჯდომარეა) დახმარებით ახერხებს კრების მოწვევას, სადაც არ მალავს, რომ ის ჩემი მტერია და თან უარყოფითად მახასიათებს, აქეზებს ჩემს წინააღმდეგ მასწავლებლებს და ადგენენ კავშირიდან ჩემს გამორიცხვას, რომ არ მოიცეს საშუალება კავშირის ხაზით ვაწარმოო ბრძოლა სიმართლის გამოსარკვევად. გთხოვთ განმარტებას: 1. აქვთ თუ არა უფლება ჩემი პირადი მტრების მოხერხებით გამომრიცხონ გომის თემში გან. მუშაკთა კავშ. წევრობიდან, როდესაც თვენახევარია გადაყვახილი ვარ სულ სხვა რაიონში მასწავლებლად?

2. შესაძლებელია თუ არა, ერთ თემში ადგილკომის თავმჯდომარედ იყოს სიძე და 7 წლედის გამგედ მისი ცოლის ძმა, როდესაც ესენი ვერ იჩენენ საქმისადმი ობიექტივობას და, ვაი მას, ვისაც მიზანში ამოიღებენ!.

მასწ. პაშა ადეიშვილისა

პასუხი:

კავშირიდან გამორიცხვის უფლება აქვს ადგილკომში შემავალ კავშირის წევრთა საერთო კრებას, რომელსაც თქვენც უნდა დაესწროთ. თუ საერთო კრების დადგენილება თქვენთვის დამაკმაყოფილებელი არ იქნება, უნდა გაასაჩივროთ კავშირის სამაზრო განყოფილების გამგეობაში და შემდეგ ცენ. გამგეობაში

ადგილკომის თავმჯდომარედ სკოლის გამგის ნათესავის არჩევა კრების საქმეა, თქვენი მოტივები ღისი არჩევის წინააღმდეგ შეგიძლიათ წამოაყენოთ საერთო კრებაზე.

საყურადღებო დატები აპრილში

1 აპრილს 350 წ. შესრულდა ეჭიმ ჰარვეის დაბადებიდან, რომელმაც აღმოაჩინა სისხლის მიმოქცევა.

1 „ 70 წ. შესრულდა რუსეთში პირველი ქალთა გიმნაზიის გახსნიდან.

6 „ 400 წ. შესრულება განთქმულ გერმანელი მხატვრის ალბრეხტ დიურერის გარდაცვალებიდან.

14 „ 45 წ. შესრულება პოეტ გრ. ორბელიანის გარდაცვალებიდან.

14 „ 55 წ. შესრულება პირველი ქართული სოციალისტური გაზეთის გამოსვლიდან.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ა. მიქაძე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

1. გამოაშკარავებული თვალთმაქცობა 1

პროფესიონალური ცხოვრება

2. **ტრ. ხუნდაძე:** მეტი ყურადღება ექსკურსიებს 3
3. **ვლ. ზამბახიძე:** მასიური მუშაობის შესახებ 6
4. **დ. მარკევიჩი:** ბიბლიოთეკართა შრომის და ყოფა-ცხოვრების შესწავლისა და რაციონალიზაციის სექციის მუშაობა 9

ადგილკომების მუშაობა

5. **ს. ცაიშვილი:** კულტმუშაობა პატარძეულში 11
6. მარტყოფი 11
7. მიქელ-გაბრიელი 12
8. ხაბუმეს ადგილკომი 13

ახალი სკოლის საკითხები

9. **ზალკინდი:** კულტურული რევოლუცია და პედოლოგიის საკითხები . 14
10. **დ. გიორხელიძე:** შრომის სკოლის ამოცანები 17
11. **პ. ჭ.** ქართული მართლწერის კონფერენცია 26
12. **გ. ყაჭეიშვილი:** სასკოლო კოოპერაცია 27
13. **მ. ინწკირველი:** 35 წელი განათლების ფრონტზე 29

ადგილებიდან

14. ლიტერატურული დამატებისათვის 30
15. დავაჩქაროთ ეს სასარგებლო საქმე 30
16. ჩემი დაკირვებიდან 31
17. თელავის მაზრის სოფ. ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია 31

სკოლის გარეშე განათლება

18. **ს. ფანცხავა:** უმწეო და დეფექტიურ ბავშთა მდგომარეობა საქართველოში 33

ხელოვნება

19. **მ. კანელი:** გრ. ორბელიანი 36
20. **ვინ-ხანი:** ჰენრიხ იბსენ 37
21. **ია კარგარეთელი:** ჩემი ვინაობა 39
22 ჟიულ ვერნი 43
23. **მ. კინწურაშვილი:** სრ. საქ. მწერალთა II ყრილობა 44

ბიბლიოგრაფია

24. თედო ბეგიაშვილი 46
25. თავფარავნელი ჭაბუკი 47
26. კონსტ. ლორთქიფანიძე 48
27. ნ. ნაკაშიძე და უნაფქოშვილი 48
28. **ქრონიკა** 49
29. **კითხვა-პასუხი** 50

მოდა თუ ინკვიზიცია.



— ხვალ ჩემი კოლი'ს დღეობაა და ამ საყურეებს მივართმევ საჩუქრად. მას გაუხარდება, მე კი შურს ვიძიებ. უკეთეს სასჯელს ინკვიზიციაც ვერ მოიგონებდა.

,,ოფლითა შენითა მოიპოვე ცოდნა შენი''.



ასეთ დღეშია ბევრი მოსწავლე ახალგაზრდა. უწიგნობის გამო (ან სულ არ არის ან ძვირია) იწერენ კონსპექტებს უკვე გაცვეთილი ხელნაწერებიდან.

ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატში

მიიღება ხელისმოწერა

განათლების სახალხო კომისარიატის ყოველთვიურ პედაგოგიურ

ჟ უ რ ნ ა ლ ზ ე

,,ახალ სკოლისაკენ''

1928 წლისთვის

გადაგზავნით 3 მან., გადაუგზავნელად 2 მან. 50 კ.

იძვე შეიძლება ჟურნალის წინა წლების კომპლექტების შეძენა

1927 წლის ნომრები ახლა იშოვება

1926 წლის კომპლექტი ღირს . . . . . 3 მან.
1924—25 წლის კომპლექტი ღირს . . . . . 2 მან.

რედაქციის მისამართი

ტფილისი. რუსთაველის პრ. 31, განათლების სახალხო კომისარიატი.

,,ახალ სკოლისაკენ''.

ფასი 40 კაპ.

გ 20 მუ
1928

გამოვიდა და იყიდება

ლიტერატურული საშუალებები

სახელმძღვანელო ლიტერატურული თემების, მოხსენებების და რეფერატებისათვის

მოკლე ლიტერატურული ლექსიკონით. შედგენილი **თ. ბეგიაშვილის** მიერ

212 გვერდი ფასი 1 მანეთი და 20 კაპიკი.

მსურველებმა უნდა გამოიწერონ „განათლების მუშაკის" რედაქციიდან და გაუგზავნით ჩვენი ხარჯით. შეიძლება ნახევარი ღირებულების ფასდადებითაც.



სტამბა „ზარია ვოსტოკა-"სი, წულუკიძის ქუჩა, № 4.

შეკვ. № 1033 მთავლ. № 648 ტირაჟი 2700